მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

VIII კლასი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

მუსიკა
მასწავლებლის წიგნი
VIII კლასი

გამოშვების წელი და რიგითობა 2020

ISBN 978-9941-16-732-4

სარჩევი

სახელმძღვანელო/სერიის კონცეფცია....4
შესავალი....7
შეფასების რუბრიკა:....9
რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები....12
სცენარები....16
პირველი თავი – ხილული და უხილავი მუსიკაში (მატრიცა)....17
I თავი – მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
თემა: ხილული და უხილავი მუსიკაში **სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში**
1-3. დეკლამირების საწყისებთან....24
4-6. რიტმული დეკლამაცია....31
7-9. **მელოდეკლამაცია, როგორც მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველობითი ხერხი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში**....35
10-11. **რეჩიტატივი, როგორც ხილულისა და უხილავის გამომსახველი ხერხი**....39
12-13. დეკლამაციის დიდოსტატები....43
14. დეკლამაციის ნაირსახეობა რეპერების მუსიკაში....46
15-16. შემაჯამებელი გაკვეთილები....48
17-20. **დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში მსხვილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ფორმებში**....49
კომპლექსური დავალება....56
21-23. **დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში სხვა ვოკალურ ჟანრებში**....62
სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში, როგორც ხილულის გადმოცემის საშუალება
24-25. პროგრამული მუსიკა....66
26-27. შემაჯამებელი გაკვეთილი....69
II თავი – მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში
თემა: თაობები და მუსიკა
II თავის მატრიცა....72
28-29. **თაობებს შორის არსებული განსხვავების გადმოცემა ძველ და ახალ აკადემიურ მუსიკაში**....77
30-31. პოპულარული მუსიკა....79
32-33. პოპმუსიკა (გაგრძელება)....81
34-36. **პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი ჟანრი**....85
37-39. **პოპმუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვადასხვა თაობის განმასხვავებელი თვისებები**....89
40-42. პოპმუსიკის ზეგავლენა თანამედროვე აკადემიურ მუსიკაზე....92
43-44. ქართული პოპულარული მუსიკა გუშინ და დღეს....94
45. შემაჯამებელი გაკვეთილი....98
III თავი – მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში
თემა: მარტოობა და ერთობა მუსიკაში (მატრიცა)....100
46-48. **მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები**....103
49-51. **მუსიკაში ერთიანობის გამომხატველი გამომსახველობითი ხერხები**....107
52-53. შემაჯამებელი გაკვეთილი....109
სანოტო დანართი....111
გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი....142
გამოყენებული ლიტერატურა....144

სახელმძღვანელო/სერიის კონცეფცია

ჩვენი სახელმძღვანელოს კონცეფცია მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებული მუსიკის სწავლების პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით: როგორ გავხადოთ საგაკვეთილო პროცესი საინტერესო და მრავალფეროვანი, როგორი მიდგომები და პრაქტიკული სტრატეგიები გამოვიყენოთ, რა რესურსებით გავამდიდროთ მუსიკის გაკვეთილი და სხვ.

ჩვენი მიზანია, მუსიკის გაკვეთილზე მოზარდს ჩამოუყალიბდეს და განუვითარდეს სხვადასხვა უნარ-ჩვევა: დიალოგის, მსჯელობის, მუსიკის მოსმენისა და გაანალიზების, მღერის, რიტმის გრძნობის, ინდივიდუალურად, წყვილებსა და ჯგუფურად მუშაობისა და სხვ.

შევეცადეთ თემები წარმოგვედგინა მრავალფეროვნად, ჩავრთეთ სხვადასხვა დონის შემეცნებითი და ინტერაქტიული აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს:

- მეტად გაუღვივოს მუსიკისადმი ინტერესი;
- აუმაღლოს მოტივაცია;
- მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია მოცემული თემების ირგვლივ.

ბავშვები, მოთელვის სახით, ყოველ გაკვეთილზე შეასრულებენ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს ინდივიდუალურად, წყვილებში და ჯგუფურად, მოისმენენ მუსიკას, ისაუბრებენ ნაწარმოების მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე, ფორმასა და ჟანრზე. მრავალფეროვანი აუდიო და ვიდეორესურსები კლასიკოსებისა და პოპმუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობის ნიმუშებიდან საშუალებას მისცემს მათ, უკეთ ჩაწვდნენ მუსიკის შინაარსს, ხასიათს, ისაუბრონ მოსმენილის ირგვლივ, მარტო ან წყვილებში გააკეთონ პროექტი, შეადარონ და შეაფასონ სხვადასხვა ეპოქის მუსიკალური შედევრები, გაიცნონ შემსრულებლები და მათი შემოქმედება; შესაბამისად, ისინი დამოუკიდებლად გასცემენ პასუხებს საკვანძო შეკითხვებზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი სახელმძღვანელო, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, გააფართოებს მოზარდის მუსიკალურ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციულ ცოდნას, ჩამოუყალიბებს და განუვითარებს სხვადასხვა უნარ-ჩვევას.

სახელმძღვანელოში გამოყენებული გზამკვლევი სიმბოლოები

მოისმინეთ

უპასუხეთ კითხვებს

იმუშავეთ წყვილებში

იმუშავეთ LMSS პროგრამაში

მოიძიეთ ინფორმაცია

ნახეთ ვიდეოკადრები

მუსიკის თეორია

აქტივობები

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში ისინი შეისწავლიან შემდეგ თემებს:

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
თემა: ხილული და უხილავი მუსიკაში.

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში
თემა: თაობები და მუსიკა.

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში
თემა: მარტოობა და ერთობა მუსიკაში.

ეს თემები ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში.

სასწავლო პროცესში პერიოდულად ხდება წინა წლებში განხილული მასალიდან ცოდნის გამეორება/გააქტიურება გაკვეთილის თემის შესაბამის კონტექსტში.

თემებისა და ქვეთემების განხილვა მიმდინარეობს 1-2 ან მეტ გაკვეთილზე, ეს დამოკიდებულია აქტივობების მრავალფეროვნებასა და მასალის სირთულეზე.

მუსიკის საგნის სასწავლო კომპლექტს წარმოადგენს: მოსწავლის, მასწავლებლის წიგნები და ელექტრონული რესურსი – აუდიო- და ვიდეოჩანაწერები.

შესავალი

VIII კლასში მუსიკის საგნის ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის მუსიკას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას; გაეცნობა, როგორ შეიძლება გადმოიცეს მუსიკალური ელემენტების საშუალებით ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, ასევე, როგორ განასხვაოს სოციალური და ეპოქალური ცვლილებები მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით. მოსწავლეები გააცნობიერებენ სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომლებიც კომპოზიტორს შეუძლია შემოქმედებითად ასახოს მუსიკაში.

მუსიკალური ხელოვნებისადმი მოსწავლეთა ინტერესების ფორმირებას განაპირობებს მათი სრულყოფილად ჩართვა სასწავლო პროცესში; ესაა რიტმული სავარჯიშოები, გაკვეთილის მსვლელობისას ტექსტური მასალისა თუ აუდიო/ვიდეოჩანაწერებით მოსმენილი რესურსის ანალიზის, საკუთარი შთაბეჭდილების, მოსაზრების ნათლად გამოთქმის უნარი, არგუმენტირებულად მსჯელობა, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება და დასკვნის გამოტანა (მკვიდრი წარმოდგენები); მღერა, ინტონირება, იმპროვიზაცია, კომუნიკაცია და პასუხისმგებლობის უნარების გამოვლენა ჯგუფებში, წყვილებში მუშაობისას, მონაწილეობა საკლასო თუ კლასგარეშე ღონისძიებებში.

მოსწავლის წიგნი „მუსიკა“ (VIII კლასი) სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებთან. მასში გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის ეროვნული გეგმის 2018-2024 წლების მუსიკის საგნის სტანდარტის მოთხოვნები.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ნათლად გამოიკვეთა ახალი მოთხოვნები საგაკვეთილო პროცესის მიმართ. პირველ რიგში, ეს გულისხმობს გაკვეთილზე აქტიური მოსწავლის და მასწავლებლის კონსტრუქციულ, შემოქმედებითობისა და თანამშრომლობის პრინციპით აგებულ ურთიერთობებს.

მასწავლებლების მიმართ დაისახა ამოცანა, გააააქტიურონ მოსწავლეები, მაქსიმალურად ჩართონ ისინი საგაკვეთილო პროცესში, აუმაღლონ მოტივაცია და ინტერესი საგნის მიმართ, სახალისო და საინტერესო გაკვეთილების საშუალებით განუვითარონ დაბალი და მაღალი სააზროვნო და სოციალური უნარები. ასევე ნასწავლი თეორიული ცოდნის სიტუაციისა და ამოცანის შესაბამისად პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

„მასწავლებლის წიგნი“ მოიცავს:

კომენტარებს მოსწავლის წიგნის საგაკვეთილო პარაგრაფებზე;

- ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის თემატურ რუკას (მატრიცებს);
- საერთო რეკომენდაციებს საგაკვეთილო სცენარებისთვის;
- გაკვეთილის სცენარებს (ნიმუშებს);
- შეფასების რუბრიკების ნიმუშებს;
- შემაჯამებელი ტესტების ნიმუშებს;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშებს;
- დამატებით საკითხავ და სანოტო მასალას;
- აუდიო და ვიდეორესურსებს.

საგაკვეთილო პროცესების დაგეგმვისა და სცენარების შედგენის დროს მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები და მიზნები.

სასწავლო კომპლექტის თითოეული კომპონენტის ამომწურავად და სრულყოფილად გამოყენება საუკეთესო შედეგის მიღწევის საწინდარია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელო/სერია პედაგოგებს ჯეროვან დახმარებას გაუწევს ამ საქმეში.

როგორ აიგება სასწავლო თემა

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები, გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი I. **მკვიდრი წარმოდგენების დადგენა.**
ნაბიჯი II. **თემატური საკვანძო კითხვების დასმა.**
ნაბიჯი III. **შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.**
ნაბიჯი IV. **აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა.**
ნაბიჯი V. **შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება.**

გაკვეთილზე თემის განხილვა სამ ეტაპად მიმდინარეობს:

I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა;

II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება;

III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა.

თითოეულ გაკვეთილში თანამიმდევრობით მოცემულია ყველა აქტივობა სარეკომენდაციო ინსტრუქციებითა და კითხვებით.

მასწავლებლის წიგნში მოცემული გვაქვს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების ნიმუშები, რომლებსაც მოსწავლეები ყოველ გაკვეთილზე გააკეთებენ. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სასურველია, გავიმეოროთ წინა წლებში განხილული რიტმულ-ინტონაციური აქტივობა/თამაშები (მაგ., „საათი“ და სხვ.). ასეთი სახის სავარჯიშოები მოსწავლეებს წაადგებათ მათი მეტრო-რიტმული, აზროვნებითი თუ მეხსიერებითი უნარების გაუმჯობესებაში.

გაკვეთილის თემები აგებულია სამფაზიანი ინტერაქტიული გაკვეთილის სქემით: დაკვირვება-გამოწვევა, შინაარსის რეალიზაცია და გააზრება, შედეგზე გასვლა.

გაკვეთილის სრულფასოვნად ასათვისებლად აუცილებელია სხვადასხვა რესურსის გამოყენება: მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი მუსიკალური საკრავები, ელ.რესურსები.

ყოველი თავის დასასრულს ტარდება თემის შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელშიც მოცემულიაკომპლექსური დავალების ნიმუშები. ამ დროს ჯამდება მოსწავლეთა ცოდნა – როგორ აითვისეს შესწავლილი მასალა. მოცემულია თვითშეფსების ცხრილები – რა ვისწავლე, რა ვიცი, რა მინდა ვიცოდე.

წინამდებარე მასწავლებლის წიგნი პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს და, ვფიქრობთ, პედაგოგებს დაეხმარება მუსიკის საგნის სწავლების ძირითადი კონცეფციის განხორციელებაში, სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვაში.

შეფასების რუბრიკა:

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

• მუსიკის მოსმენა და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
• მასალის მოძიება;
• გამართული სამეტყველო უნარები;
• შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატული კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
• პროექტის მომზადება;
• საკუთარი და სხვისი შესრულების/შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
• მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
• სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
• საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
• სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობისა და ტერმინების ადეკვატურად გამოყენება და სხვ.

მოსწავლეთა თვითშეფასება

ყოველი თავის შემაჯამებელ გაკვეთილზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რვეულში ჩახაზონ ცხრილი და უპასუხონ კითხვებს:

თემა	რა ვიცოდი	რა ვისწავლე	რაში დამეხმარება შეძენილი ცოდნა	რისი შესწავლა მსურს

ჯგუფური ნამუშევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები				მაქსიმალური ქულა
დროის ლიმიტის დაცვა, ორგანიზებულობა	ელ.რესურსებისა და კომპიუტერის ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება	შემოქმედებითობა და პრაქტიკა (რამდენად კარგად შეძლებს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას).	კომუნიკაბელობა ჯგუფში მუშაობისას	10
2	1	4	3	

ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოს შეფასება

შეფასების კრიტერიუმები				მაქსიმალური ქულა
დროის ლიმიტის დაცვა, ორგანიზებულობა	ელ.რესურსების, ინტერნეტპროგრამების) ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება	შემოქმედებითობა და პრაქტიკა (რამდენად კარგად შეძლებს მუსიკის საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას).	შესრულებული ნამუშევრის პრეზენტაცია	10
2	1	4	3	

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში მოწმდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თავი, თემა, ქვეთემა, აქტივობა) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- მოსმენილი ნაწარმოების ანალიზი, დისკუსია, ვიზუალთან დაკავშირება, შედეგის გამოტანა, დასკვნის გაკეთება;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- კომპლექსური დავალება;
- კონკურსი-შეჯიბრი;
- პროექტის პრეზენტაცია;
- მუსიკალური კოლაჟის შექმნა და პრეზენტაცია.

შეძენილი ცოდნა ჯამდება ყოველი თემის დასრულებისას.

მოსწავლე ფასდება:

დონეები	დონეების განსაზღვრება	დონეების განმარტება	სათანადო აქტივობის პირობა
პრესტრუქტურული დონე	ვერც ერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს.	ვერ ხედავს განსხვავებას შემართებითი თუ ჭვრეტითი, ლირიკული თუ დრამატული ხასიათის მუსიკას შორის. ვერ ხსნის, რა ასოციაციას ან რა განცდას იწვევს მასში ეს მუსიკა.	ამ მუსიკალური ფრაგმენტებიდან რომელია შენთვის სათნო, სიხარულის-მომგვრელი მუსიკა, და რომელი მუსიკა იწვევს შენში შფოთს, დაძაბულობას?
უნისტრუქტურული დონე	ამოიცნობს მუსიკალური ენის ცალკეულ ელემენტებს, მაგრამ ვერ ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებში ამ ელემენტებით მიღწეულ ემოციურ მუხტს და ვერ უკავშირებს ვერც ერთ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	ამოიცნობს ცალკეულ რიტმულ ფიგურაციას, მელოდიურ სვლას, აქტივობის პირობის ფარგლებში ამოიცნობს ცალკეულ ინტერვალს, მაგრამ ყოველივე ამას ვერ აკავშირებს რაიმე კონკრეტულ მხატვრულ სახეს, არ შეუძლია იმ ემოციური ეფექტის აღწერა, რომელიც ამ მუსიკალური ელემენტებით იქნა მიღწეული.	რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია მელოდიური ინტონაცია აგებული კვარტაზე და რომელში – კვინტაზე?

მულტისტრუქტუ-რული დონე	მუსიკალური ენის რამდენიმე ელე-მენტით ამოიცნობს მუსიკალური ნაწარ-მოების ემოციურ მუხტს. ამყარებს კონკრეტულ ასო-ციაციურ კავშირს (უკავშირებს კონკრე-ტულ ინტერპრეტა-ციას).	ამოიცნობს მუსი-კალური ენის რამ-დენიმე ელემენტს და უკავშირებს რაიმე ერთ მხატვრულ სახეს (მაგ., რამ-დენიმე კონკრეტულ ინტერვალზე აგებულ მელოდიურ ინტონა-ციას უკავშირებს სიყვარულის გრძნო-ბას).	მოუსმინე რამდენიმე მუსიკალურ ფრაგ-მენტს და შეარჩიე ის ფრაგმენტები, რომ-ლებიც, შენი აზრით, სიყვარულის გრ-ძნობას უკავშირდება, რა მახასიათებლების მიხედვით შეარჩიე?
მიმართებითი დონე	მუსიკალური ენის მრავალი ელემენტით ამოიცნობს მუსიკის შინაარსს (ემოციური მუხტი, მხატვრული სახე), განსაზღვრავს თითოეული მახა-სიათებლის როლს მხატვრული სახის შექმნაში.	შეუძლია მუსი-კალური ენის სხვა-დასხვა ელემენტი დაახარისხოს შემო-თავაზებული ინტერ-პრეტაციების მიხედ-ვით (მაგ., სხვადასხვა ინტერვალზე აგებულ მელოდიურ ინტონა-ციებს ახარისხებს სიყვარულის, სი-ძულვილის თემების მიხედვით).	დაახარისხე ეს ფრაგ-მენტები განწყობების მიხედვით, რომლე-ბიც პერსონაჟის განცდებს უკავშირ-დება, რა მახასიათებ-ლებით დაახარისხე ეს ფრაგმენტები?
გაფართოვებული დონე	მუსიკაში გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენების კანონ-ზომიერებებს. სთა-ვაზობს მუსიკალური ნაწარმოების საკუ-თარ ინტერპრეტა-ციას და მუსიკალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰ-ყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ.	ამოიცნობს მუსი-კაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარ-სობრივ კონტექსტში. (მაგ., შემოთავა-ზებული ფრაგმენ-ტებიდან გარკვეულ მახასიათებლებზე დაყრდნობით უკავ-შირებს სიყვარულის და სიძულვილის კონფლიქტის თე-მას, შემდეგ სთავა-ზობს განსხვავებულ კონტექსტს, მაგ., თავისუფლების-კენ სწრაფვა და ძალადობა) და მო-ჰყავს ამ ინტერპრე-ტაციის მართებულო-ბის არგუმენტები.	ამ მუსიკალური ფრაგმენტებიდან შეარჩიეთ ის ფრაგ-მენტი, რომელიც შეიძლება სიყვარულ-სა და სიძულვილს შორის კონფლიქტს წარმოგვიჩენდეს. კიდევ რა განსხვა-ვებული ინტერპრე-ტაცია შეიძლება მივუსადაგოთ ამ მუსიკალურ ფრაგ-მენტს? როგორ დაასაბუთებთ ამ ინტერპრეტაციას?

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები



ერთი და იგივე მელოდიები სხვადასხვა მეტრო-რიტმით:



რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები სამხმოვანების ბგერებზე.



სავარჯიშოები სეკვენციებით, გამეორებული წინადადებებით, შეცვლილი დაბოლოებით.



ერთხმიანი მეტრო-რიტმული სავარჯიშოები:2/4, 3/4 და 4/4 ზომაზე:



ორხმიანი მეტრო-რიტმული სავარჯიშოები ტაშით, კაკუნით ან სხვადასხვა დასარტყამი/საჟღარუნო საკრავით:











სცენარები

პირველი თავი – ხილული და უხილავი მუსიკაში (მატრიცა)

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
თემა: ხილული და უხილავი მუსიკაში
საათების რაოდენობა – 27

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- მუსიკის საშუალებით ხილულის და უხილავის გადმოცემა შეიძლება;
- ხილული და უხილავის ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული სიტყვის და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირის მიხედვით შეიძლება;
- სიტყვისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირი ყველაზე ნათლად დეკლამაციის ნაირსახეობებში იჩენს თავს;
- რაც უფრო მატულობს მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მნიშვნელობა დეკ-ლამაციაში, მით უფრო მკვეთრად იჩენს თავს შინაგანი, უხილავი არსი მუსიკაში;
- მუსიკაში ხილული და უხილავი ყველაზე მკაფიოდ გადმოიცემა ისეთ ჟანრებში, სადაც აქტიურად გამოიყენება სიტყვა: სიმღერა, კანტატა, ორატორია, ოპერა, მიუზიკლი და სხვა ვოკლური ჟანრები;
- ხშირ შემთხვევაში მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოიცემა როგორც მწვავე კონფლიქტი ასევე სრული ჰარმონია ხილულსა და უხილავს შორის.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები

- სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში ხილული და უხილვის გადმოცემაში;
- დეკლამაცია და მელოდეკლამაცია როგორც მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველობითი ხერხი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში;
- დეკლამაციის სხვა ნაირსახეობები ხილულის და უხილავის გადმოცემაში ორატორიაში;
- დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულში და უხილავის გადმოცემაში ოპერასა და სხვა ვოკალურ ჟანრებში;
- რეჩიტატივი, როგორც ხილულისა და უხილავის გამომსახველოვითი ხერხები;
- სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში, როგორც ხილულის გადმომცემის საშუალება.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

რიტმი – მრავალფეროვანი რიტმული ფიგურაციები რიტმულ დეკლამაციაში;
მელოდია – მელოდიური მოძრაობები ინტონირებულ დეკლამაციაში და დეკლამაციაში ნახ-ევარ-სიმღერით;
ჰარმონია – დეკლამაცია, როგორც ჰარმონიის ნაწილი;
ფორმა – ინსტრუმენტული მუსიკისა და დეკლამაციის ურთიერთკავშირით შექმნილი სტრუქტურა;
ჟანრი – ოპერა, მიუზიკლი, ორატორია, მცირე ვოკალური ჟანრები, პროგრამული მუსიკა, სიმფონიური პოემები, ინსტრუმენტული ციკლები.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
რიტმი • რიტმი გრძლიობის მიხედვით ხმებს, ბგერებს გარკვეული თანმიმდევრობით ალაგებს და მუსიკაში ერთგვარ წესრიგს ამყარებს; • ხმები და ბგერები ლაგდება უსაზღვრო რაოდენობის რიტმულ ფიგურაციებში; • მუსიკაში მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე, თუმცა რიტმს მუსიკაში დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია; • რიტმი მელოდიას და ზოგადად მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებს სხვადასხვა ხასიათს სძენს; • რიტმი მუსიკას სძენს დინამიკას; • რიტმი მუსიკას ემოციის, ემოციური ცვალებადობის გადმოცემაში ეხმარება **მელოდია** • მელოდია არის ერთ ხმაში გადმოცემული მუსიკალური აზრი; • მელოდიაში მუსიკალური აზრი დროში ხმის სიმაღლეების ცვლით გადმოიცემა; • ინტონაცია მელოდიის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მას შინაარსს სძენს და სიმაღლის მიხედვით უბრალო ბგერათცვლისგან განასხვავებს; • ინტონაცია	**სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში** **რიტმი** – რიტმული ფიგურაციები დეკლამაციაში; **მელოდია** – ინტონაცია; **ჰარმონია** – ურთიერთკავშირი სიტყვასა და ინტონაციას შორის; **ფორმა** – ფრაზა, წინადადება;	1. როგორ მიიღწევა დეკლამაციაში ხილული და უხილავი? 2. როგორ ამოვიცნო ის მხატვრული ხერხები რომლითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამაციაში? 3. რა მხატვრული ხერხების გამოყენებაა საკმარისი მხატვრული კითხვის დროს ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?	• შეთავაზებული რადიოსპექტაკლიდან ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა სიტყვისა და ინტონაციის როლზე ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; • უცხოურ ენაზე შექმნილი რადიოსპექტაკლის ნაწყვეტის მოსმენა, მისი გარჩევა, ჟანრისა და შინაარსის ამოცნობა, პერსონაჟების შინაგანი მდგომარეობის ამოცნობა და მსჯელობა, თუ რით არის მიღწეული ეს მდგომარეობები; • პროგრამა LMMS-ის მეშვეობით მხატვრულად წარმოთქმული ტექსტის მელოდიზება. **შენიშვნა:** LMMS-ში შესასრულებელი დავალებები სავალდებულო არ არის მათთვის, ვისაც ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ გააჩნია.

I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა

საკვანძო შეკითხვა: როგორ მიიღწევა დეკლამაციაში ხილული და უხილავი? რადიოსპექტაკლის ფრაგმენტის მოსმენისას მსახიობთა მიერ წარმოთქმულ რეპლიკებში ტექსტის შინაარსისა და ინტონაციის გამიჯვნა. განსაზღვრება იმისა თუ რა დატვირთვაა აქვს ტექსტსა და ამ ტექსტის წარმოთქვმის ინტონაციას. ამ კომპონენტების ხილულსა და უხილავთან დაკავშირება.

II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება

საკვანძო შეკითხვა: როგორ ამოვიცნო ის მხატვრული ხერხები რომლითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამაციაში?
ინტონაციის დაკვირვების მიზნით უცნობ ენაზე რადიოდადგმის მოსმენა. ინტონაციის მახასიათებლების დადგენა და ამ მახასიათებლებზე დაყდნობით ტექსტის სავარაუდო შინაარსის ამოცნობა. ვარაუდების შედარება რეალურ შინაარსთან და რეალური შინაარსის ინტონაციურ მახასიათებლებთან დაკავშირება. ხილულსა და უხილავის ურთიერთკავშირის ჭრილში ტექსტისა და ინტონაციის განხილვა.

III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემების და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა

საკვანძო შეკითხვა: რა მხატვრული ხერხების გამოყენებაა საკმარისი მხატვრული კითხვის დროს ხილულის და ულიავის გადმოცემაში?
რადიოდადგმის ფრაგმენტში წარმოთქმული რეპლიკების ინტონაციურ-შინაარსობრივი გარჩევა და მათი ხილულისა და უხილავის ურთიერთმოქმედების ჭრილში განხილვა.

რესურსები:	**შეფასების კრიტერიუმები: განმავით./განმსაზღვრ.**
მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: მუსიკის მოსმენა და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება.

ხშირ შემთხვევაში ბუნებაში არსებულ ინტონაციებს ემსგავსება, რითაც იგი განსაკუთრებულ ემოციურ გამოხმურებას ჰპოვებს მსმენელში:
• არსებობს მელოდიური ინტონაციები, რომლებსაც კონკრეტული მდგრადი შინარსობრივი დატვირთვა გააჩნია და სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში ამავე შინაარსობრივი მნიშვნელობით გამოიყენება;
• მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე

ჰარმონია
• ჰარმონია ცალკეულ ბგერებს თანახმიანობებში აერთიანებს;
• ჰარმონიაში სხვადასხვა ბგერების თანახმიანობა არსებობს: ინტერვალი, აკორდი, კილო, ბგერათწყობა და ა.შ.;
• ჰარმონიაში აკორდების თანმიმდევრობების მკაცრი კანონები არსებობს, რასაც ჰარმონიულ სვლებს ან ფორმულებს უწოდებენ;
• ჰარმონიული სვლების საშუალებით ვითარდება მუსიკალური აზრი;
• ჰარმონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკით განწყობის შექმნაში;
• ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოვლენის ადამიანის, საგნის დახასიათებაში;

საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
მელოდეკლამაცია, როგორც მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველობითი ხერხი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში **რიტმი** – რიტმული ფიგურაციები დეკლამაციაში; **მელოდია** – ინტონაცია; **ჰარმონია** – ურთიერთკავშირი სიტყვასა და ინტონაციას მუსიკალურ თანხლებას შორის; **ფორმა** – მელოდეკლამაციის, დეკლამაციისა და მუსიკალური თანხლების ურთიერთკავშირით შექმნილია სტრუქტურა; **ჟანრი** – ოპერა, მიუზიკლი.	1. რა როლს თამაშობს მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? 2. რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? 3. როგორ გამოვიყენო მელოდეკლამაცია და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად?	• მიუზიკლიდან ან ოპერიდან შემოთავაზებული ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა მელოდეკლამაციის და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხების როლზე ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; • მიუზიკლიდან ან ოპერიდან შემოთავაზებული ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამ ნაწყვეტის ფრაგმენტის სტრუქტურაზე; ცხრილის შედგენა; • პროგრამის მეშვეობით შემოთავაზებული დეკლამაციის, მელოდეკლამაციის და მუსიკალური თანხლების ნიმუშებისგან ერთიანი დრამატული სცენის შექმნა

II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა
საკვანძო შეკითხვა: რა როლს თამაშობს მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
მუსიკალური მაგალითების საფუძველზე ტექსტსა და მუსიკალური მხარეზე დაკვირვება, ტექსტის შენაარსა და ემოციურ დატვირთვაზე ვარაუდების გამოთქმა.
II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება
საკვანძო შეკითხვა: რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
ორივე მუსიკალურ მაგალითში ახალ გამომსახველობით ხერხზე დაკვირვება (მელოდეკლამაცია). მისი განსაზღვრება და მის მახასიათებლებზე მსჯელობა ხიულსა და უხილავის ჭრილში.
III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემების და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა
საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოვიყენო მელოდეკლამაცია და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად?
რაიმე მუსიკალურ მაგალითებზე დაყრდნობით მელოდეკლამაციის ინტონაციურ-შინაარსობრივ მხარეებზე მსჯელობა და ამ მხარეების ხილულისა და უხილავის ურთიერთმოქმედების ჭრილში განხილვა.

რესურსები:	**შეფასების კრიტერიუმები: განმავითარებელი, განმსაზღვრელი**
მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	მოსმენილ ნაწარმოებში დეკლამაციის ნაირსახეობების ამოცნობა და მათი როლის განსაზღვრა ხილულისა და უხილავის ამოცნობაში

• ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკით გარემოს შექმნის დროს; • მელოდიაც ჰარმონიის ნაწილია. **ფორმა** • ფორმა გვიჩვენებს, თუ როგორ არის აგებული მუსიკალური ნაწარმოები; • მუსიკალური ფორმა ეხმარება კომპოზიტორს სხვადასხვა მუსიკალური ელემენტი გააერთიანოს ერთ სრულყოფილ მუსიკალურ ნაწარმოებში; • ფორმის საშუალებით გადმოიცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსი; • მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოიცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა: • მუსიკალური ფორმის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე; • მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა; **ჟანრი** • მუსიკალური ნაწარმოების სახეობა, რომელსაც გარკვეული სტილისტური, სიუჟეტური, კომპოზიციური მახასიათებლები გააჩნია; • მუსიკალური ჟანრის წარმოქმნას ხშირ შემთხვევაში ისტორიული მოვლენები განაპირობებენ; • მუსიკაში ჟანრი ნაწარმოების ფორმას განაპირობებს	**საკითხი და ქვეცნებები**	**საკვანძო შეკითხვები**	**კომპლექსური დავალებები**
	რეჩიტატივი, როგორც ხილულისა და უხილავის გამომსახველი ხერხი **რიტმი** – რიტმი რეჩიტატივში; **მელოდია** – მელოდიური მოძრაობები რეჩიტატივში; **ჰარმონია** – რეჩიტატივი და თანხლება; **ფორმა** – საოპერო ფორმები; **ჟანრი** – ოპერა.	1. რა როლს თამაშობს რეჩიტატივი ხილული და უხილავის გადმოცემაში? 2. რა როლს ასრულებს საორკესტრო პარტია ოპერაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? 3. როგორ გამოვიყენო რეჩიტატივი მუსიკალურ კოლაჟში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?	• ოპერიდან შემოთავაზებული ნაწყვეტების საფუძველზე რეჩიტატივის შესაძლებლობების როლის განსაზღვრა ოპერაში ხილულისა და უხილავის ურთიერთკავშირების წარმოჩენაში; • მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამ ნაწყვეტის ფრაგმენტის სტრუქტურაზე; • შემოთავაზებული დეკლამაციის ნაირსახეობებისა და მუსიკალური თანხლების ნიმუშებისგან ერთიანი დრამატული სცენის შექმნა.
	I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა **საკვანძო შეკითხვა:** რა როლს თამაშობს რეჩიტატივი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? წინარე ცოდნის გააქტიურება საკითხში დასმული პრობლემების გაცნობის მიზნით. ახალი ცნების შემოტანა. **II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვა:** რა როლს ასრულებს საორკესტრო პარტია ოპერაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? კონკრეტული ოპერის მაგალითზე დეკლამაციის ერთ-ერთი სახეობის რეჩიტატივის გამოყენების ხერხებზე მსჯელობა და ხილულსა და უხილავის ურთიერთკავშირის წარმოჩენაში მისი როლის განსაზღვრება. **III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემების და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა** **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო რეჩიტატივი მუსიკალურ კოლაჟში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? კონკრეტული საოპერო ფრაგმენტის მაგალითზე რეჩიტატივის შესაძლებლობებზე საუბრისას ოპერაში ხილულისა და უხილავის ურთიერთკავშირების წარმოჩენა.		
	რესურსები: მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები.		**შეფასების კრიტერიუმები: განმავითარ./განმსაზღვრელი** რეჩიტატივის შესაძლებლობების განსაზღვრა ოპერაში ხილულისა და უხილავის ურთიერთკავშირების წარმოჩენაში; მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება.

(ხშირ შემთხვევაში ჟანრის და ფორმის სახელწოდება ემთხვევა კიდევაც) და განსაზღვრავს მის შინაარსსა და ხასიათს; • ხშირად ჟანრის წარმოქმნას გარკვეული ეპოქის ესთეტიკური შეხედულებები უწყობს ხელს	**საკითხი და ქვეცნებები**	**საკვანძო შეკითხვები**	**კომპლექსური დავალებები**
	დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში მსხვილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ფორმებში **რიტმი** – რიტმული დეკლამაცია; **მელოდია** – ინტონირებული დეკლამაცია; **ჰარმონია** – ტონიკა, კილო **ფორმა** – სამნაწილიანი ფორმა; **ჟანრი** – ორატორია.	1. როგორ გამოიყენება რიტმული და ინტონირებული დეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემის დროს? 2. რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? 3. როგორ გამოვიყენო რიტმული და ინტონირებული დეკლამაცია მუსიკაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად?	• ორატორიიდან შემოთავაზებული ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა მელოდეკლამაციის, დეკლამაციის და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხების როლზე ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; • ორატორიიდან შემოთავაზებული ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამ ნაწყვეტის ფრაგმენტის სტრუქტურაზე; • პროგრამის მეშვეობით შემოთავაზებული დეკლამაციის ნაირსახეობებისა და მუსიკალური თანხლების ნიმუშებისგან ერთიანი დრამატული სცენის შექმნა.

I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა

საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოიყენება რიტმული და ინტონირებული დეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემის დროს?

ჟანრი ორატორიის თავისებურებებზე დაყრდნობით დეკლამაციის ნაირსახეობების შინაარსობრივ დატვირთვაზე ვარაუდების გამოთქმა.

II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება

საკვანძო შეკითხვა: რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?

დეკლამაციის ახალი ნაირსახეობების გაცნობა და ნაწარმოებში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში მათი როლის განსაზღვრა. სიმღერაზე დაკვირვებით ჰარმონიის ელემენტებზე მუშაობა და ნაწარმოებში მათ შინაარსობრივ დატვირთვაზე მსჯელობა. მუსიკალური ნაწარმოების კონსტრუქციის ჩამოყალიბებაში დეკლამაციის ნაირსახეობებისა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ფორმების მნიშვნელობაზე მსჯელობა.

III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემების და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა

საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოვიყენო რიტმული და ინტონირებული დეკლამაცია მუსიკაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად?

ორატორიის რაიმე ფრაგმენტზე დაყრდნობით ხილულისა და უხილავის ურთიერთკავშირის წარმოჩენაში მელოდეკლამაციის ნაირსახეობის, სხვა მუსიკალური ხერხებისა და მათ მიერ წარმოქმნილი მუსიკალური კონსტრუქციების როლის წარმოჩენა.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	**შეფასების კრიტერიუმები: განმსაზღვრელი** მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტზე დაყრდნობით, ხილულისა და უხილავის ურთიერთკავშირის ამოცნობა და განსაზღვრა დეკლამაციის სახეობებში.

	საკითხი და ქვეცნებები	**საკვანძო შეკითხვები**	**კომპლექსური დავალებები**
	დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში სხვა ვოკალურ ჟანრებში **რიტმი** – რიტმული ფიგურაციები დეკლამაციაში; **მელოდია** – დეკლამაცია ნახევრადმღერით; **ჰარმონია** – ურთიერთკავშირი დეკლამაციაში სიტყვას და ნახევრად მღერას, მელოდიას და სხვა მუსიკალურ ხერხებს შორის; **ფორმა** – დეკლამაციისა და მუსიკალური თანხლების ურთიერთკავშირით შექმნილი სტრუქტურა; **ჟანრი** – ვოკალური ციკლი.	1. რა როლს თამაშობს ნახევრადმღერა და დეკლამაციის სხვა ნაირსახეობები ოპერასა თუ ვოკალურ ციკლებში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? 2. რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ვოკალურ ციკლებში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? 3. როგორ გამოვიყენო ნახევრადმღერა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის წარმოჩენისთვის?	• ვოკალური ციკლიდან შემოთავაზებული ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა მელოდეკლამაციის, დეკლამაციის, ნახევრადმღერისა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხების როლზე ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; • ვოკალური ციკლიდან შემოთავაზებული ნაწყვეტის საფუძველზე მსჯელობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამ ნაწყვეტის ფრაგმენტის სტრუქტურაზე; • პროგრამის მეშვეობით შემოთავაზებული დეკლამაციის ნაირსახეობებისა და მუსიკალური თანხლების ნიმუშებისგან ერთიანი დრამატული სცენის შექმნა.
	I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა **საკვანძო შეკითხვა:** რა როლს თამაშობს ნახევრადმღერას და დეკლამაციის სხვა ნაირსახეობები ოპერასა თუ ვოკალურ ციკლებში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? ვოკალური ციკლის მთავარი გმირის გაცნობის გზით ნაწარმოების საკვანძო იდეასა და ამ იდეის გადმოცემაში ხილულისა და უხილავის კონფლიქტის როლზე მოლოდინების განსაზღვრა. **II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვა:** რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში? ვოკალური ციკლის სტრუქტურის და შინაარსის გაცნობა და ამის საფუძველზე მთლიანი ნაწარმოების მთავარი იდეის წარმეჩენაში დეკლამაციის ნახევრადმღერით მიშვნელობის განსაზღვრა. **III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემების და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა** **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო ნახევრადმღერა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის წარმოსაჩენად? ვოკალური ციკლის ერთ-ერთი ნომრის მაგალითზე დეკლამაციის ნახევრადმღერით გადმოცემულ ხილულისა და უხილავის დაპირისპირებაზე მსჯელობით მთლიანი ნაწარმოების იდეის, ადამიანის შინაგანი კონფლიქტის წარმოჩენა.		
	რესურსები: მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები		**შეფასების კრიტერიუმები:** **განმავითარებელი/განმსაზღვრელი** მუსიკის გამომსახველობითი ხერხების როლის განსაზღვრა ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება.

	საკითხი და ქვეცნებები	**საკვანძო შეკითხვები**	**კომპლექსური დავალებები**
	სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში, როგორც ხილულის გადმოცემის საშუალება. პროგრამული მუსიკა **რიტმი** – რიტმული ფიგურაციები მუსიკაში მხატვრული სახის შექმნაში; **მელოდია** – ინტონაციური ფორმულები; **ჰარმონია** – ინტონაცია; **ფორმა** – ფრაზა, წინადადება; **ჟანრი** – პროგრამული მუსიკა.	1. როგორ მოქმედებს სიტყვა მუსიკალური ნაწარმოების აღქმაზე? 2. როგორ განსაზღვრავს სიტყვა მუსიკალურ ფორმას? 3. როგორ გამოვიყენო სიტყვა საკუთარი კომპოზიციის წარსადგენად?	• რაიმე ტექსტზე აგებული კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების გარჩევა. მუსიკალურ მასალასა და ლექსის შინაარსს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; • მსჯელობა ლექსის კომპოზიციისა და მუსიკალური ნაწარმოების ფორმას შორის კავშირებზე; • პროგრამის მეშვეობით შემოთავაზებული მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტებიდან ლოგიკური თანმიმდევრობით მთლიანი კომპოზიციის შექმნა.
	I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების და მიზნების გაცნობა **საკვანძო შეკითხვა:** როგორ მოქმედებს სიტყვა მუსიკალური ნაწარმოების აღქმაზე? წინარე ცოდნის გააქტიურება მუსიკალურ ნაწარმოებში სიტყვის როლის გაცნობიერების მიზნით. სხვადასხვა მუსიკალური ფრაგმენტის მაგალითზე მსჯელობა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს მსმენელის აღქმაზე ავტორის მიერ ნაწარმოების სათაურში მითითებული მხატვრული სახე. **II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვა:** როგორ განსაზღვრავს სიტყვა მუსიკალურ ფორმას? ლექსების ციკლზე აგებული საფორტეპიანო ციკლის მაგალითზე განხილვა იმისა, თუ როგორ განაპირობებს ლიტერატურული პირველწყარო ინსტრუმენტული მუსიკის ფორმას. ასოციაციური კავშირების გაბმა ლიტერატურული პირველწყაროსა და მისი მიხედვით შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებს შორის. **III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემების და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა** **საკვანძო შეკითხვა:** როგორ გამოვიყენო სიტყვა საკუთარი კომპოზიციის წარსადგენად? რაიმე ლექსზე მუსიკალური კოლაჟის შექმნა და მისი კლასის წინაშე წარდგენა. წარმოჩენა იმისა, თუ როგორ იმოქმედა ლექსის შინაარსმა მუსიკალური მასალის შერჩევაში და როგორ განაპირობა ლექსის კომპოზიციამ მუსიკალური კოლაჟის ფორმა. რაიმე ლექსზე აგებული მუსიკალური კომპოზიციის გარჩევა. მუსიკალურ მასალასა და ლექსის შინაარსს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა. მსჯელობა ლექსის კომპოზიციასა და მუსიკალური ნაწარმოების ფორმას შორის კავშირების წარმოჩენაზე.		
	რესურსები: მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.		**შეფასების კრიტერიუმები: განმსაზღვრელი** დავალების შესრულებისას ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა.

I თავი
მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
ხილული და უხილავი მუსიკაში

1-3

სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში

დეკლამირების საწყისებთან

საკვანძო სიტყვები	ანტიკური ხელოვნება; ორატორი; ინტონაცია; ხილული და უხილავი; მხატვრული დეკლამაცია.
მიზანი	ინტონირებული დეკლამირების განსაზღვრა; მუსიკის გამომსახველობითი ფორმები ხილულისა და უხილავის ამოცნობისთვის.
საკვანძო შეკითხვები	• როგორ მიიღწევა დეკლამაციაში ხილული და უხილავი? • როგორ ამოვიცნო ის მხატვრული ხერხები რომლითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამაციაში? • რა მხატვრული ხერხების გამოყენებაა საკმარისი მხატვრული კითხვის დროს ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
რესურსი	მოსწავლის წიგნი, რვეული, ელ.რესურსი – აუდიო (№№1, 2).

აქტივობა 1

გამის გამღერება; რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:



აქტივობა 2

მასწავლებელი:

არსებობს ორი სამყარო – ხილული და უხილავი.

ხილული სამყარო არის ის, რასაც ვხედავთ ზოგადად და რასაც ფიზიკურადაც ვეხებით – ესაა ნიადაგი, მცენარეები, მყარი საგნები, სითხე და ყველაფერი ის, რასაც თვალით ვხედავთ.

როგორ შეიძლება შევიგრძნოთ უხილავი სამყარო? უხილავი სამყარო არის ის, რაც გრძნობასთან, შეგრძნებასა და წარმოსახვასთან ასოცირდება: სუნი, სიცხე, სიცივე, ხმები... ანუ ყველაფერი ის, რასაც განვიცდით, რის წარმოდგენასაც გვიქმნის თვალით დანახული საგანი. მაგალითად, როცა ყინულის ნატეხს ვეხებით, სიცივეს ვგრძნობთ. ამ შემთხვევაში ყინული ხილულია, სიცივე – უხილავი, რომელიც ჩვენში გამოიწვია ყინულის შეხებამ. თუნდაც ფერწერულ ტილოზე ვნახოთ ზამთრის პეიზაჟი, გუნდაობა, გონებაშიც თითქოს სიცივის ასოციაცია დაგვეუფლება და საკუთარ თავს წარმოვიდგენთ იმ გარემოში, რაც ტილოზეა გამოსახული ან ვიხსენებთ მომენტებს საკუთარი ცხოვრებიდან, როცა ჩვენც ამგვარ გარემოში ვყოფილვართ. სხვა შემთხვევა: როცა სიცარიელეში ვიყურებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წინ არაფერია. ვიცით, რომ სპეციალური მოწყობილობებით შესაძლებელია ამ სიცარიელეში ადამიანის ყურისათვის მიუწვდომელი ხმის ვიბრაციის, თვალისათვის უჩინარი თბილი და ცივი ნაკადების, მაგნიტური და ელექტრომაგნიტური ველების, რადიოტალღების, რადიაციის, ელექტრული და ბიოლოგიური ველების აღმოჩენა. ვხედავთ ელვას ცაზე, ცისარტყელას, პოლარულ ნათებას, მაგრამ რისგანაა ეს გამოწვეული და რა ქიმიური და ფიზიკური პროცესები მიმდინარეობს ამ დროს ატმოსფეროში,

ამის თვალით დანახვა შეუძლებელია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გარშემო არაფერი არ ხდება. ესაა უხილავი სამყარო.

ხელოვნების ნაწარმოებს თავისი ენა აქვს და ამ ენით უნდა წავიკითხოთ, ამოვიცნოთ დედააზრი. ხელოვნების რა დარგის ნიმუშთანაც არ უნდა გვქონდეს შეხება – იქნება ეს მხატვრობა, თეატრი, ლიტერატურული ნაწარმოები თუ მუსიკა, აღქმის პროცესი ძალიან ინდივიდუალურია. თითოეულს სრულიად განსხვავებული აზრი და შეგრძნებები შეიძლება გაუჩნდეს ერთი და იმავე ნაწარმოების გაცნობისას. ამ დროს ადამიანი მთელი თავისი არსებითაა მასში ჩართული – ინტუიციით, წარმოსახვით, გრძნობით, გონებით. ანუ ხელოვნების ნაწარმოები გვაძლევს იმის პირველწყაროს, რომ ავამუშაოთ ფანტაზია, აზრობრივად წარმოვიდგინოთ, ვივარაუდოთ, რა იგულისხმება ნანახისა თუ მოსმენილის მიღმა და ამოვიცნოთ, რა ხერხებით აქვს ავტორს გადმოცემული თავისი ჩანაფიქრი.

სახელმძღვანელოს პირველ თავში მუსიკაში ხილულისა და უხილავის განხილვა დავაფუძნეთ სიტყვისა და მუსიკის მოსმენით გამოწვეულ განწყობებსა და წარმოდგენებზე: სიტყვა – როგორც ხილულისა და მუსიკა – როგორც უხილავის საწყისი. მომდევნო გაკვეთილებიდან სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის გაცნობისას დაწვრილებით განვიხილავთ ამ ასპექტებს.

***

მერვე კლასის სასწავლო კურსის პირველი თემა მთლიანად ეძღვნება დეკლამაციასა და მის ნაირსახეობებს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში.

დეკლამირების ხელოვნება უძველესი დროიდან, ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. ამიტომ დავიწყოთ მცირე ექსკურსით იმ ეპოქის მუსიკალური კულტურის წარმოშობის სათავეებიდან.

ანტიკურობამ, როგორც ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურულმა მემკვიდრეობამ, უდიდესი გავლენა იქონია ევროპისა და საერთოდ მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ და რელიგიურ აზროვნებაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფილოსოფიურსა და იურიდიულ შეხედულებებზე. ეს გავლენა დღემდე გრძელდება და ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური მემკვიდრეობის ჰუმანისტურ იდეალებს, რომელიც კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პროგრესულ ძალთა მასაზრდოებელი არსენალი იყო.

ანტიკური ხანა (ლათ. antiquus – ძველი) – ტერმინი თავდაპირველად აღნიშნავდა უძველესი წარსულის ხელოვნების განსაკუთრებულ სფეროს. მას შემდეგ მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ხელოვნების ისტორიის შესწავლას, საერთო აღიარება ჰპოვა აზრმა ძველი ბერძნული და რომაული კულტურების უაღრეს მნიშვნელობაზე ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში. სწორედ ამ უაღრესობის გამო ეწოდა მხოლოდ ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურებს „ანტიკური“.

ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის კულტურის (ისევე, როგორც სხვა უძველესი კულტურების – ეგვიპტე, სირია, პალესტინა) ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მუსიკის არსებობა ხელოვნების სხვა ფორმებთან ერთობაში. ანტიკური ტრაგედია წარმოუდგენელი იყო მუსიკის გარეშე: მასში დიალოგები გადაიზარდა მელოდიურ რეპლიკებსა და სიმღერით წარმოთქმაში, თითოეული ეპიზოდი დასრულებული იყო საგალობელი ნომრით. დრამატურგი ითავსებდა მუსიკოსის, რეჟისორის და ზოგჯერ მსახიობის ფუნქციასაც კი. ასეთ ფორმას **სინკრეტული ხელოვნება** ეწოდა. მოგვიანებით ეს დარგები ცალკე პროფესიებად დაიყო. ანტიკური ცივილიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები ასეთია: ძვ. წ. VIII – ჩვ. წ. V საუკუნის შუა წლები.

ცნება „ანტიკური ხელოვნება“ გაჩნდა აღორძინების (რენესანსის) ეპოქაში (1400-1600 წწ.), როცა ძველი საბერძნეთისა და რომის შესანიშნავი ქმნილებები ითვლებოდა სანიმუშო, კლასიკურ ქმნილებებად ევროპული კულტურისათვის.

ანტიკურმა ხანამ მოგვცა ისეთი დიდი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ: პლუტარქე, პითაგორა, ქსენოფანე, პლატონი, სოკრატე, არისტოტელე, დემოკრიტე და სხვ. მოგვიანებით სწორედ მათ მიერ ჩამოყალიბებულმა ფილოსოფიურმა იდეებმა შექმნა შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების საფუძვლები, რაც ევროპული სოციალური აზრის განვითარების საწინდარი გახდა.

ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვრად მიიჩნევა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანში პიროვნული ღირსებების აღიარება, სულიერების უპირატესობა, მეცნიერების, ხელოვნების, მითოლოგიის აღმავლობა, თავისუფლების შეცნობა. ანტიკურობის უდიდეს მიღწევად აბსტრაქტული მეცნიერებების – ფილოსოფიის, ასტრონომიის, მათემატიკის, მექანიკის, მედიცინის, ისტორიის, მართლმსაჯულების, ეკონომიკის აღმოცენებაც ითვლება. სწორედ ანტიკურ ხანაში დაედო დასაბამი ფილოსოფოსთა სკოლას, პლატონის აკადემიას, არისტოტელეს ლიცეუმს, ალექსანდრიულ მუზეუმს (მუსეიონი); შეიქმნა განათლების სისტემა, რათა ახალგაზრდა თაობა დაუფლებოდა მეცნიერებას, ხელოვნებას, საბრძოლო საქმეს.

ადამიანში სულიერების აღორძინებამ ბიძგი მისცა მსოფლიო რელიგიების აღმოცენებას, ჩვ. წ. I საუკუნეში რომაული იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში თავი იჩინა ქრისტიანობამ, რომელიც, მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, IV საუკუნეში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს.

ანტიკური ცივილიზაციის მონაპოვარია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებული წყობა – დემოკრატია. მისი ძირითადი პრინციპები დღემდე ყველა ქვეყნის დემოკრატიულ პარტიათა და მოძრაობათა პროგრამების საფუძვლებად გვევლინებიან.

დიდი იყო ანტიკური ცივილიზაციის წვლილი ეკონომიკის განვითარებაში. სწორედ ანტიკურ ეპოქაში აღმოცენდა წარმოების ორგანიზაციის, საკუთრების, ფინანსურ, ფულად თუ სხვა ურთიერთობათა ფორმები; დაარსდა სახელმწიფო ბანკები და ხაზინები.

ანტიკურ ხანაში გახდა შესაძლებელი პირველი მსოფლიო იმპერიების წარმოქმნა, შეიქმნა რომაული იმპერია.

მოისმინეთ ანტიკური ხანის მუსიკა – ანტიკური პერიოდის ხალხთა მეტყველება, ჰომეროსის სიმღერა კითარას აკომპანემენტით, საკრავების ჟღერადობა აუდიოფაილებიდან №1, 2, 3, 4; რიტმული დეკლამაცია №5.

აქტივობა 3

აქტივობა – შემოქმედებითობა და პრაქტიკა. მოსწავლეები დეკლამირებენ: მოხალისე მოსწავლეები მონაცვლეობით კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ფრაგმენტებს ციცერონის ნააზრევიდან.

მასწავლებლის ინსტრუქცია მოსწავლეებს: ...მეტყველებისას აუცილებელია მარცვლებზე მახვილის სწორად გაკეთება. წარმოთქმის გამოკვეთილობა მოითხოვს, რომ ხმოვანი ბგერები გამოითქვას სუფთად, თანხმოვნები კი – ენერგიულად, რომლის დროსაც ჩართული იქნება სხეულის ორგანოები: ფილტვები, დიაფრაგმა, სასუნთქი ორგანოები; ყველა მარცვალი რომ კარგად ისმოდეს, პირი საჭირო ფორმით უნდა გაიღოს, ეს ხმას სათანადო სიძლიერეს მისცემს. წარმოთქმის სილამაზე დამოკიდებულია ხმის ტემბრის მელოდიურობასა და სწორად წარმოთქმაზე.

ინფორმაცია მასწავლებელს:

რიტმი თანაზომიერი სამეტყველო ერთეულების მოწესრიგებული გამეორებაა. „რიტმოს" ბერძნულად ნიშნავს თანაზომიერებას, სინატიფეს. რიტმულობა მრავალ მოვლენას ახასიათებს. რიტმულად გამოთქმული აზრი უფრო მკვეთრად იჭრება ადამიანის გონებაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, ლექსების გარდა, ხალხურ ანდაზებსა და გამოთქმებსაც კი რიტმი ახასიათებთ.

ლექსთწყობა, იგივე ვერსიფიკაცია (ლათ. versus – ლექსი და facio – ვქმნი) – მხატვრული მეტყველების ბგერითი, მეტრულ-რიტმული, ფსიქოლოგიურ-ინტონაციური ორგანიზაციაა, რომელიც ლექსს ესთეტიკურ მნიშვნელობას სძენს.

ლექსითი მეტყველების საწყისები სინკრეტიზმის ხანაშია, როდესაც სიმღერა, პოეზია, მუსიკა და ცეკვა მთლიანობაში იყო წარმოდგენილი. ხელოვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ლექსითი მეტყველება გამოეყო მელოდიას, რომელიც ძირეულად განსხვავდება მისგან ბგერის სიმაღლითა და ხანგრძლივობით.

რითი განსხვავდება ლექსისა და მელოდიის მეტრო-რიტმული სტრუქტურა? მუსიკალური რიტმი უწყვეტია, მუსიკალურ პაუზებს განსაზღვრული მეტრი აქვს და ისინი მუსიკალურ საზომში შედის, ლექსის რიტმი კი წყვეტილია, ყოველ ტაეპში რიტმული მოძრაობა თავიდან იწყება, ტაეპების შიგა პაუზები და პაუზები ტაეპებს შორის მკაცრად განსაზღვრული არ არის და სალექსო საზომში არ შედის.

მოსწავლეები ჯგუფებში წარმოადგენენ თავიანთ მოფიქრებულ სკეტჩს ან სახალისო სცენას რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოებიდან.

თანაკლასელები დაასახელებენ საუკეთესო დეკლამატორებს.

მე-20 ს-ის ცნობილი ორატორები: უინსტონ ჩერჩილი – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, შარლ დე გოლი – გენერალი, საფრანგეთის პრეზიდენტი, ადოლფ ჰიტლერი – ფაშისტური გერმანიის ფიურერი, ბენიტო მუსოლინი (დუჩე) – ფაშისტური იტალიის თავკაცი, ფრანკლინ რუზველტი – აშშ-ის პრეზიდენტი, ჯავაჰარლალ ნერუ – ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, რონალდ რეიგანი – აშშ-ის პრეზიდენტი, მარგარეტ ტეტჩერი – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ნელსონ მანდელა და სხვ.

ზოგადი ინფორმაცია მასწავლებელს:

რა არის დეკლამაცია

დეკლამირების ხელოვნებას ოდითგანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილი მხედართმთავრები თავიანთი მგზნებარე მიმართვით გმირული თავგანწირვისთვის მოუწოდებდნენ მეომრებს, ბერძენმა ფილოსოფოსმა სკოლაც კი შექმნა, სადაც ახალგაზრდები ორატორულ ხელოვნებას ეუფლებოდნენ.

დეკლამაცია (ლათ. Declamatio) – ვარჯიში ორატორულ გამოთქმაში, ლიტერატურული ტექსტის მხატვრული კითხვა – გულისხმობს მეტყველების გარკვეულ მუსიკალურობას.

დეკლამირების მხატვრულ ხერხს, რომლის დროსაც შემსრულებელი ტექსტს კითხულობს ემოციურად ამაღლებულ მანერაში, იყენებს მრავალ სამეტყველო ინტონაციას მოქნილი მხატვრული სახის შესაქმნელად, **ინტონირებული დეკლამაცია** ჰქვია.

რიტმული დეკლამაცია ნიშნავს ტექსტის ან მელოდიის გარკვეულ რიტმში გადმოცემას. რიტმული დეკლამაცია არის თხრობითი ტექსტის ან ლექსის გამოთქმა რიტმში. ძირითადი წესია: ყველა სიტყვა, ყველა მარცვალი, ბგერა წარმოითქმება გააზრებულად. ერთი და იმავე ტექსტმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ემოცია, რადგან დამოკიდებულება ერთი და იმავე პერსონაჟის ან მოვლენის მიმართ შეიძლება სხვადასხვა გზით შეიცვალოს. მუსიკასა და სიტყვას ერთი ფუძე აქვს – ინტონაცია, აქედან გამომდინარე, სიტყვიერი გამოსახულება და მუსიკა განუყოფელია. მოზარდები რაც უფრო ღრმად გაიაზრებენ ტექსტურ გამოსახულებას, მით უფრო გასაგები იქნება მათთვის და შემდეგ შეძლებენ გამოხატონ მუსიკალური ნააზრევი. რიტმულ დეკლამაციას შეიძლება თან დავურთოთ რიტმული თანხლება (მარაკასები, სამკუთხედი, ზარები, ჯოხები, დასარტყამი ინსტრუმენტები). მელოდიის ჟღერადობას შეიძლება თან ახლდეს სხვადასხვა მოძრაობა, რაც ხელს უწყობს ბავშვებს ფიზიკურად შეიგრძნონ ტემპი, დინამიკა და მეტყველების რიტმი. რიტმო-დეკლამაციის გამოყენება ხელს უწყობს ხმის ჟღერადობის ბუნებრივ ფორმირებას, სიტყვის და სასიმღერო სუნთქვის გამომუშავებას, მკაფიო დიქციისა და სხვადასხვა ხასიათის, მუსიკალური მასალის გამომსახველ საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებას.

XVIII საუკუნის ფრანგულ თეატრში ცდილობდნენ მსახიობთა მეტყველება წარმოედგინათ მელოდიის სახით – ანუ მეტი ყურადღება დაეთმო სიტყვის მელოდიზებას.

მუსიკალური დეკლამაციის ერთ-ერთი ფორმაა **მელოდეკლამაცია** ანუ ლიტერატურული ტექსტის კითხვა მუსიკის ფონზე. ეს ჟანრი განსაკუთრებით პოპულარული იყო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

დეკლამაციის ერთ-ერთი ფორმაა **რეჩიტატივი**. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა განსხვავებაა მეტყველებასა და სიმღერას შორის, მაგრამ არსებობს გარდამავალი ფორმები, რომლებიც ახლოსაა ორივესთან. ოპერაში, ორატორიაში, კანტატაში, მიუზიკლში და სხვ. გამოიყენება როგორც წმინდა სიტყვიერი – მშრალი რეჩიტატივი – secco (საუბარი), ისე ნოტირებული (მღერადი) რეჩიტატივი.

ვოკალურ მუსიკაში, საჭიროებისამებრ, ტექსტს არ მღერიან, მაგრამ სიტყვებს წარმოითქვამენ გარკვეული რიტმით. ასეთ შემთხვევებში, პარტიტურაში ნოტების თავების ნაცვლად, უბრალოდ იწერება ჯვრები (შტილები, რომლებითაც რიტმია ნაჩვენები). აქ საქმე გვაქვს **რიტმულ** დეკლამაციასთან.

დეკლამაციის ნაირსახეობებს დეტალურად შემდგომ გაკვეთილებზე თანდათანობით გავეცნობით.

აქტივობა 4

ძნელი სათქმელია, თუ როდის და სად ჩაისახა პირველად თეატრის იდეა. მინოსური კულტურის მკვლევარნი ამტკიცებენ, რომ მცირე ამფითეატრები კრეტის უძველეს მკვიდრთა სასახლეებსაც ამშვენებდნენ. კერძოდ, ფესტოსა და კნოსოსში აღმოჩენილია ევროპის კონტინენტზე პირველი თეატრის ტიპის ნაგებობანი, სადაც 500-მდე მაყურებელი ეტეოდა. ჩანს, იქ იმართებოდა სანახაობები, თუ რა სახის, არავინ იცის, მაგრამ ის, რომ დრამა თავისი კლასიკური ფორმით პირველად სწორედ საბერძნეთში ჩამოყალიბდა, საყოველთაოდ არის აღიარებული.

ძველი საბერძნეთის მუსიკალური კულტურა, პოეზიასთან ერთად, ძველბერძნული ანტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ მან უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპული მუსიკალური კულტურისა და მუსიკალური მეცნიერების განვითარებაზე, დიდი მუსიკალური მემკვიდრეობა არ დაუტოვებია. ძვ. წ. V ს-დან ახ. წ. III ს-ის მიწურულამდე (ანუ თითქმის მთელი რვა საუკუნის განმავლობაში) შექმნილი მუსიკიდან დღემდე შემორჩენილია ძველბერძნული მუსიკის მხოლოდ 11 მაგალითი (ზოგიერთი – ფრაგმენტის სახით). ლიტერატურისა და გამომსახველობითი ხელოვნების (კედლის მხატვრობა) მაგალითებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ძველი ბერძნების ცხოვრებაში. ისინი მუსიკას მეცნიერების დარგად მიიჩნევდნენ და აღმზრდელობით ფუნქციას ანიჭებდნენ.

დღემდე კამათს იწვევს თეატრისა და მასში წარმოსადგენად განკუთვნილი დრამების „დაბადების“ საკითხი. მკვლევართა უმეტესობა ეთანხმება არისტოტელეს, რომელიც თეატრის წარმოშობას დიონისეს კულტს უკავშირებს.

საბერძნეთში თეატრი პირველად აღმოცენდა დაახლოებით ძვ.წ. VI საუკუნეში. აქვე დამკვიდრდა თეატრთან დაკავშირებული პირველი დრამატული ჟანრები – **ტრაგედია**, **კომედია** და **სატირული დრამა**.

ღმერთმა, რომლის არსი ორგანულად ითავსებდა მწუხარებასა და მხიარულებას, სხვადასხვა რიტუალს მისცა იმპულსი.

მათ შორის გამოირჩეოდა სამი:

მოკვდავნი დიონისეს ტანჯვის ამბებს ჰყვებოდნენ და მათ ღმერთის მიერ გადატანილ განსაცდელთა დასატირებელი დითირიმბებით ეხმიანებოდნენ, დითირიმბები მსმენელს მოუთხრობდნენ დიონისეს თავგადასავლის იმ ეპიზოდებს, რომელშიც ტანჯვა და ლხინი მონაცვლეობდა. ტრადიცია დითირიმბის ცივილიზებულ სანახაობად გადაქცევის გზით წავიდა. აქედან უნდა წარმოშობილიყო **ტრაგედია**.

დიონისეს დღესასწაულებზე საერთო ღრეობის შემდეგ იმართებოდა მხიარული პროცესია **კომოსი**. როგორც ჩანს, გაკილვა, დაცინვა, გაშაირება შეზარხოშებული მონაწილეებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამდენად, აქედან უნდა წარმოქმინილიყო **კომედია**.

ტერმინი – **ტრაგედია** – ბერძნული რელიგიური სარიტუალო სიმღერები, რომლებიც სრულდებოდა დიონისესადმი მიძღვნილ დღესასწაულებზე, დაახლ. ძვ.წ.433 წელს გაჩნდა, ხოლო **კომედია** – დაახლ. ძვ.წ. 442 წელს.

სატირული დრამა თუ სანახაობა თავდაპირველად ასევე დიონისეს კულტთან იყო დაკავშირებული. მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, სატირები ნახევრად ადამიანები, ნახევრად ცხოველები, დიონისეს ამალის განუყრელი წევრები იყვნენ. მათ განსაკუთრებულად იზიდავდნენ მენადები, ე. წ. „შეშლილი ქალები“.

სატირა აღმოცენდა ძველ რომაულ ლირიკაში. შემდეგში დაკარგა ჟანრულობა, თუმცა განსაზღვრავს სხვადასხვა ჟანრის არსს: იგავ-არაკის, ეპიგრამის, პამფლეტის, ფელეტონის. სატირის პრინციპზე აგებული რომანი გადაიქცა სატირულ რომანად, დრამა კი – კომედიად. სატირისთვის დამახასიათებელი იერსახე იქმნება გაზვიადებით, გროტესკით, სარკაზმით.

ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულიდან ტრაგედიებიც, კომედიებიც და სატირული დრამებიც იმართებოდა საბერძნეთის სხვა ქალაქებშიც. მათ საფუძვლად ედოთ ის საკულტო ცერემონიალები, რომლებიც ეწყობოდა ღვთაება დიონისეს სადიდებელ ზეიმზე. დროთა განმავლობაში ეს თეატრალიზებული სანახაობები სახელმწიფოებრივ დღესასწაულთა განუყოფელ ნაწილად იქცა, თავდაპირველად – ე. წ. **დიდი დიონისიებისა**, რომელიც იმართებოდა მარტის თვეში, ხოლო შემდეგ კი, ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრიდან, იმ ზეიმისაც, რომელსაც **ლენეები** ეწოდებოდა, იანვრის თვეში აღნიშნავდნენ.

თეატრალური სანახაობის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა **არქონტ-ეპონიმოსი**, რომელსაც მიმართავდნენ ავტორები თავიანთი საკონკურსო ქმნილებებით. თითოეულ ტრაგიკოსს უნდა წარმოედგინა სამი ტრაგედია და ერთი სატირული დრამა. მათგან არქონტი აარჩევდა მხოლოდ სამ პოეტს. **კომედიოგრაფოსთაგან** კი უპირატესობა ეძლეოდა ხუთ დრამატურგს. თითოეულს თითო კომედია უნდა წარმოედგინა. შემდეგ არქონტი დანიშნავდა **ქორეგოსებს**, რომელთაც უნდა ეზრუნათ ქოროთა მოსამზადებლად. ეს საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვდა, მაგრამ დრამატული ფესტივალის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება დიდ პატივად ითვლებოდა: ქორეგოსი გამარჯვების ღირსეული თანამონაწილე იყო.

ქოროს ანუ გუნდის როლი ტრაგედიაში ერთობ საპასუხისმგებლო იყო. იგი მთელი საზოგადოების აზრს გამოხატავდა სიტყვით, სიმღერითა და ცეკვით. ცნობილი დრამატურგების – ესქილეს, სოფოკლეს პიესებში მნიშვნელოვან დრამატურგიულ ხაზს სწორედ გუნდი წარმოადგენდა. ქოროს შემოსვლით იწყებოდა ტრაგედია და უკანასკნელი ტოვებდა სცენას. თუმცა ტრაგედიის მოქმედების ძირითადი ღერძი მაინც მსახიობი იყო. ბერძნული დრამა სამი მსახიობით შემოიფარგლებოდა. ქალები თეატრის სცენაზე არ დაიშვებოდნენ. (იხ. ვიდეოფაილი №1).

ძველ ბერძენ ხელოვანთა დამსახურებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- როგორც ნებისმიერ სხვა ძველ ცივილიზაციაში, საბერძნეთში ხელოვნება **სინკრეტიულია** (სინთეზური), შესაბამისად, მუსიკა ჟღერდა ყველგან – ზეთისხილის ბაღებში მოსავლის აღების დროს, სახელოსნოებში, გემებზე, ომში წასვლისას. ჰომეროსისა და ძველი პოეტების ლექსებს თანხლებას უწევდა მუსიკალური საკრავები, ძირითადად, ავლოსი, ლირა და კითარა;
- რეპერტუარის მრავალფეროვნება: სასიყვარულო, ეპიკური, საწესჩვეულებო;
- მათი ხელოვნება იმპროვიზაციას ეფუძნებოდა, ტრაგედია შეიცავდა დრამას, მუსიკას და ცეკვას ერთდროულად. დრამატურგები – ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე იმავდროულად მუსიკის შემქმნელებიც იყვნენ. როგორც წესი, ის სრულდებოდა **კორიფესა** (სოლისტი) და **ქოროს** (გუნდის) მიერ. ევრიპიდე აქცენტს სოლო მუსიკალურ ფრაგმენტებზე აკეთებდა;
- ჰერაკლიტემ (ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, დაახლ. ძვ. წ. 520-460) ყურადღება გაამახვილა მუსიკის დიალექტიკურ ბუნებაზე, არისტოქსენემ – მუსიკის აღქმაზე. მუსიკალური ეთიკის, ესთეტიკისა და ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულნი იყვნენ პლატონი და არისტოტელე. ევროპული მუსიკალური თეორიისათვის ამოსავალია პითაგორას იდეა მუსიკალურ ჰარმონიაზე და ინტერვალთა მათემატიკურ საფუძველზე; ის თვლიდა, რომ მუსიკალური ინტერვალები შეესაბამება დედამიწასა და პლანეტებს შორის არსებულ მანძილს. ამ ფილოსოფიურმა კონცეფციამ „სფეროთა ჰარმონიის“ სახელწოდება მიიღო;
- ნოტაცია ხორციელდებოდა ფინიკიური ასოების მეშვეობით.
- ლირიკაში გაბატონებული ჟანრი იყო „ოდა“, რაც ნიშნავდა უბრალოდ სიმღერას ანუ ლექსს სიმღერისათვის. დეკლამირებისათვის განკუთვნილ ლექსს უწოდებდნენ „ელეგიას“.

ბერძნებს იმდენად უყვარდათ თეატრალური წარმოდგენები, რომ დროთა განმავლობაში თეატრალურ სანახაობაზე დასწრებას რიტუალური სახეც კი მიეცა, თავისი წესებითა და ტრადიციებით. იმ დროს თეატრალური სანახაობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ის სამ დღესაც კი გრძელდებოდა, ხალხი თეატრში დასასწრებად მზადებას დიდი ხნით ადრე იწყებდა, პროდუქტსაც კი იმარაგებდნენ, რადგან წარმოდგენები და სხვა სანახაობები ერთმანეთის მიყოლებით იმართებოდა.

თუ დღევანდელ თეატრში წარმატებული გამოსვლის შემდეგ მსახიობებსა და რეჟისორს ოვაციებით ხვდებიან, წარუმატებლობის შემთხვევაში კი – დუმილით, მაშინდელი წარმოდგენის დამთავრებისას უკმაყოფილო მაყურებელი ისეთ სტვენასა და ხმაურს ტეხდა, რომ თეატრიდან კარგა შორ მანძილზეც ისმოდა. მაყურებელთა გამართლება, ალბათ, შეიძლება, – მათი უმრავლესობა ხომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსვლას ერთ კვირასაც კი ანდომებდა. ამიტომ ისინი თვლიდნენ, რომ მსახიობები ვალდებულნი იყვნენ, დამსწრეთათვის სიამოვნება მიენიჭებინათ. ამიტომ ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ, თუ მაყურებელი უკმაყოფილო დარჩებოდა მსახიობების თამაშით, სცენის მიმართულებით ქვებსა და სხვადასხვა საგნებს ისროდა და ახალი პიესის წარმოდგენას მოითხოვდა. ყოფილა შემთხვევები, როცა გაშმაგებული მაყურებელი შემსრულებლებს ფიზიკურადაც გასწორებია. ამიტომ მსახიობებს სხვა გზა არ

ჰქონდათ, სიცოცხლის გადასარჩენად იძულებულნი იყვნენ, მათი მოთხოვნა შეესრულებინათ.

დიონისეს თეატრს რესტავრაცია ჩაუტარდა და ახლა უკვე, თითქმის 2500 წლის შემდეგ, განახლებულ სცენაზე კვლავ ტარდება წარმოდგენები.

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, დეკლამირების ხელოვნებას ევროპის ქვეყნებში, სხვა საგნებთან ერთად, გიმნაზიებში ასწავლიდნენ. მოსწავლეებს ავარჯიშებდნენ ცალკეული სიტყვების, მარცვლების მკვეთრად გამოთქმაში, ხმის ტემბრის დაყენებაში, მარცვლებზე აქცენტების გაკეთებასა და ინტონირებაში – დაახლოებით ისევე, როგორც ეს ჩვენს დროში ხდება.

ვიდეოფაილები – №1 ძველბერძნული წარმოდგენის ინსცენირებიდან (მეფე აგამემნონზე მითის მიხედვით ევრიპიდემ დაწერა შესანიშნავი ტრაგედია „იფიგენია ავლიდში“.; №10 – „ჰამლეტი“ – ჰამლეტის მონოლოგი (ასრ. მელ გიბსონი).

მოსწავლეები ისაუბრებენ თავიანთ წარმოსახვებზე, მსახიობების მეტყველებაზე, რა როლი ენიჭება ინტონაციას, რა წარმოიდგინეს; რა განსხვავებულ მახასიათებლებს ამჩნევენ ძველსა და თანამედროვე სამსახიობო ოსტატობას შორის, ნაწარმოებები ტრაგედიის ჟანრისაა თუ კომედიის და ა. შ., უპასუხებენ მოსწავლის წიგნში დასმულ კითხვებს.

აუდიო: საკრავების ხმოვანება: ავლოსი, კითარა – №3, 4; **ვიდეოფაილი** №2.

4-6 რიტმული დეკლამაცია

მიზანი: შეთავაზებული რადიოსპექტაკლების ნაწყვეტების ირგვლივ მსჯელობა სიტყვისა და ინტონაციის როლზე ხილულისა და უხილავის გადმოცემაში.
საკვანძო სიტყვები: რიტმული დეკლამაცია; ხილული და უხილავი; ტემპი, რიტმი, ტემბრი.
ცნებები:
რიტმი – რიტმული ფიგურაციები დეკლამაციაში;
მელოდია – ინტონაცია;
ჰარმონია – ურთიერთკავშირი სიტყვასა და ინტონაციას შორის;
ფორმა – ფრაზა, წინადადება.
ელ. რესურსი: აუდიო – №6, 7, 8, 9, 10; ვიდეო – №3.
საკვანძო შეკითხვები:
- როგორ მიიღწევა დეკლამაციაში ხილული და უხილავი?
- როგორ ამოვიცნო ის მხატვრული ხერხები, რომლებითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამაციაში?
- რა მხატვრული ხერხების გამოყენებაა საკმარისი მხატვრული კითხვის დროს ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

გამის მყარი და მერყევი ბგერების გამღერება; რიტმული სავარჯიშო.



აქტივობა 2

მიზანი: დეკლამაციის ფორმების ამოცნობა, ურთიერთკავშირის დადგენა სიტყვასა და ინტონაციას შორის; დიალოგი, მსჯელობა, როგორ ურთიერთკავშირშია სიტყვა და ინტონაცია; განსაზღვრა, რა როლი ენიჭება სიტყვას და რა როლი აქვს ინტონაციას.

აქტივობა 3

№3 ვიდეოფაილის ნახვის შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს.

თამაში მეტყველებისა და სასიმღერო სუნთქვის, ხმის ტემბრის, ტექსტის ინტონაციურად სწორად წარმოთქმის ტექნიკის განსავითარებლად:

გამოიყენეთ სხვადასხვა შინაარსის ტექსტი, სასიმღერო ინტონაციური სავარჯიშოები. რომელიმე ჰუმანიტარული საგნის სახელმძღვანელოდან ამოარჩიეთ მცირე მოცულობის ტექსტი (აბზაცი/ლექსი) და სთხოვეთ ერთ-ერთ მოსწავლეს, შინაარსის შესაბამისად, მხატვრულად წაიკითხოს, გაითვალისწინოს სწორი ჟესტიკულაცია, მიმიკა, ინტონაცია, სხეულის მოძრაობა...

მოსწავლეები შეარჩევენ რომელიმე მათთვის საინტერესო ნაცნობ სიმღერას და „ჯაჭვური“ პრინციპით წარმოადგენენ, თითქოს სხვა ადამიანს გადასცემენ, აგრძელებენ დაწყებულ ტექსტს, იმპროვიზირებენ, ქმნიან საკუთარ ვარიანტებს, რომელთაგან საუკეთესოს ისწავლის მთელი კლასი.

აუდიომასალებიდან მოასმენინეთ რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტი ინსტრუმენტული მუსიკიდან და სთხოვეთ მოსწავლეებს, რომელიმე მიუსადაგონ (ფონად გამოიყენონ) ტექსტის კითხვისას (ახსნან, რატომ მიუსადაგეს ეს კონკრატული მუსიკა ტექსტს).

მუხრან მაჭავარიანი – „საქართველო“:
ვისაც უყვარს საკუთარი სამშობლო და მინდორ-ველი,
ვინც არ უნდა იყოს იგი – ფინელი თუ ინდოელი,
ვინც გლეხია,
ვინც მუშაა,
ვინც სიმართლის მძებნელია –
საქართველო არ უყვარდეს – ყოვლად შეუძლებელია!

კიდევ უფრო, კიდევ უფრო, იღორძინე, საქართველო,
კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო,
კიდევ ერთი რუსთაველი,
კიდევ ერთხელ აამღერო;
შენც იხარო – ჩვენც გვახარო,
გამხნევდე და გაგვამხნევო,
გევალება, საქართველოვ!
შეგიძლია, საქართველოვ!
გაგიმარჯოს, საქართველოვ!

მოსწავლე საუბრობს, ლექსის კითხვისას რის მიხედვით შეარჩია ინტონაცია, ჟესტიკულაცია.

კითხვა: თქვენი აზრით, დეკლამირებისას რა როლი ენიჭება სიტყვას (ტექსტს) და რა – ინტონაციას?

პასუხები განსხვავებული იქნება. სავარაუდოდ, მოსწავლეები განმარტავენ, რომ სიტყვა გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, აზრს, ინტონაცია კი გადმოგვცემს შინაგან ემოციას, განწყობას – თუ რა წარმოვიდგინეთ ამ სიტყვების მოსმენისას.

აქტივობა 4

მოსწავლის წიგნის მეორე აქტივობაში მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტს რადიოსპექტაკლიდან – „განსაცდელი“, რიჩარდ ჰიუზის ნაწარმოების მიხედვით (აუდიო №6); გაეცნობიან სახელმძღვანელოში მოწოდებულ ტექსტურ მასალას და უპასუხებენ კითხვებზე, შეავსებენ ცხრილს.

მასწავლებელი მოკლე ინსტრუქციას სთავაზობს მათ, რომ ცხრილის შევსებისას ყურადღება გაამახვილონ წარმოსახვებზე, შეგრძნებებზე; ტექსტის შინაარსზე, მოსაუბრეთა ინტონაციაზე; აღნიშნონ, ვარაუდების ჩამოყალიბებაში რამ იქონია გავლენა – კონკრეტულად სიტყვებმა თუ მეტყველების ინტონაციამ; რა ხერხითაა ეს განწყობა მიღწეული?

მოსწავლეები მსჯელობენ და, სავარაუდოდ, მივლენ იმ აზრამდე, რომ განწყობა მიღწეულია მამაკაცის რბილი, ოდნავ ერთფეროვანი ინტონაციური სვლებით, ლაპარაკის მშვიდი, თანაბარი ტემპით, მაშინ, როდესაც ქალის ინტონაციები გამოირჩევა ტონებს შორის მკვეთრი ნახტომებით, ჩუმი და ხმამაღალი ხმის სწრაფი მონაცვლეობით და სწრაფი ლაპარაკით, რაც მის ისტერიულ მდგომარეობას წარმოაჩენს.

აქტივობა 5

მიზანი: იმ მხატვრული ხერხების ამოცნობა, რომლებითაც მიიღწევა ხილული და უხილავი დეკლამაციაში.

ფრაგმენტების მოსმენა მეორე რადიოსპექტაკლიდან – „თოვლის კაცი“ (აუდიო №7, 8, 9, 10).

მოსმენის შემდეგ მსჯელობა: მოსწავლეები ვარაუდობენ, რაზე უნდა იყოს საუბარი ორ ადამიანს შორის (სავარაუდოდ, დედა-შვილის). ახასიათებენ თითოეულის მეტ-ყველებას, ინტონაციას. ყველა ვარაუდის გამოთქმის შემდეგ მასწავლებელი კლასს წაუკითხავს ამ დიალოგის ქართულ ვარიანტს:

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტის ქართულ ვარიანტს:

– თოვლის კაცი დაბრუნდა.

– ნუ სულელობ!

– მართლა. მე ვნახე ის გაზონზე.

– თოვლმა გადაიღო, აღარ თოვს!

– აქედან შენ ვერ დაინახავ, ის გაზონზეა.

– ეს ბოლო შემთხვევაა, როდესაც.....

– შეიძლება მასთან თამაში?

– იქ არ არის თოვლის კაცი, არც არასდროს ყოფილა თოვლის კაცი!

– ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება!

– რა შეიძლება?!

– გასვლა და მასთან თამაში. თოვლის კაცთან. ხომ შეიძლება, გთხოვ.

– წამომყევი, წამოდი. აი შეხედე, გაიხედე, კოლინ – აქ ჩანს მხოლოდ გაზონი, ბი-ლიკი, ღორღი და ღობე. მეტი არაფერი, არავითარი თოვლის კაცი, ა-რა-ფე-რი! ახლა არც კი თოვს!

– იქ არის თოვლის კაცი! მე ვხედავ თოვლის კაცს!

– გეყოფა ასე თამაში!

– მე არ ვთამაშობ. იქ არის. ალექსი თამაშობდა მასთან.

– რა?

– ალექსი. და ახლა სძინავს.

– სძინავს?

– ის თამაშობდა თოვლის კაცთან და ახლა ჩაეძინა.

– რაზე ლაპარაკობ, სად არის?

– ის ისევ ცივია, გუშინდელივით.

– სად არის? კოლინ, სად არის ალექსი?

– თოვლის კაცთან თამაშობდა, ყინულივით ცივი იყო.

– კოლინ, სად არის? სად არის ალექსი?!

– დედა, მეტკინა!

– მითხარი, სად არის! მითხარი სად არის!

– ძალიან მტკივა!

– ის ზემოთაა? თქვენს საძინებელში?

– შენ მე მტკენ!

– ო, ალექს! მაპატიე, მაპატიე, არ მინდოდა. უბრალოდ, მომხედე, სად არის ალექსი? უბრალოდ უთხარი დედიკოს, სად არის ალექსი.

– ხომ გითხარი, ახლახან თოვლის კაცთან თამაშობდა და ახლა...

– ის გარეთაა, ამის თქმა გინდა? ის გარეთაა?

– ალბათ.

– სად? სად, დაზუსტებით?!

– თოვლის კაცთან ერთად.

– კოლინ, გარკვევით მითხარი. უთხარი დედიკოს, ზუსტად სად არის, და შენ ამას დედიკოს ახლავე ეტყვი, კოლინ!

– მას სძინავს. ყინულივით ცივია.

– კოლინ!

– ის გომურშია, დედიკო, გომურში სძინავს!..

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება კითხვებს, მოსწავლეებთან ერთად ისევ გადახედავს მათ მიერ შევსებულ ცხრილს და საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილებები.

მოსწავლეები ახასიათებენ პერსონაჟების დეკლამაციას: ბავშვის მშვიდი, ოდნავ გაუცხოებული განწყობა მიღწეულია რბილი, ოდნავ ერთფეროვანი ინტონაციური სვლებით, ლაპარაკის მშვიდი, თანაბარი ტემპით. მაშინ, როდესაც ქალის ინტონაციები გამოირჩევა ტონებს შორის მკვეთრი ნახტომებით, ჩუმი და ხმამაღალი ხმის სწრაფი მონაცვლეობით და სწრაფი ლაპარაკით, რაც მის ისტერიულ მდგომარეობას წარმოაჩენს.

მასწავლებლის კითხვები:

შეიცვალა თუ არა თქვენი წარმოდგენა? გადახედეთ ზემოთ დასმულ კითხვებს.

აღწერეთ, ამ ნაწყვეტის მოსმენისას, რა წარმოგიდგებათ თვალწინ:

- სად ხდება მოქმედება – სახლში თუ ეზოში?
- წელიწადის რა დროა?
- იმ გარემოში, სადაც ხდება მოქმედება, არის რაიმე, რამაც შეიძლება მიიპყროს ყურადღება?
- თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები სპექტაკლში? წარმოადგინეთ თქვენი ვარიანტები.

გამოიტანეთ დასკვნა. მასწავლებელი კვლავ ხაზავს სქემას და მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს:

რას წარმოგვიჩენს სიტყვა? რას წარმოგვიჩენს ინტონაცია?

5 სახელმძღვანელოში მე-5 აქტივობის პასუხები:

1. ყვითელი რგოლი – არ საჭიროებს ბგერების ზუსტი სიმაღლის ჩვენებას;
2. დიაგრამაზე გამოსახულია ნოტაციის ბ) ვარიანტი.

8-9 მელოდეკლამაცია, როგორც მუსიკის ერთ-ერთი გამომსახველობითი ხერხი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში

ოპერა, მიუზიკლი

მიზანი: მოსმენილ ნაწარმოებებში დეკლამაციის ნაირსახეობების ამოცნობა და მათი როლის განსაზღვრა.
საკვანძო სიტყვები: მელოდეკლამაცია; ოპერა; მიუზიკლი; ფსიქოლოგიური პორტრეტი.
ცნებები:
რიტმი – რიტმული ფიგურაციები დეკლამაციაში;
მელოდია – ინტონაცია;
ჰარმონია – ურთიერთკავშირი სიტყვას, ინტონაციასა და მუსიკალურ თანხლებას შორის;
ფორმა – მელოდეკლამაციის, დეკლამაციისა და მუსიკალური თანხლების ურთიერთკავშირით შექმნილია სტრუქტურა;
ჟანრი – ოპერა, მიუზიკლი.
ელ. რესურსი: აუდიოფაილები მოსწავლის წიგნის აქტივობების მიხედვით: 1) – №11, 14, 15; 16; 2) – №18; 3) – 19; 4) – №17; 6) – №18, 12, 13; 7) – №12.
საკვანძო შეკითხვები:
- რა როლს თამაშობს მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
- რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
- როგორ გამოვიყენო მელოდეკლამაცია და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად?

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

გამის მყარი და მერყევი ბგერების გამღერება; რიტმული სავარჯიშო.



ოსტინატური რიტმი

აქტივობა 2

მასწავლებელი: გავიხსენოთ, რომ მხატვრული ხერხს, სადაც შემსრულებელი კითხულობს ტექსტს ემოციურად ამაღლებულ მანერაში, იყენებს მრავალ სამეტყველო ინტონაციას მოქნილი მხატვრული სახის შესაქმნელად, **ინტონირებული დეკლამაცია** ჰქვია (ვთხოვოთ მოსწავლეებს, განმარტონ დეკლამაციის დანარჩენი შესწავლილი სახეობები – დეკლამაცია, რიტმული დეკლამაცია.

ამ გაკვეთილზე გავეცნობით დეკლამაციის კიდევ ერთ ნაირსახეობას – **მელოდეკლამაციას**, რაც ნიშნავს მხატვრულ კითხვას მუსიკის თანხლებით. მელოდეკლამაციის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ლექსის კითხვა მუსიკის ფონზე, სპექტაკლში/კინოფილმში პერსონაჟის მონოლოგი მუსიკის თანხლებით და ა. შ. (წინა გაკვეთილებზე მოსამზადებელი აქტივობა გაკეთდა – მოსწავლეებს დავალებად მიეცათ წარმოთქმულ ლექსის ან რაიმე ტექსტისთვის მუსიკალური ფონი შეერჩიათ).

სანამ გავაგრძელებთ დეკლამაციის სახეობების განხილვას მსხვილი ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებებში, ჯერ გაკვეთილის შესავალ ნაწილში მოსწავლეებს მელოდეკლამაციის საილუსტრაციოდ მოვასმენინოთ ორი ფრაგმენტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებე-

ბიდან: 1. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის უვერტიურიდან, რომელიც შეიქმნა გოეთეს ტრაგედიის „ეგმონტის“ მიხედვით (№14); 2. რობერტ შუმანი – ფრაგმენტი ბალადიდან „გაქცეულები“ (Die Flüchtlinge), თხზ. 122, N2. (№15) ვთხოვოთ მოზარდებს, ისაუბრონ ორივე ნაწარმოების დეკლამაციის სახეობებსა და გამომსახველობით ხერხებზე (რიტმოდეკლამაცია, მელოდეკლამაცია).

გაკვეთილზე განიხილება ოპერისა და მიუზიკლის ნიმუშები. ეს ჟანრები გასული წლებიდან ნაცნობია მოსწავლეებისათვის, ამიტომ მარტივად შეძლებენ ისაუბრონ, რა მსგავსება და განსხვავებაა ოპერასა და მიუზიკლს შორის; დაასახელონ ამ ჟანრების ნაცნობი ნიმუშები.

განვიხილავთ ოპერას – მოდესტ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ და ფრედერიკ ლოუს მიუზიკლს – „ჩემი მშვენიერი ლედი“. ბორის გოდუნოვის როლს ასრულებს მე-20 საუკუნის ბრწყინვალე რუსი მომღერალი ფიოდორ შალიაპინი. ძლიერი და მოქნილი ბანისა და მომაჯადოებელი სასცენო თამაშის წყალობით, შალიაპინი ოპერის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს შემსრულებლად ითვლება. მას ხშირად მიეწერება ხელოვნების ამ დარგში ბუნებრივი თამაშის დამკვიდრება. მიუზიკლში კი პროფესორ ჰიგინსის როლს ასრულებს რექს ჰარისონი. ორივე მსახიობი იყენებს **მელოდეკლამაციას**. უნდა ითქვას, რომ ორივე მსახიობის შესრულება ოდნავ განსხვავდება ორიგინალური ვერსიებისგან (მიუზიკლში კომპოზიტორს ამდენი დეკლამაცია არა აქვს. მსახიობმა თავს უფლება მისცა, არ გაემღერა და სიტყვიერად გამოეხატა განწყობა, ემოცია (რაც ორიგინალში არაა).

***შენიშვნა**: ჩვენი მიზანი არაა ნაწარმოების ორიგინალური და მსახიობების საკუთარი ინტერპრეტაციების შედარება და ანალიზი, რაც საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის მეტად რთული ამოცანა იქნება. ამიტომ აქცენტი კეთდება კონკრეტულად ამ მსახიობების შესრულების მანერაზე, მათ მიერ გამოყენებულ გამოსახველობით ხერხებზე მხოლოდ იმ ფრაგმენტების მაგალითებზე, რომლებიც მოცემული გვაქვს აუდიოფაილებით.*

ჩვენ მიერ მოწოდებული აუდიოფაილებიდან მოასმენინეთ ფრაგმენტები სამივე ფაილიდან (11, 12, 13) და სთხოვეთ მოსწავლეებს განსაზღვრონ, რომელში რა სახეობის დეკლამაციებია გამოყენებული.

მე-4 აქტივობის ბოლოს კითხვა (აუდიოფაილი №17): თქვენი აზრით, რატომ დასჭირდა კომპოზიტორს ამ სცენაში მრავალჯერ გაჟღერებული მუსიკალური თემის ვრცელი საორკესტრო ვერსიის კიდევ ერთხელ გამეორება? – პასუხები ინდივიდუალური იქნება, მაგრამ ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: იმიტომ, რომ, ჰიგინსის ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა ჭიდილის შემდეგ მაინც გრძნობამ გაიმარჯვა და საორკესტრო ფინალი ამ ბედნიერი დასასრულის დაგვირგვინებას წარმოადგენს.

მე-6 აქტივობაში მოსწავლეები ისმენენ სამივე ფრაგმენტს აუდიოფაილებიდან №№11, 12, 13. კითხვაზე: რომელ ფრაგმენტში წარმოთქვამს სიტყვებს –„აი, იქ, იქ, რა არის იქ, კუთხეში?!“ – პასუხი იქნება – აუდიოფაილი №13.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები პასუხს გასცემენ მე-6 აქტივობის კითხვებს, მასწავლებელი განუცხადებს მათ სწორ პასუხებს: საორკესტრო პარტიაში აქ გადმოცემულია ზარების რეკვა.

როგორ ფიქრობთ, რომელი საოპერო ხმა ასრულებს ბორის გოდუნოვის პარტიას? (პასუხი – ბანი).

მე-7 აქტივობაში მოსწავლეები ისმენენ ოპერა „ბორის გოდუნოვიდან“ აუდიოფაილს №12. მასწავლებელი სვამს კითხვებს, რომლებიც მსჯელობა-დისკუსიის მეთოდით მოსწავლეებს მიიყვანს საკვანძო კითხვების პასუხებამდე:

- რა როლს თამაშობს მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში;
- რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?

კლასში იმართება დისკუსია-საუბარი, მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს: რომელი შესრულება მეტად მოეწონათ, რის გამო გამოარჩიეს ის; მათი აზრით, განასხვავდება

თუ არა ორი სხვადასხვა მომღერლის შესრულება ერთმანეთისგან და რითი; რომელ ნომრად მოისმინეს შალიაპინის შესრულება (რის მიხედვით ამოიცნეს ის); დეკლამირების რა ხერხებია გამოყენებული ამ ფრაგმენტში; რის საშუალებითაა მეტად გადმოცემული ამ ფრაგმენტში ემოციური მუხტი – სიტყვებით, ინტონაციით, მუსიკით თუ ყველა ერთად; არის თუ არა თანხვედრაში ტექსტის ემოციური მუხტი იმ ემოციასთან, რომელიც გადმოცემულია მსახიობის მიერ გამოყენებული დეკლამირების ხერხით; უკეთ წარმოჩნდება თუ არა ამ დროს პერსონაჟის შინაგანი ფსიქოლოგიური მდგომარეობა; რომელი მხარე უფრო ნათლად წარმოჩნდება – ხილული თუ უხილავი?

შენიშვნა: *ეს აქტივობა ზუსტ პასუხებს არ მოითხოვს – მოზარდებმა უნდა დააფიქსირონ საკუთარი აზრი და დაასაბუთონ.*

ინფორმაცია მასწავლებელს:

„ბორის გოდუნოვის“ პრემიერა შედგა 1874 წლის 8 თებერვალს სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში.

ლიბრეტო, რომელიც თავად კომპოზიტორმა დაწერა, ეყრდნობოდა მაშინდელი რუსული ცენზურის მიერ აკრძალულ ა. პუშკინის დრამასა (1825) და ნ. კარამზინის „Истории государства Российского“-ს (1818). ოპერა გვიამბობს რუსეთში „არეულობის ხანაში“ – XVII ს-ში ქვეყნის მმართველის, ბორის გოდუნოვისა და „ცრუ დიმიტრის“ ისტორიას.

ოპერა „ბორის გოდუნოვი“ 2-ჯერ დაიწუნა საიმპერატორო თეატრების დირექციამ და პრემიერიდან 6 წლის შემდეგ, 1882 წელს, საერთოდ მოხსნა რეპერტუარიდან.

პარტიტურაში, პრემიერისა და მ. მუსორგსკის გარდაცვალების შემდეგ, 1896 წ. ცვლილებები შეიტანა ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვმა, ხოლო 1940 წელს – დიმიტრი შოსტაკოვიჩმა. მაგრამ, მიუხედავად ორიგინალური ვერსიის ორი რედაქტირებისა, დასავლეთის საოპერო თეატრები ხშირად „ბორის გოდუნოვის“ პირვანდელ, „გაუშალაშინებელ“ ვერსიას უბრუნდებიან...

მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“ შედგება პროლოგისა და 4 მოქმედებისგან. პროლოგში მოქმედება მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში (Новодевичий Монастырь) ვითარდება. ხალხს სურს, რომ ქვეყნის ხელმწიფედ ბორის გოდუნოვი აკურთხონ. ბორისი შეშფოთებულია მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის გამო. ოპერის პირველი მოქმედების პირველი სცენა ჩუდოვოს მონასტერში ვითარდება. ფიქრებში ჩაფლული ბერი-მემატიანე პიმენი მორჩილს – გრიგორის ესაუბრება. პიმენი მას უამბობს, რომ ბორის გოდუნოვი დამნაშავეა ტახტის რეალური მემკვიდრის – უფლისწულ დიმიტრის მკვლელობაში. გრიგორის გულში ჩარჩება ის ფაქტი, რომ თვითონ მოკლული უფლისწულის თანატოლია. ...თვითმარქვია მეფედ თავის გამოცხადების იდეით შეპყრობილი გრიგორი ხელიდან დაუსხლტება სამიკიტნოში მის დასაკავებლად მოსულ ორ ბოქაულს.

ოპერის მე-2 მოქმედება: მძიმე ფიქრებშია ჩაფლული ბორის გოდუნოვი, იგი დარწმუნებულია იმაში, რომ სახელმწიფოს საქმეებში მისი წარუმატებლობა მისი გარდაუვალი სასჯელია უფლისწულის მკვლელობის გამო...

კომპლექსური დავალება: მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით, მოსწავლეები ან თავად შეადგენენ ცხრილს და შეავსებენ (ამ შემთხვევაში, განმარტავენ, რატომ შეადგინეს ამგვარი ცხრილი), ან მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს, მოსწავლეები გადაიტანენ რვეულში და ცარიელ უჯრებში ჩაწერენ თავიანთ ვარაუდებს. იხ. ცხრილის ნიმუში:

ფრაგმენტი	დეკლამაციის სახეების როლი ხილულისა და უხილავის გადმოცემაში	რა გავლენას ახდენს ამ ფრაგმენტის სტრუქტურაზე დეკლამაციის ეს სახეობები
„ბორის გოდუნოვი“		
„ჩემი მშვენიერი ლედი“		

ცხრილის შევსება ინდივიდუალურია. ამიტომ აქ სწორად შევსებული ცხრილის ნიმუ-შის ჩვენება აუცილებლობა აზრს კარგავს.

LMMS პროგრამაში ცალკეული სემპლებიდან მოსწავლეები ააწყობენ Song-Editor ფან-ჯარაში პროფესორ ჰიგინსის სიყვარულის თემას, რომლის პრეზენტაციას შემა-ჯამებელ გაკვეთილზე გააკეთებენ (აუდიოფაილი №17-დან).

შენიშვნა: LMMS-ში შესასრულებელი დავალებები სავალდებულო არ არის მათთვის, ვისაც ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ გააჩნია.

შეფასების რუბრიკა

განმავითარებელი შეფასება (მაქსიმალური ქულა – 5)

რას ვაფასებთ	**ქულა**
განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდით განხილული ეპიზოდები; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში.	1
განსაზღვრავს, რა ურთიერთკავშირია მუსიკასა და ტექსტს შორის; რა გამომსახველობითი ხერხები დაეხმარა დეკლამირების ნაირსახეობების ამოცნობაში.	1
ამოიცნობს მუსიკის ფუნქციას განხილული აუდიოფრაგმენტების მიხედვით და წარადგენს სათანადო არგუმენტებს.	2
ამოიცნობს მუსიკის მახასიათებლებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს. განსაზღვრავს მუსიკის როლს ფრაგმენტის შინაარსობრივი დატვირთვის ინტერპრეტირებაში.	1

განმსაზღვრელი შეფასება (მაქსიმალური ქულა – 5)

რას ვაფასებთ	**ქულა**
სწორად განსაზღვრავს დეკლამაციის სახეების როლს ხილულისა და უხი-ლავის გადმოცემაში.	1
საუბრობს მუსიკის სხვადასხვა გამომსახველობით ხერხზე; ამოიცნობს და ადარებს ერთმანეთს მოსმენილ ნაწარმოებებს რიტმის, ჰარმონიის, მელო-დიის, სხვა მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით; განსაზღვრავს ჟანრს; განმარტავს მსგავსება-განსხვავებებს ოპერასა და მიუზიკლს შორის.	2
მონაწილეობს დიალოგში, მსჯელობს, დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნა.	1
პროგრამის მეშვეობით ქმნის შემოთავაზებული დეკლამაციის, მე-ლოდეკლამაციისა და მუსიკალური თანხლების ნიმუშებისგან ერთიან დრამატულ სცენას.	1

10-11 რეჩიტატივი, როგორც ხილულისა და უხილავის გამომსახველი ხერხი

მოსასმენი აუდიოფაილები აქტივობების მიხედვით:
I აქტივობა – №20,21,22,23,24,25;
II აქტივობა – 23,24,25;
IV-V აქტივობები – №26-33;
VI აქტივობა – №34.

გაითვალისწინეთ! ელ.რესურსების გამოყენების წინ და პროცესშიც აუცილებლად გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები, განმარტეთ მოსწავლეებისთვის ბუნდოვანი საკითხები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუსიკალური ფრაგმენტების მხოლოდ „მშრალად“ მოსმენა, არანაირ შედეგს არ გამოიღებს.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

გამის მყარი და მერყევი ბგერების გამღერება; რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო.



აქტივობა 2

მიზანი: მოსმენილი ნაწარმოებების ირგვლივ დიალოგი, მსჯელობა.

მასწავლებელი: განვიხილავთ დეკლამაციის კიდევ ერთ ნაირსახეობას, ესაა რეჩიტატივი.

ნებისმიერ ოპერაში არა მხოლოდ არიები და დასამახსოვრებელი მელოდიებია, რომლებიც ცალკე ნომრებადაც სრულდება ხოლმე კონცერტებზე, არამედ სრულიად სხვა ფრაგმენტებიც გვხვდება, რომლებშიც სიმღერა მაქსიმალურად უახლოვდება მეტყველებას. ვოკალურ მუსიკაში მას რეჩიტატივი ჰქვია. რომელი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოპერაში – არიოზული საწყისი თუ რეჩიტატიული, ამის მტკიცება ერთმნიშვნელოვნად ძნელია, მაგრამ ძნელად თუ მოვიძიებთ ოპერას, რომელშიც არც ერთი რეჩიტატიული ეპიზოდი არ არის, მთლიანად რეჩიტატივზე აწყობილი ოპერა კი არსებობს.

რეჩიტატივი (იტალ. recitativo, recitare) – ვოკალური მუსიკის სახეობა, დეკლამაციური ხასიათის მელოდია, რომელიც უახლოვდება ჩვეულებრივ მეტყველებას. სიმღერაში ინტონაციური მხარისა და მეტყველების რიტმიკის წინა პლანზე წამოწევა. რეჩიტატივს არა აქვს მკვეთრი მუსიკალური ფორმა. პროფესიულ მუსიკაში დამკვიდრდა ოპერის შექმნასთან ერთად (XVI-XVII სს.). გამოიყენება როგორც წმინდა სიტყვიერი საუბარი – ე. წ. მშრალი რეჩიტატივი – **e** cco, ისე ნოტირებული (მღერადი) რეჩიტატივი (recitativo accompagnato – რეჩიტატივო აკომპანიატო) – არიოზული რეჩიტატივი.

საილუსტრაციოდ მოსწავლეები ისმენენ ორ ფრაგმენტს სხვადასხვა ოპერებიდან და გამოთქვამენ ვარაუდებს, როგორი სახის რეჩიტატივები მოისმინეს, აკეთებენ შედარებას:

აუდიოფაილი №20 – ჯ. ვერდი, „მაკბეტი“, აუდიოფაილი №21 – მოცარტი – „ფიგაროს ქორწინება“.

რეჩიტატივი არა მხოლოდ ოპერებში გამოიყენება, არამედ სხვა ვოკალურ ჟანრებშიც – ორატორიებში, პასიონებში (მაგ., ბახი იოანეს პასიონში), ორატორიაში, კანტატაში, მიუზიკლში და ა. შ., მაგრამ ოპერაში რეჩიტატივს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ოპერაში საზღვარი არიოზოსა და რეჩიტატივს შორის სულ უფრო იშლება XIX საუკუნეში, როცა ოპერა მუსიკალურ დრამაც იქცა. მაშინდელი კომპოზიტორების ოპერებში მელოდიზებული რეჩიტატივი თავისუფლად გადადის არიოზულ ფრაგმენტებში. რეჩიტატიულობისა და არიოზულობის ორგანული შეთავსება შეინიშნება ჯ. ვერდის გვიანდელ ოპერებში, მაგ., „ოტელოში“; კლოდ დებიუსის ოპერა „პელეასი და მელიზანდა“ კი მთლიანად რეჩიტატივებზეა აგებული. სწორედ ამ ნაწარმოებზე გვექნება დღეს საუბარი.

ოპერა ხუთმოქმედებიანია, სრულდება ფრანგულ ენაზე, თანამედროვე საოპერო სცენებზე იშვიათად სრულდება. უკანასკნელი წარმოდგენა 1991 წელს შედგა. პრემიერა კი 1902 წლის 30 აპრილს, პარიზში გაიმართა. ეს ოპერა საოცრად განსხვავდება იმათგან, რომელიც ოდესმე დადგმულა საფრანგეთის ან სხვა ქვეყნების სცენებზე. დებიუსიმ თეატრის ხელმძღვანელობისგან მოითხოვა მრავალთვიანი რეპეტიციები, რათა მსახიობებს მისცემოდათ საშუალება, ბუნებრივად და ორგანულად შეეგრძნოთ და გაეთავისებინათ თავიანთი როლები. გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ ოპერა პირველადვე სწორად არ იქნა გაგებული და მიღებული მსმენელის უმრავლესობის მხრიდან. დღესაც კი, ასი წლის შემდეგ, ბევრი, ვინც მას პირველად უსმენს, ამ ოპერის მუსიკას უცნაურად მიიჩნევს. ამ ოპერიდან ფრაგმენტების მოსმენის შემდეგ თავად განსაზღვრავთ, ეს ასეა თუ არა.

„პელეასი და მელიზანდა“ სავსეა სიმბოლური პერსონაჟებით, რომლებიც ცხოვრობენ რომელიღაც, არარსებულ ჯადოსნურ ქვეყანაში. პირველი მოქმედება ტყეში სანადიროდ წასული ალემონდის (წარმოსახვითი გერმანული სამეფო) უფლისწულის – გოლოსა და საიდუმლოებით მოცული, შეშინებული ახალგაზრდა, ლამაზი ქალის – მელიზანდას შეხვედრით იწყება, მელიზანდა წყლის სტიქიიდან ჩნდება, სადაც, ალბათ, ცხოვრების საიდუმლოებების გაგების გასაღები დევს – გოგონას არ ახსოვს თავისი წარსული. გოლო მას თავისთან – ალემონდის მეფის, არკელის (გოლოს ბაბუის) სასახლეში მიიყვანს და მალე დაქორწინდებიან კიდეც. ამ შეხვედრიდან 6 თვის შემდეგ გოლო მეგობართან გაემგზავრება... მელიზანდა ნელ-ნელა ეცნობა მისი ახალი ოჯახის წევრებს: გოლოს დედას – ჟენევიევას და მეუღლის ნახევარძმას, უფლისწულ პელეასს.

ძნელია სცენაზე ამ არამდგრადი ჯადოსნური ატმოსფეროს გადმოცემა – არანაკლებ რთულია მნახველთა / მსმენელთა ყურადღების გამახვილება მთელ მუსიკალურ და დრამატულ მოქმედებაზე, რომელშიც არ ხდება რაიმე განსაკუთრებულად ნათელი და საინტერესო მოვლენები, პირიქით, პირობითად მისტიკურ ფონზე ვითარდება სიყვარულისა და ეჭვიანობის, სიცოცხლისა და სიკვდილის ადამიანური დრამა.

ალემონდის სასახლე, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, წარმოადგენს სიმბოლურ სივრცეს, საიდანაც ვერავინ ახერხებს გასვლას, ვინც იქ მოხვდება. ეს კი გარდაუვალ სიკვდილს იწვევს, რასაც ოპერის გმირებიც ვერ აღწევენ თავს.

ამ ფონზე ვითარდება გმირთა ოჯახური დრამა – პრინცი გოლო, მისი უმცროსი ნახევარძმა პელეასი და მელიზანდა ხვდებიან „სასიყვარულო სამკუთხედში“. სიუჟეტში ისინი გვევლინებიან სასიყვარულო ურთიერთობების სირთულის, სიყვარულის განწირულობის, ბედნიერების შეუძლებლობისა და მიუწვდომლობის სიმბოლოდ.

გოლოს პერსონაჟი, ალბათ, ყველაზე საინტერესო და წინააღმდეგობებით სავსეა მთელ ოპერაში. მას აქვს ცხოვრებისეული გამოცდილება, არის ქვეყნის მომავალი მმართველი, ახალშობილის მამა, პელეასის უფროსი ძმა, ვის მიმართ არც გააჩნია განსაკუთრებული გრძნობები. მას იმედი ჰქონდა, რომ მელიზანდაზე დაქორწინებით მეუღლისგან სიყვარულსა და ერთგულებას მიიღებდა, თუმცა თავისი ჯიუტი ხასიათისა და გაუთავებელი ეჭვიანობის

გამო ცოლსაც ამწარებს და გარშემომყოფებსაც, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მისი უმცროსი ძმის – პელეასის მკვლელობა, შემდეგ კი დაჭრილი მელიზანდას გარდაცვალება.

პელეასი კი ახალგაზრდა და რომანტიკული ჭაბუკი იყო, ჯერ არ დაჰკარგვოდა სიცოცხლის წყურვილი. ძმის მეუღლით დაინტერესებაში იგრძნობა ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, ყველა დაბრკოლების გადალახვისა და საყვარელ ადამიანთან ერთად „ციხის“ კედლებიდან თავის დაღწევის წყურვილი.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეების პასუხები კითხვებზე ყველა აქტივობაში ინდივიდუალურია. მთავარი მიზანია, მოსმენილი ნაწარმოებების ირგვლივ მოზარდებმა რაც შეიძლება მეტი ისაუბრონ, მსჯელობის შედეგად დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები, ახსნან, რატომ მიუსადაგეს ამა თუ იმ კითხვას კონკრეტული ლიტერი.

2 *სავარაუდო პასუხის ნიმუში:*

- მისტიკური ხასიათის, სიმბოლური დატვირთვის რეჩიტატივი: **გ**
- გრძნობის გადმომცემი რეჩიტატივი: **ბ**
- მძაფრი ემოციური დაძაბულობის გადმომცემი რეჩიტატივი: **ა**

5 სწორად შევსებული ცხრილი:



სთხოვეთ მოსწავლეებს, განხილული თემის შთაბეჭდილებით გააკეთონ ჩანაწერი, რამ განაპირობა მათი დაინტერესება – ოპერის სიუჟეტმა, მუსიკალურმა ფორმამ თუ იმან, რა ხერხებით აქვს კომპოზიტორს მუსიკაში ასახული მეტერლინკის სიმბოლისტური პიესა, რა გამომსახველობითი ხერხებით (დეკლამაციის ნაირსახეობებით) აღწევს კომპოზიტორი ხილულისა და უხილავის გადმოცემას, მათგან რომელი წარმოდგენები უფრო მკაფიოდ ჩანს (თუ ხილულიცა და უხილავიც თანაფარდობაშია). აუცილებელია, მოსწავლეებმა თავიანთი მოსაზრებები მტკიცებულებით გაამყარონ. მათ შეუძლიათ ჩანაწერს ილუსტრაციებიც დაურთონ.

იმპრესიონიზმი (ფრანგ. Impressionnisme, impression – შთაბეჭდილება) – ერთ-ერთი მიმართულება ხელოვნებაში. მუსიკაში ამ მიმართულებისთვის მთავარია სიმბოლური მნიშვნელობისა და უფაქიზესი ფსიქოლოგიური განწყობილებების გადმოცემა, მისწრაფება პოეტური და პეიზაჟური პროგრამულობისაკენ.

თავდაპირველად ყველაზე თანმიმდევრულად და მკაფიოდ იგი გამოვლინდა ფრანგი მხატვრების შემოქმედებაში (კ. მონე, ო. რენუარი, ე. დეგა, ე. მანე, კ. პისარო, ა. სისლეი და სხვ.). იმპრესიონისტები მიზნად ისახავდნენ ხელოვნების განახლებას, სალონური აკადემიზმის დაძლევას, დიდ ოსტატობას იჩენდნენ წამიერი შთაბეჭდილებების აღბეჭდვის, ფერთა ფაქიზი კოლორირების ხელოვნებაში.

მუსიკაში იმპრესიონიზმი აღმოცენდა XIX ს-ის 80-90-იან წლებში. ამ მიმართულებისთვის მთავარია სიმბოლური მნიშვნელობისა და უფაქიზესი ფსიქოლოგიური განწყობილებების გადმოცემა, მისწრაფება პოეტური და პეიზაჟური პროგრამულობისაკენ. იმპრესიონიზმის ნიშნები გამოვლინდა მ. რაველის, პ. დიუკას, ფ. შმიტის, ჟ. ჟ. როჟე-დიუკასისა და სხვა ფრანგ კომპოზიტორთა შემოქმედებაში. ყველაზე სრულყოფილი, თანმიმდევრული, ჭეშმარიტად კლასიკური გამოხატულება კი კ. დებიუსის მუსიკაში ჰპოვა. იმპრესიონისტ კომპოზიტორთა, პირველ რიგში, დებიუსის, შემოქმედებამ გაამდიდრა მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები, განსაკუთრებით კი, ჰარმონიული და ტემბრული მუსიკალური აზროვნება.

სიმბოლიზმი (ფრანგ. symbolisme), მიმდინარეობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასა და ხელოვნებაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. მისთვის დამახასიათებელია კონკრეტული სახის შეცვლა სიმბოლოთი, ირეალური სინამდვილის ძიება, კამერულობა, მაქსიმალური ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალობის შექმნაზე. სიმბოლიზმი იყო სინამდვილისადმი ოპოზიციის გამოხატვა.

შეფასების რუბრიკა

განმავითარებელი

რას ვაფასებთ	ქულა (მაქს. 5)
განმარტავს, რა როლს თამაშობს დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; მსჯელობს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს რეჩიტატივი მოცემული ფრაგმენტის სტრუქტურაზე	2
რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის მიხედვით განსაზღვრავს, რა როლს ასრულებს საორკესტრო პარტია ოპერაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად.	1
წერილობით ჩამოაყალიბებს, რა როლი აქვს პერსონაჟების დახასიათებისას ნაწარმოებში გამოყენებულ რეჩიტატივის ნაირსახეობებსა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხებს ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად.	2

განმსაზღვრელი

რას ვაფასებთ	ქულა (მაქს. 5)
ამოიცნობს რეჩიტატივის სახეობებს და სწორად განსაზღვრავს მის როლს ხილულისა და უხილავის გადმოცემაში.	1
საუბრობს მუსიკის სხვადასხვა გამომსახველობით ხერხზე; ამოიცნობს და ადარებს ერთმანეთს მოსმენილ ნაწარმოებებს რიტმის, ჰარმონიის, მელოდიის, სხვა მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით; განმარტავს საორკესტრო პარტიის როლს ოპერაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად.	2
მონაწილეობს დიალოგში, მსჯელობს, მოჰყავს არგუმენტები, აღწერს პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, უკავშირებს მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებს, დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნა.	1
განმარტავს, როგორ გამოიყენა LMMS პროგრამაში მუშაობისას რეჩიტატივი მუსიკალურ კოლაჟში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად.	1

12-13 დეკლამაციის დიდოსტატები

მიზანი: მოსმენილი მასალის ირგვლივ დიალოგი, მსჯელობა; პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტის დახასიათების, დეკლამირების სახეების ამოცნობის, სხვადასხვა შესრულების მსგავსება-განსხვავებებზე საუბრის უნარ-ჩვევების წარმოჩენა.
ელ.რესურსები: აუდიოფაილები – №35, 35-0; ვიდეოფაილები – №4, 5; 6.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

გამის მყარი და მერყევი ბგერების გამღერება; რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა 2

პირველ აქტივობაში წარმოდგენილია რეჟისორ რობერტ სტურუას სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“, რომელშიც მოსამართლე აზდაკის როლს, სხვადასხვა დროს, ასრულებდნენ შესანიშნავი მსახიობები – რამაზ ჩხიკვაძე და ეროსი მანჯგალაძე. ერთი და იგივე პერსონაჟი ამ ორი მსახიობის ინტერპრეტირებით განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მოსმენილი აუდიო- და ვიდეოფაილების მიხედვით მოსწავლეები ადგენენ ამ პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ადარებენ ერთმანეთს მსახიობების შესრულებას ინტონაციის, მეტყველების სტილის, ხმის ტემბრის, რიტმის, ჟესტიკულაციის მიხედვით; საუბრობენ თავიანთ განწყობაზე, მიღებულ ემოციებზე, წარმოაჩენს თუ არა მსახიობების მიერ გამოყენებული გამომსახველობითი ხერხები პერსონაჟის პიროვნულ თვისებებს; რა სახის დეკლამაციაა გამოყენებული და რა როლი ენიჭება მას ნაწარმოებისა და პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენაში, რა ხერხებით აქვს თითოეულს გადმოცემული ხილული და უხილავი საწყისი?

ყველა პასუხის მოსმენის შემდეგ, მასწავლებელმა შეიძლება დააზუსტოს, რომ აზდაკის როლის ორივე შემსრულებლის ეს ფრაგმენტი წარმოადგენს მხატვრულ დეკლამირებას სიმღერით – კუპლეტითა და მისამღერით. დაზუსტების მიზნით, შეიძლება დაისვას კითხვა: რომელი მსახიობის დეკლამირების სქემა შეიძლება წარმოადგენდეს სიმღერას დეკლამაციური კუპლეტითა და მისამღერით? პასუხი იქნება – რამაზ ჩხიკვაძის). ეროსი მანჯგალაძის დეკლამირება ოდნავ განსხვავებულია, მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რითია განსხვავებული („ბრიჯის“ ცნება სახელმძღვანელოში მოგვიანებით შემოდის, ამიტომ, ამ ეტაპზე მას არ ვახსენებთ). პასუხები ინდივიდუალური იქნება, დაფუძნებული მოზარდების შეგრძნებებზე, ამიტომ ყველა პასუხი მისაღებია.

მოსწავლეები უპასუხებენ მოსწავლის წიგნში დასმულ კითხვებს:

- როგორ გვეხმარება მუსიკა პირადული განცდის თუ საზოგადოებაში არსებული განწყობის გადმოცემაში?
- ემთხვევა თუ არა სიტყვებით გადმოცემული შინაარსი და განწყობა ერთმანეთს?
- გვეხმარება თუ არა ნაწარმოების მუსიკალური ფორმა და ჰარმონია მუსიკალური აზრის, ხასიათის გაგებაში?
- აქვს თუ არა რაიმე დამატებითი დატვირთვა ტემპს, ხმის ტემბრს, რეგისტრს, დეკლამაციის სხვადასხვა ნაირსახეობის ჩართვას პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტის

შექმნაში?

- რა დაგეხმარა ხილულისა და უხილავის ამოცნობაში?
- LMMS პროგრამაში მუშაობა მოცემულ დავალებაზე, რომელსაც შემაჯამებელ გაკვეთილზე წარადგენენ.

აქტივობა 3

გთავაზობთ სულ სხვა ჟანრისა და ხასიათის ვიდეომასალას – ამერიკელი მსახიობის, ბეტ მიდლერის დეკლამირებას – „სულ ესაა?“

ვიდეოკადრები (№6) – ამერიკელი მსახიობის, ბეტ მიდლერის, დეკლამირება.

მოსწავლის წიგნში მოცემულია კითხვები, რომელთა ირგვლივაც უნდა ისაუბრონ მოსწავლეებმა, სახის გამომეტყველების, დეკლამირების, თხრობის მანერის მიხედვით, რა წარმოიდგინეს, რაზე საუბრობს იგი:

- წარმოდგენა ეფუძნება არა უშუალოდ სიტყვებს, არამედ ინტონაციას, სახის მიმიკას, თხრობის ფორმას;
- მსახიობი მიმართავს სხვა გამომსახველობით ხერხებს – ჟესტიკულაციას, მოძრაობას, სიმღერას;
- ყველაფერი ერთად.
- არც ერთი.
- თქვენი აზრით, რატომ არის ჩართული დეკლამირებისას სიმღერა?

დაახასიათეთ მსახიობის დეკლამირება:

- დეკლამირების რა სახეობა გამოიყენა მსახიობმა?
- რა წარმოდგენები გამოიწვია თქვენში?
- რა წარმოიდგინეთ საუბრის მოსმენისას? რამ გამოიწვია ეს წარმოდგენა – სიტყვებმა თუ ინტონაციამ;
- რომელმა მონაკვეთმა შეგიქმნათ ხილული და რომელმა უხილავი წარმოდგენა – მხატვრულმა დეკლამაციამ თუ მელოდეკლამაციამ?
- რა როლს თამაშობს დეკლამირებისას მუსიკალური ჩართვა; დაგეხმარათ თუ არა მუსიკა მსახიობის შინაგანი განცდის, გრძნობების უკეთ გამოვლენაში?

თემის პირველი ნაწილის განხილვის ბოლოს მოსწავლე მიდის დასკვნამდე:

- **მუსიკის საშუალებით ხილულის და უხილავის გადმოცემა შეიძლება;**
- **ხილულისა და უხილავის ამოცნობა მუსიკაში გამოყენებული სიტყვისა და მუსიკის გამომსახველი ხერხების ურთიერთკავშირის მიხედვით შეიძლება;**
- **სიტყვისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირი ყველაზე ნათლად დეკლამაციის ნაირსახეობებში იჩენს თავს;**
- **რაც უფრო მატულობს მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ჩართულობა დეკლამაციაში, მით უფრო მკვეთრად იჩენს თავს შინაგანი, უხილავი არსი;**
- **ხშირ შემთხვევაში მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოიცემა როგორც მწვავე კონფლიქტი,**

ასევე სრული ჰარმონია ხილულსა და უხილავს შორის.

შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს მოსმენილი ტექსტის ქართულ თარგმანს:

მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ჩვენს სახლს ხანძარი გაუჩნდა. არასოდეს დამავიწყდება მამაჩემის სახის გამომეტყველება, როცა ხელში ამიყვანა და ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამიყვანა; ვიდექი ტროტუარზე საღამური პიჟამით და მეგონა, რომ მთელი სამყარო ცეცხლმა შთანთქა. ვიფიქრე, ნუთუ ეს ბოლოა?

მღერის: ნუთუ სულ ესაა? სულ ესაა? და თუ ასეა, მოდით, მეგობრებო, ვიმხიარულოთ, ვიცეკვოთ, თუ ეს სამყაროს დასასრულია.

...12 წლისა რომ შევსრულდი, მამამ ცირკში წამიყვანა – დედამიწაზე ულამაზესი შოუ იყო. იქ გამოდიოდნენ ჯამბაზები, სპილოები და მოცეკვავე დათვები, აგრეთვე ვარდისფერ-რეიტუზიანი უმშვენიერესი ქალი დაფრინავდა მაღლა, ჩვენს თავებს ზემოთ. ვუყურებდი ამ საოცარ სანახაობას და ვტკბებოდი, მაგრამ, როცა წარმოდგენა დამთავრდა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ რაღაც მაკლდა, ჩემს თავს ვკითხე: ნუთუ სულ ესაა, რისი ნახვაც ცირკში შეიძლება?

მღერის: ნუთუ სულ ესაა? თუ ასეა, მოდით, მეგობრებო, ვიცეკვოთ, ვითამაშოთ, დრო მხიარულად გავატაროთ!

...იმ პერიოდში ერთი ბიჭი შემიყვარდა – ყველაზე საყვარელი ბიჭი დედამიწის ზურგზე. დიდხანს ვსეირნობდით მდინარის პირას ან საათობით ვისხედით და თვალებში შევყურებდით ერთმანეთს. ჩვენ ყურებამდე შეყვარებული ვიყავით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ის წავიდა. მეგონა, რომ თავს არ ვიცოცხლებდი... მაგრამ ეს არ გავაკეთე. მაშინ ვიფიქრე, ნუთუ სულ ეს არის სიყვარული?..

მღერის: და თუ ასეა, მოდით, მეგობრებო, გავაგრძელოთ მხიარულება...

ვიცი, თქვენ იტყვით: თუ ასე მწვავედ განიცდი ყველაფერს, ერთხელ და სამუდამოდ რატომ არ მოუღებს ამას ბოლოს?

– ოჰ, არა, მეგობრებო, მე მზად არ ვარ, საბოლოოდ ავიცრუო გული ყველაფერზე, რადგანაც ვიცი, რა კარგია, ვიდგე აქ, თქვენ წინაშე და გესაუბროთ... როცა ჩემი დრო მოვა, უკანასკნელად ამოვისუნთქავ და ჩემს თავს ვეტყვი: სულ ეს არის? ...და თუ ესაა ყველაფერი, რაც არის... მოდით, კვლავ დავლიოთ და ვიმხიარულოთ... თუ ეს არის ყველაფერი...

ბოლოს მოსწავლეები დახაზავენ ცხრილს, სადაც ჩაწერენ თავიანთ მოსაზრებებს, რა განსხვავება და მსგავსება შენიშნეს გაკვეთილზე განხილული ორი ნიმუშის ინტერპრეტაციაში.

ფრაგმენტი	დეკლამაციის სახეობები	მსგავსება	განსხვავება	რა ხერხებითაა გადმოცემული ხილული და უხილავი საწყისი
„კავკასიური ცარცის წრე“				
ბეტ მიდლერის დეკლამაცია				

14 დეკლამაციის ნაირსახეობა რეპერების მუსიკაში

ელ.რესურსები: აუდიოფაილები – №37, 38, 39, 40, 40-1, 41.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

გამის გამღერება; რიტმული სავარჯიშოს გამეორება წინა გაკვეთილიდან;
რიტმული სავარჯიშო:



აქტივობა 2

მიზანი: მოსმენილი მასალის ირგვლივ დიალოგი, მსჯელობა; რეპი – თანამედროვე მუსიკალური ჟანრი; დეკლამაციის სახეობის განსაზღვრა თანამედროვე მუსიკაში.

რეპი თანამედროვე მუსიკის ძალიან პოპულარული ჟანრია. სიტყვა „რეპი“ ინგლისურიდან კაკუნს, დარტყმას ნიშნავს (მინიშნებაა რეპის რიტმულობაზე). „To rap“ ასევე ნიშნავს ლაპარაკს. რეპი რიტმული რეჩიტატივია, ის თანამედროვე მუსიკალური სტილის „ჰიპ-ჰოპის“ ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

რეპს არც ისე ცოტა ხნის ისტორია აქვს, ეს ჟანრი ყოველთვის ემსახურებოდა იდეოლოგიას. რეპი არის არა მარტო მუსიკა, არამედ საკუთარი აზრის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალებაა, ის ჰიპ-ჰოპის ნაწილია.

ცნობილია, რომ თავდაპირველად **რეპი** აფროამერიკელებმა შეიტანეს ამერიკის კონტინენტზე. მაშინ მონები, რომლებსაც საუბრის უფლება არ ჰქონდათ, სიმღერით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. აქედან წამოვიდა პროტესტის გამღერებით გამოხატვის ფორმა.

რეპი, თანამედროვე სახით, აშშ-ში გამოჩნდა 1970-იან წლებში აფროამერიკელთა რაიონში – ბრონქსში, სადაც იამაიკიდან ჩამოსული დიჯეები ჯერ ქუჩებში, მოგვიანებით კი კლუბებში მუზიცირებდნენ.

რეპი, ჩვეულებრივ, სრულდება დასარტყამი საკრავების ან ელექტროდამრტყმელების რიტმების ფონზე ან, სულაც, თანხლების გარეშე – აკაპელა. რეპერები რიტმების სხვადასხვა ტექნიკას იყენებენ, დაწყებული ყველაზე ელემენტარულითა და მარტივით, დასრულებული კომპლექსური და ძალიან ტექნიკური რიტმებით.

რეპი, პირველ რიგში, თავისუფლებაა, რეპერებს ჩაცმის სტილიც კი ყოველთვის განსაკუთრებული ჰქონდათ. ადამიანი ამ მიმართულებით მღერის ნებისმიერ თემაზე, რაც მას აწუხებს და უხარია, ყველაფერზე, რასაც მისი სული, გული და გონება ჩათვლის საჭიროდ. ამიტომაა ყველა რეპერი განსხვავებული.

რეპი წარმოიშვა, როგორც პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება – ამბობ იმას, რაც არ მოგწონს, პროტესტს გამოთქვამ იმის მიმართ, რაც შენთვის მიუღებელია, რასაც ხედავ, იმას ამბობ. ასე რომ, რეპერების კომპოზიციებში ტექსტების კონკრეტული მკაცრი ჩარჩოები არ არსებობს.

რეპი წლების განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა და მრავალგვარ დატვირთვას იღებდა, მაგრამ მთავარი აზრი უცვლელი რჩებოდა – ეს იყო პროტესტი, პროტესტის გამოვლინება იმ ჟანრში, რასაც ანდაგრაუნდ (UNDERGROUND) ეწოდება.

პირველი ამერიკელი დიჯეი-ვარსკვლავები წარმოშობით იამაიკიდან არიან (გრანდ-მასტერ ფლეში, დიჯეი ქულ ჰერი და სხვ.). რეპი აფროამერიკელთა გეტოების წიაღში განვითარდა. სპორტული ქურთუკებითა და შარვლებით, ზონარშეხსნილი ბოტასებით შემოსილი,

თავზე კეპჩამოფხატული ახალგაზრდები ცეკვავდნენ სინკოპირებულ რიტმებზე, ვინილის ფირფიტებს ატრიალებდნენ და რობოტებივით ლაპარაკობდნენ.

ასე დაიბადა რეპი. იგი ასახავს რასიზმს, სიღარიბეს, რისხვას, ამხელს პოლიციელთა ძალადობას, მაგრამ მეგობრებთან ერთად ყოფნის სიხარულსაც გადმოგვცემს.

მოსწავლის წიგნში განთავსებულია პოპმუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის – რეპის ჟანრში მოღვაწე რამდენიმე რეპერის ფოტო. მოსწავლეები ამოიცნობენ მათ, ასახელებენ ამ მუსიკოსების მიერ შესრულებულ ნაცნობ კომპოზიციებს, საუბრობენ თავიანთ განწყობაზე, რომელი მოსწონთ და რომელი – არა, ახსნიან, თავიანთ მოსაზრებებს.

ფოტოები: 1. ნიკი მინაჟი, 2. „ქსელი 56“, 3. ჯეი-ზი (Jay-Z) ; 4. აის ქუბ (ice cube) - ო’ში ჯექსონი, 5. ამინემი (Eminem), 6. ფიფტი ცენტ (50 cent).

მოსწავლეები თავიანთი სიტყვებით განმარტავენ, რა არის რეპი.

კითხვა: რა მახასიათებლებით შეიძლება ამოვიცნოთ რეპი? შეიძლება თუ არა რეპის შესრულების სტილი ჩაითვალოს დეკლამაციის რომელიმე სახეობად და, კერძოდ, რომლის? (სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს – რიტმული რეჩიტატივი).

ყველა პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ზოგად ინფორმაციას მიაწვდის მოზარდებს ამ მიმართულებაზე:

მოსწავლეები ეცნობიან მოსწავლის წიგნში განთავსებულ ტექსტებსა და გასცემენ პასუხებს დასმულ კითხვებს.

ისმენენ ფოტოებზე გამოსახული რეპერების კომპოზიციებს:

1. ნიკი მინაჟი (აუდიო №39)
2. „ქსელი 56“ (აუდიო №40)
3. ჯეი-ზი (აუდიო №38)
4. აის ქუბ (აუდიო №37);
5. ემინემი (აუდიო №41)
6. ფიფტი ცენტ (აუდიო №42).

მოსმენის შემდეგ, მოსწავლეები ახასიათებენ თითოეულ მათგანს ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით:

ა) კომპოზიცია მოკლებულია განცდებსა და ემოციებს;
ბ) კომპოზიციის მოსმენის შემდეგ გამოიკვეთება მხოლოდ ხილული საწყისი;
გ) კომპოზიციაში წარმოჩინდება მხოლოდ უხილავი საწყისი;
დ) კომპოზიციაში წარმოჩინდება როგორც ხილული, ისე უხილავი საწყისი.

მოსწავლეები საუბრობენ:

- დეკლამაციის რა ნაირესახეობები გვხვდება რეპში;
- რა გამომსახველობითი ხერხებით გამოხატავენ რეპერები ხილულსა და უხილავს;
- როგორი ურთიერთკავშირია სიტყვასა და ინტონაციას, ვოკალსა და მუსიკალურ თანხლებას შორის; რა როლი ენიჭება სიტყვას და რა როლი აქვს ინტონაციას;
- დეკლამაციის რომელ ნაირსახეობას მიაკუთვნებენ რეპერების შესრულების სტილს.

მოცემული მახასიათებლებიდან შეარჩევენ სწორ ვარიანტებს:

ა) ახასიათებს მკვეთრი რიტმი, აქცენტირებული ძლიერ დროზე;
ბ) ეს არის ბგერების ერთობლიობა, მას არა აქვს რიტმი;
გ) კომპოზიცია ემყარება ერთი მოტივის მრავალჯერ გამეორებას;
დ) მეტადაა გამოკვეთილი ემოციური მელოდიური ნახაზი;
ე) ყველა ერთად.

მოსწავლეები მოიძიებენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო რეპერების შესახებ; მომდევნო შემაჯამებელი გაკვეთილისთვის მოამზადებენ პროექტს თანდართული აუდიო-ვიდეო-მასალებით (მაგ., თემა: „დეკლამაციის სახეები თანამედროვე მუსიკაში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში“).

15-16 შემაჯამებელი გაკვეთილები

მიზანი: განვლილი მასალის შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგების შეჯამება. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას (პირველი თავის I ნაწილი) მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

აუდიოფაილები: №№19, 35, 39, 43, 44; ვიდეო №6.

აქტივობა 1

მოსწავლეების მიერ LMMS პროგრამაში გაკეთებული კოლაჟების პრეზენტაცია თანდართული აუდიო/ვიდეომასალით.

აქტივობა 2

ფრაგმენტის მოსმენა: რადიოსპექტაკლი „სამი ვედრო თოვლი“ (№43) (რეჟ. ზურაბ კანდელაკი).

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, ემოციებს: რა სახის დეკლამაციებია ამ ფრაგმენტში; რა გამომსახველობითი ხერხებითაა მიღწეული დეკლამირებისას ხილულისა და უხილავის გადმოცემა?

აქტივობა 3

მოისმინეთ რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტი, განსაზღვრეთ ჟანრი; აღნიშნეთ, რომელ ფრაგმენტში რა სახის დეკლამაციაა.

ენდრიუ ლოიდ უებერი – როკ-ოპერა „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“ (№44), მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“ (№19); „კავკასიური ცარცის წრე“ (№35); ნიკი მინაჟი (№39), ბეტ მიდლერის დეკლამაცია (ვიდეო №6).

აქტივობა 4

რომელ ჟანრებში გადმოიცემა ყველაზე მკაფიოდ ხილული და უხილავი?

შეავსეთ ცხრილი. ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ ✓ ნიშანი, სადაც საჭიროთ ჩათვლით.

ჟანრი	დეკლამაციის სახეობა	სიტყვისა და ინტონაციის ურთიერთკავშირი	სიტყვისა და მუსიკის ურთიერთკავშირი
სპექტაკლი			
ოპერა			
მიუზიკლი			
რეპერების მუსიკა			

შეფასების რუბრიკა

თემატური ბლოკი – „ხილული და უხილავი მუსიკაში“ (I ნაწილი)		ქულა
• მუსიკალური ნაწარმოების ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა; ჟანრის განსაზღვრა; მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების ერთმანეთთან შედარება; დეკლამაციისა და სხვა გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი როლის განსაზღვრა; • სათანადო რიტმის, მელოდიის, ჰარმონიისა და ფორმის გამოყენებით მუსიკალური კოლაჟის შექმნა.	ამოიცნობს მუსიკის მახასიათებლებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.	0-3
	ამოიცნობს ხილულისა და უხილავის მახასიათებლებს დეკლამაციის სხვადასხვა სახეობაში.	0-3
	განსაზღვრავს მუსიკისა და სიტყვის ურთიერთკავშირს ფრაგმენტის შინაარსობრივი და ემოციური დატვირთვის ინტერპრეტირებაში.	0-4

17-20

დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში მსხვილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ფორმებში

ორატორია

ცნებები:
რიტმი – რიტმული დეკლამაცია;
მელოდია – ინტონირებული დეკლამაცია;
ჰარმონია – ურთიერთკავშირი ინტონირებული დეკლამაციისა და სხვა მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით გადმოცემულ თანხმობას შორის;
ფორმა – სამნაწილიანი ფორმა;
ჟანრი – ორატორია, კანტატა, ოპერა, სიმფონია.

საკვანძო შეკითხვები:
1. როგორ გამოიყენება რიტმული და ინტონირებული დეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემის დროს?
2. რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
3. როგორ გამოვიყენო რიტმული და ინტონირებული დეკლამაცია მუსიკაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად?

ელ.რესურსი – აუდიო: ნაწყვეტები ორატორიიდან ჟანა დ'არკი კოცონზე" – №№34, 34-1, 35-1,35-3, 35-4, 35-5-6-7, 35-8, 35-9, 35-10, 35-11, 35-11-2-3-4-5-6,12, 13,14.
ვიდეო – №7, 8.

აუდიოფაილების თანმიმდევრობა მოსწავლის წიგნის აქტივობების მიხედვით:
აქტივობა 1.
პროლოგი: №34, 34-1;
აქტივობა 2.
დეკლამაციის მაგალითები: №№35-1, 35-2, 35-3, 35-4.
აქტივობა 3.
ჟანას დეკლამაციის სახეები: ინტონირებული – №35-1, მელოდეკლამაცია – №35-3, რიტმოდეკლამაცია – №35-4;
ძმა დომენიკის დეკლამაცია – ინტონირებული – №35-9, მელოდეკლამაცია – №35-10;
აქტივობა 4.
„ტრიმაზო" – №35-11;
ბავშვობის გახსენება – №35-12.
აქტივობა 6.
„ტრიმაზოს" მოტივები კომპოზიციისთვის – №№35-11-1,2,3,4,5,6,7,8,9.
აქტივობა 7.
გუნდი – №35-5-6-7,14; წმინდანები – კატარინა და მარგარიტა – №35-13.
აქტივობა 10.
მთლიანი სცენა – №35-14.
ვიდეოფაილი: ჟანას მოგონება – №8 (აქტივობა 4);
აქტივობა 11.
ეპილოგი – №35-8.

ორატორია მსხვილი მუსიკალური ჟანრია გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისთვის.

საკლასო აქტივობები

მიზანი: ორატორიის ჟანრის მუსიკალური ფორმის გაცნობა; მოსმენილი მასალის ირგვლივ დიალოგი, მსჯელობა, სიტყვიერი ტექსტისა და მუსიკის ურთიერთკავშირის გააზრება.

აქტივობა 1

გამის გამღერება; მასწავლებლის შერჩეული რიტმული სავარჯიშო.

აქტივობა 2

მასწავლებელი:

ორატორია, ისევე როგორც ოპერა და კანტატა, ჩაისახა მე-17 საუკუნის დასაწყისში. ის მსხვილი ფორმის მუსიკალური ჟანრია, სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისთვის.

გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი არტურ ონეგერი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ხელოვანია. ამ მრავალმხრივი მუსიკოსისა და მოაზროვნის მთელი ცხოვრება ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, რომელსაც მთელი თავისი ძალა და უნარი მოახმარა თითქმის 40 წლის განმავლობაში. კომპოზიტორის შემოქმედებითი კარიერის დასაწყისი პირველი მსოფლიო ომის წლებს ემთხვევა, ბოლო ნამუშევრები კი 1952-53 წლებში დაიწერა. ონეგერის კალამს 150-ზე მეტი თხზულება ეკუთვნის, ასევე, ბევრი კრიტიკული სტატია თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის შესახებ.

ვინ იყო ჟანა დ'არკი, „ორლეანდელ ქალწულად" წოდებული, რომელმაც შეცვალა საფრანგეთისა და, შეიძლება ითქვას, ევროპის, ისტორია?

ისტორიკოსებისა და მწერლების უმეტესობა ჟანას მწყემსის ასულად მიიჩნევს, ის დაიბადა საფრანგეთის სოფელ დომრემში, შეძლებული გლეხის ოჯახში. მისი ცხოვრების, წარმომავლობისა და არაჩვეულებრივი გონების, წინასწარმეტყველების უნარის, შორსმჭვრეტელობის შესახებ სხვადასხვა მითი არსებობს.

ჟანა დ'არკი, ორლეანელი ქალწული – საფრანგეთის სახალხო გმირია, რომლის ხელმძღვანელობით ფრანგი ხალხის ასწლიანი ომი ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ სრული გამარჯვებით დასრულდა.

ფანატიკურად მორწმუნე ჟანა დ'არკს 13 წლიდან ჩაესმოდა წმინდანების ხმა – მთავარანგელოზ მიქაელის, წმინდა მარგარიტისა და ეკატარინასი, რომლებიც აუწყებდნენ, რომ მისი ამქვეყნიური დანიშნულებაა საფრანგეთის ხსნა, მისგან აბჯრის ასხმასა და საფრანგეთიდან ინგლისელების გასაძევებლად ბრძოლის წინამძღოლობას მოითხოვდნენ. ეუბნებოდნენ, რომ ის საფრანგეთის მხსნელი უნდა გამხდარიყო: „ჩემო დაო, შენ უნდა იხსნა საფრანგეთის წმინდა მიწა; შენი უმწიკვლოებითა და ვაჟკაცობით მეფე კვლავ დაუბრუნდება საფრანგეთს"...

ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს საფრანგეთის მეფის ხელში მყოფ უკანასკნელ ქალაქს ორლეანს, რომლის დაცემა საფრანგეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობის დასასრულს ნიშნავდა. 18 წლის ჟანა გაოგნებულ მშობლებს განუცხადებს, რომ უნდა წავიდეს და შეასრულოს თავისი „მოვალეობა", დაეხმაროს დოფინს (ტახტის მემკვიდრე) ტახტზე ასვლაში.

მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ჟანა გაემგზავრა შარლ VII -სთან შინონის ციხეში. თავისი ჭკუითა და მოსაზრებულობით ჟანა დ'არკმა მეფის ნდობა დაიმსახურა და დაინიშნა საფრანგეთის ჯარების სარდლად. მან თავისი ჯარით შეაღწია ალყაშემორყმულ ორლეანში, რის შედეგადაც ინგლისელებმა მოხსნეს ალყა ორლეანს. ინიციატივა ფრანგების ხელში გადავიდა. ჟანა დ'არკს უბრძოლველად დანებდა მრავალი ქალაქი, მათ შორის, რეიმსიც, სადაც შარლ VII საფრანგეთის მეფედ აკურთხეს.

ჟანას უდიდესმა პოპულარობამ შეაშინა მეფე, არისტოკრატია და უმაღლესი სამღვდელოება. მათი ღალატის შედეგად ჟანა ტყვედ ჩაიგდეს ინგლისის მომხრე ბურგუნდიელებმა და

6 თვის შემდეგ დიდ თანხად (10 ათას ოქროდ) მიჰყიდეს ინგლისელებს. ახლად ნაკურთხმა მეფემ, რომელიც ჟანას დახმარებით ავიდა საფრანგეთის სამეფო ტახტზე, არაფერი იღონა ჟანას დასახსნელად, ქალაქ რუანში მოწყობილ საეკლესიო სასამართლო პროცესზე ჟანა დ'არკს ჯადოქრობა, მწვალებლობა და ერეტიკოსობა (ერეტიკოსი – ადამიანი, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის სწავლებას ეწინააღმდეგება) დასწამეს და სიკვდილი მიუსაჯეს. 1431 წლის მაისში, საფრანგეთის ქალაქ რუანის ძველი ბაზრის მოედანზე ჟანა კოცონზე დაწვეს.

კოცონზე დაწვეს 19 წლის ქალწული, რომელსაც ხალხი ღვთისმშობელს ადარებდა. რეიმსის ეპისკოპოსი და მეფე შარლ VII გულგრილად უყურებდნენ ამ საზარელ სანახაობას.

1456 წელს განაჩენი გადაისინჯა და ჟანა დარკი რეაბილიტირებულად გამოცხადდა, 1920 წელს რომის პაპის განკარგულებით, კათოლიკურმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა. მისი ხსოვნის დღედ დაწესდა 8 მაისი.

ჟანამ, თავისი ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, სამშობლოს დიდი სიყვარულის, ერთგულების, თავისი გასაოცარი სიმამაცის წყალობით შეძლო საფრანგეთის ისტორიის შეცვლა.

ისტორიამ შემოინახა დაკითხვის ოქმები და სხვა მასალები, საიდანაც ჩანს, რა ბრძენი, გონებამახვილი და შეუპოვარი ყოფილა გმირი ქალწული.

- „მე მზად ვარ დავემორჩილო მებრძოლ ეკლესიას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ის იმოქმედებს უფლის ნებით".
- „თუნდაც ასო-ასო ამკუწოთ და სული ამომხადოთ, მაინც არ შევცვლი ჩემს ჩვენებას, რადგან მე რომ სხვა რამე ვთქვა, ყოველთვის იქნება საბაბი დამცირებისა, რომ სიტყვა გადამათქმევინეს".
- „თუ ჩემში არაა ციური მადლი, დაე, უზენაესმა მომივლინოს ის, და თუ არის, ნუ წამართმევს ამ წყალობას".
- „რატომ მეჭირა საფრანგეთის დროშა? ჩემმა დროშამ დიდებით გამოიარა ბრძოლის ქარცეცხლი. მას უფლება ჰქონდა ზიარებოდა ძლევის დიდებას".
- „თუ კარი ღია იქნება, მე გავიქცევი, რათა დავრწმუნდე, რომ უფალს სურს ჩემი სამართლიანი საქმის გადარჩენა".

გაკვეთილის თემის განხილვის მიმდევრობა სრულად არის წარმოდგენილი მოსწავლის წიგნში, რომლის მიხედვითაც, ნაწარმოების ფრაგმენტების თანმიმდევრული განხილვისას, მოსწავლეები გაეცნობიან, რას წარმოადგენს ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრის ეს სახეობა – ორატორია, როგორია მისი მუსიკალური ფორმა; უპასუხებენ წიგნში დასმულ კითხვებს, რომლის მეშვეობითაც ნათლად აღიქვამენ: რა როლი ენიჭება პროლოგს, რა ფუნქციას ასრულებს გუნდის ჩართულობა, დეკლამაციის რომელი ნაირსახეობებია გამოყენებული ამა თუ იმ პერსონაჟის მიერ და როგორ გვეხმარება დეკლამაციის ეს ფორმები ამ პერსონაჟების ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოჩენაში; თეორიულ ნაწილში გაიხსენებენ ადრე ნასწავლ ინტერვალებს და გაეცნობიან ახალს – წმინდა კვინტას.

მუსიკალური ფორმა

- ფორმა გვიჩვენებს, თუ როგორ არის აგებული მუსიკალური ნაწარმოები;
- მუსიკალური ფორმა ეხმარება კომპოზიტორს სხვადასხვა მუსიკალური ელემენტი გააერთიანოს ერთ სრულყოფილ მუსიკალურ ნაწარმოებში;
- ფორმის საშუალებით გადმოიცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსი;
- მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოიცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა;
- მუსიკალური ფორმის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე;
- მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა.

ორატორიის – „ჟანა და'არკი კოცონზე" – მუსიკალური ფორმა, ბუნებრივია, განპირობებულია მოვლენათა თანმიმდევრობის მიხედვით დაჯგუფებით.

✦ ორატორიაში შენარჩუნებულია თხრობის ტონი – ეპიკური, დრამატული, ლირიკული, რაც დამოკიდებულია სცენების ხასიათზე. თითოეულ სცენას აქვს ალეგორიული სახელწოდება: ნაწარმოებში სულ 11 სცენაა;

✦ პროლოგი და ეპილოგი ნაწარმოებს მთლიანობას ანიჭებს, მთლიან ეპიკურ ჩარჩოში აქცევს;

✦ პირველი ორი სცენა – „ციური ხმები" და „წიგნი" (ე. წ. ჟანას ცხოვრების წიგნი) ერთგვარი მუსიკალური ექსპოზიციაა;

✦ შემდეგი ოთხი სცენა (მესამედან მეექვსემდე – 3. „დედამიწის ხმები", 4. „ჟანა ცხოველების ძალაუფლებაში", 5. „ჟანა სამარცხვინო ბოძზე", 6. „მეფეები, ან ბანქოს თამაში") ხატავს ჟანასთვის ბოროტ, მტრულ ძალებს;

✦ მეშვიდე და მერვე სცენები (7. „კატარინა და მარგარიტა", 8. „მეფის მსვლელობა რეიმსში") ჟანას გმირული საქმეების ეტაპებია;

სცენები, რომლებიც ფინალამდე მიდის, გამოავლენს ჟანას გმირობის მორალურ და ფსიქოლოგიურ სტიმულს; თითოეულ მათგანს დრამატული პიკი აქვს: ბოროტი ძალების კულმინაცია – გროტესკული სასამართლო სცენა; კეთილგანწყობილი ხალხის კულმინაცია – საფრანგეთის ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანების სადღესასწაულო სურათი;

✦ მეცხრე სცენაში („ჟანას მახვილი") ჩნდება კიდევ ერთი ლირიკული კულმინაცია – „მშვიდი", მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი – ეს არის საბავშვო ხალხური სიმღერა „ტრიმაზო" (Trimazo), რომელსაც ჟანა მღერის.

✦ საბოლოო კულმინაცია ფინალურ სცენაშია (11. „ჟანა კოცონზე"):

✦ გრანდიოზული საგუნდო დინამიკის შემდეგ ისმის მშვიდი, ნელ-ნელა ქრობადი კოდა, რომელშიც გაერთიანებულია ასე თუ ისე ყველა ადამიანური და ამაღლებული თემა, რომელშიც ხალხისგან გამოსული გოგონას – ჟანას სახეებაა გადმოცემული.

თუ ორატორიას შევადარებთ ოპერას, მაშინ მთავარი განსხვავებაა ორატორიაში რაიმე თვალსაჩინო სასცენო მოქმედების არარსებობა და, შესაბამისად, არარსებული დეკორაციები და კოსტუმები. მეორე განსხვავება ისაა, რომ ორატორიების უმეტესობა დაფუძნებულია წმინდა ტექსტებზე, ხოლო ოპერას აქვს სიუჟეტების შეუზღუდავი სპექტრი. მესამე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ორატორიებში დომინირებს საგუნდო სცენები, ხოლო ოპერა, თავისი მასშტაბურობით, ამის გარდა, საშუალებას აძლევს თითოეულ მსახიობს, გადმოსცეს დრამატული სახე და წარმოაჩინოს თავისი ვოკალური და სამსახიობო შესაძლებლობები. ოპერის ხანგრძლივობა გაცილებით გრძელია, ვიდრე ორატორიის, რომელიც, ჩვეულებრივ, იშვიათად გრძელდება ერთ საათზე მეტ ხანს.

რაც შეეხება **კანტატას**, ის შეიძლება იყოს ორატორიის ნაწილი. ი. ს. ბახის საშობაო ორატორია ექვსი კანტატისგან შედგება, რომლებიც ქმნიან სრულ მხატვრულ მთლიანობას, მას შობის ლიტურგიკული ციკლის დღესასწაულზე ასრულებენ.

ორატორია „ჟანა დ'არკი კოცონზე" შეგიძლიათ მოასმენინოთ მოსწავლეებს ინტერნეტბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=zpaNo4mWRBE)

მასწავლებლებს ვურჩევთ, მოისმინონ ქართული რადიოგადაცემა, სადაც მოთხრობილია საინტერესო ფაქტები ჟანა დ'არკის ცხოვრებიდან, აგრეთვე, მის შესახებ არსებული თქმულებები (ჟანა დ'არკის საიდუმლო. X კოდი); შეგიძლიათ, ამ გადაცემაზე თემის გაცნობამდე ესაუბროთ მოსწავლეებს, რაც მათ გაუღვიძებს ინტერესს ამ საკითხის მიმართ. ინტერნეტბმული:
https://www.youtube.com/watch?v=IWgfc9HbQTA

4 მოსმენილი ფრაგმენტების ტექსტების ქართული თარგმანი (რომელსაც მასწავლებელი წაიკითხავს მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეავსებენ ცხრილს):

დეკლამაცია: ჩვენ მხოლოდ მხეცნი ვართ, რომლებიც ერთსა და იმავე საწმისს ვატარებთ. მე კი ერთადერთი ვარ ფარიდან, ვისაც მწყემსის ხმის ამოცნობა ძალუძს.

ინტონირებული: ჩქარა! ჩქარა! წინ! წინ! როგორც თქვენ მიხმობთ! სად არის ჩემი ერთგული მახვილი! წინ! წინ! აი, ისიც! ჩემს ხელთ არის! მე უნაგირს მოჭიდებული მივყვები მას! მივყვები, როგორც დიად ხელმწიფეს! მასთან ერთად გადავლახავ ტყესა და წყვდიადს, მასთან ერთად ტრიუმფით გადავკვეთ მთელ საფრანგეთს!"

მელოდეკლამაცია: თუ გესმის, ძმაო დომენიკ, როგორ უნდა ამიხსნას ეს ვინმე გონებაშეზღუდულმა ან ჭკუადაბნეულმა? ...ეს იყო ცაცხვი მამაჩემის სახლის წინ, მაღალი, როგორც მქადაგებელი თეთრ სტიქარში, მან ყველაფერი ამიხსნა.

რიტმოდეკლამაცია: ერეტიკოსი, ალქაჯი, განდგომილი, ბარბაროსი...

7 ბ) ჰარმონიული ფორმულის ამოცნობა რე-დან – I-IV-V-I, სწორი პასუხია: 3.

ბოლო კითხვად მოცემულია ცხრილი, რომლის ცარიელ უჯრებში მოსწავლეები ჩაწერენ თავიანთ ვარაუდებს, რომელი ფრაგმენტი რომელ ნომრად მოისმინეს და რომელი ფრაგმენტი მიესადაგება ცხრილში მოცემულ მახასიათებლებს.

მოსწავლეთა ვარაუდები შეიძლება განსხვავებული იყოს, ეს არაა პრობლემა; მთავარია, მათ ახსნან თავიანთი პასუხები, ისაუბრონ შეგრძნებებზე, ემოციებზე, იმაზე, თუ რის მიხედვით გააკეთეს არჩევანი, დაახასიათონ ფრაგმენტების რიტმი, ინტონაცია, ჰარმონია, ემოციური მუხტი და ა.შ. მოსმენა აუდიოფაილებიდან: №№35-1, 35-2, 35-3. შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

2	დაპირისპირება, გმობა	გ
1	პატივის მიგება, განდიდება	ა
3	აღფრთოვანება, აღმაფრენა, ექსტაზი	ბ

9 შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

	დეკლამაციის ნაირსახეობები	სხვა მუსიკალური ხერხები
ჟანა დ'არკი – ეროვნული გმირი	✓	✓
ძმა დომენიკი – ბერი, რომელიც ჟანას უხსნის, რაც მას შეემთხვა, როგორ და რატომ უღალატეს, ვინ არიან სინამდვილეში მისი მსაჯულები	✓	
წმინდანები – კატარინა და მარგარიტა, რომლებიც ზეციდან ამხნევებენ ჟანას		✓
ბრბო	✓	✓
ღვთისმშობელი მარიამი, რომელიც ჟანას ზეცისკენ მოუხმობს		✓

10 XI სცენის სქემა. შევსებული ვარიანტი:



მითითება: ბუნებრივია, მოსწავლეების ვარაუდით შევსებული ცხრილი ინდივიდუალური იქნება. ეს არის ერთგვარი შემოქმედება. მათ თავი უნდა წარმოიდგინონ კომპოზიტორის ადგილას და თავად გადაწყვიტონ, რა შემთხვევაში დეკლამაციის რომელ ნაირსახეობებს გამოიყენებენ. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შემდეგში მოსწავლეებმა გამართონ დისკუსია ან წარადგინონ საკუთარი ცხრილის ვერსია და მოიყვანონ სათანადო არგუმენტები. ამით უნდა შეფასდეს მოსწავლე და არა იმით, რამდენად დაემთხვა მათი ვარაუდი კომპოზიტორის ჩანაფიქრს.

კომპლექსური დავალება

კომპლექსურ დავალებად მოსწავლეებს ვთავაზობთ თემას: ონეგერის ორატორია – „ჟანა დ'არკი კოცონზე".

მოსწავლეები მოისმენენ ფრაგმენტებს ამ დავალებისთვის მომზადებული I თავის აუდიო-ჩანაწერებიდან და ამის მიხედვით იმუშავებენ.

ეს კომპლექსური დავალება შეიძლება შესრულდეს ორ ვარიანტად. კლასის ნაწილი შეასრულებს პირველ ვარიანტს ანუ სცენის პირველ ნაწილს (I ეტაპი) – დიალოგს ჟანასა და ძმა დომენიკს შორის, კლასის მეორე ნაწილი კი შეასრულებს სცენის მეორე ნაწილს – „ჟანას მონოლოგი" (II ეტაპი). დანართში ცალკე ჟანასა და ძმა დომენიკის დიალოგის სქემას შეავსებენ (ვარიანტი 1), ცალკე – ჟანას მონოლოგის სქემას (ვარიანტი 2).

პირველი ვარიანტის სწორად შევსებული ცხრილი:

ფრაგმენტის №	ქვეგანაყოფის განწყობის აღწერილობა	ქვეგანაყოფის ტექსტი
3	აქ მოსაუბრეები ერთმანეთს არ მიმართავენ. საუბრის თითოეული მონაწილე თითქოს თავის ფიქრებშია.	ბ
4	აქტიური დიალოგი ჟანასა და ძმა დომენიკს შორის.	ა
1	ჟანა ხსნის თავის ღვთიურ დანიშნულება.	დ
2	ჟანა ბრუნდება თავის ბავშვობაში, როდესაც პირველად იგძნო, რომ იგი ღმერთმა აირჩია.	გ

მეორე ვარიანტის სწორად შევსებული ცხრილი:

ფრაგმენტის №	ქვეგანაყოფის განწყობის აღწერილობა	ქვეგანაყოფის ტექსტი
2	ჟანა აღწერს უიმედობას, რომელიც მის ირგვლივ სუფევდა.	გ
5	ჟანას აეხილა თვალი და მან იმედისმომცემი ღვთაებრივი შუქი იხილა, რომელმაც ყველაფერი ააყვავა.	ა
4	ჟანა აღფრთოვანებულია, იგი გვიმხელს მისი მახვილის ძალის საიდუმლოს.	ე
3	ჟანა კვლავ დაკნინებულია. მას სიკვდილი ელის. იგი თავს იმხნევებს.	დ
1	ჟანა სულით ზეცისკენ მიისწრაფვის.	ბ

შემდეგი 6 გვერდი ორივე ვარიანტის Hand up **ამოსაბეჭდი ფურცლებია კომპლექსური დავალებისთვის.**

I ვარიანტი

პირობა: ააწყეთ სწორი თანმიმდევრობით სცენა „ჟანას მახვილი“ არტურ ონეგერის ორატორიიდან „ჟანა დ’არკი კოცონზე“. გააკეთეთ პრეზენტაცია შემოთავაზებული გეგმის მიხედვით:

1. აღწერეთ სცენის მუსიკალური კონსტრუქცია (რა ნაწილებისგან შედგება, რა განწყობისაა თითოეული ნაწილი, რა თანმიმდევრობითაა დალაგებული ეს ნაწილები);
2. ახსენით ამ სცენის შინაარსობრივი დატვირთვა და როგორ განაპირობა შინაარსმა ნაწილების თანმიმდევრობა;
3. აღწერეთ, როგორ იცვლება (განწყობის მიხედვით) ჟანას პარტია, რა მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული ყოველივე ეს.

I ეტაპი: ამ სცენის ერთ-ერთი ნაწილია ჟანასა და პადრე დომენიკის დიალოგი. ეს დიალოგი სამ სხვადასხვა განწყობის ქვეგანაყოფებად იყოფა. თქვენ წინაშეა ცხრილი, რომელშიც ამ ქვეგანაყოფების განწყობის აღწერილობაა. მოუსმინეთ ამ ფრაგმენტებს და მიუწერეთ თითოეული ფრაგმენტის ნომერი სათანადო აღწერილობის მარცხენა გვერდის უჯრაში. აღწერილობები გაწერილია იმავე თანმიმდევრობით რა, თანმიმდევრობითაც ისინი ამ სცენაშია განლაგებული, ხოლო ფრაგმენტები მოგეცემათ არეული თანმიმდევრობით:

ფრაგმენტის №	ქვეგანაყოფის განწყობის აღწერილობა	ქვეგანაყოფის ტექსტი
	აქ მოსაუბრეები ერთმანეთს არ მიმართავენ. საუბრის თითოეული მონაწილე თითქოს თავის ფიქრებშია.	
	აქტიური დიალოგი ჟანასა და პადრე დომინიკს შორის.	
	ჟანა ხსნის თავის ღვთიურ დანიშნულება.	
	ჟანა ბრუნდება თავის ბავშვობაში, როდესაც პირველად იგძნო, რომ იგი ღმერთის რჩეულია.	

შეავსეთ სქემა 1 ეტაპის ბოლოს (იხ. დანართი)

უპასუხეთ კითხვებს:

• რომელი ფრაგმენტი მიუსადაგეთ აღწერილობას მოსაუბრეების ინტონაციის მიხედვით?

_____

_____

• რომელი ფრაგმენტი მიუსადაგეთ აღწერილობას გუნდის ან საორკესტრო თანხლების მიხედვით?

_____

_____

• როგორ ფიქრობთ, რომელ ფრაგმენტშია ჟანას პარტიაში რიტმული დეკლამაცია?

_____

• რომელ ფრაგმენტში ჟღერს „ტრიმაზო“? რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს „ტრიმაზოს“ ამ ფრამგენტში?

_____

_____

• რა სახეობის დეკლამაციით არის წარმოდგენილი ძმა დომენიკის პარტია?

_____

ახლა კი გაეცანით ტექსტებს და მიუსადაგეთ მათ მუსიკალური ფრაგმენტები. ჩაწერეთ ნომერი ოთხკუთხედში:

ა) **ძმა დომენიკი:** მითხარი, ჟანა, არის რაღაც, რაც მხოლოდ უბიწო ქალწულს შეუძლია ამიხსნას, მე, სპილენძითა და რკინით წელშემორტყმულს, ყმაწვილობიდან უყოყმანოდ სინანულის ბილიკზე შემდგარს.
ჟანა: რის ახსნას შევძლებ მე, როდესაც ცაში სულ ცოტა თორმეტმა ვარსკვლავმა ყველაფერი ჩემზე უკეთესად იცის?
ძმა დომენიკი: ამიხსენი, რაშია შენი მახვილის ძალა! მართალია, რომ ეს საშინელი ხმალი, რომელიც შიშის ზარს სცემდა ინგლისელებსა და ბურგუნდიელებს, ნახევრადდანგრეულ ეკლესიაში იპოვე?
ჟანა: არა, დანგრეულ ეკლესიაში არა! მე ის დომრემიში გადმომცეს. დროშა – მარცხენა ხელში, მახვილი – მარჯვენაში. ვინ გამიწევდა წინააღმდეგობას? იესო, მარიამი! იესო, მარიამი!

ბ) **ჟანა:** ციდან ბულბულის ჩამესმის ამოსუთქვასავით მარგარიტას ხმა და ნაზი პატარა ვარსკვლავები, საკუთარი დიაკონესას ბრძანებით, ერთიმეორის მიყოლებით ქრებიან.
ძმა დომენიკი: სისხლის, მეწამულის, ულტრამარინის ღამის ფურცლები თითებში ჭკნება და მხოლოს ოქროს ინიციალი დარჩა უბიწო პერგამენტზე.
ჟანა: რა მშვენიერია ნორმანდია, ყველაფერი წითლად და ვარდისფრადაა შემოსილი, წითელი – სიხარულით და ვარდისფერი – უბიწოებით, მოციმციმე დილის ნამით მოპკურებული ემზადება ჩემს საზიარებლად. რა საამური იქნება ჟანასთვის მაისის თვეში ზეცად ამაღლება! რა მშვენიერი ხარ, ჩემო ნორმანდიავ!

გ) **ჟანა:** ყური მიგდე და მიხვდები, ძმაო დომინიკ! არც სულელი, არც ბრიყვი არ არის საჭირო ამის ასახსნელად. ეს ყოველივე მე მთავრის შუქით განათებულ მამაჩემის სახლთან მდგარმა, თეთრ სამოსიანმა, მაღალმა სტიქაროსანმა ამიხსნა.
ძმა დომენიკი: თქვი, გისმენ.

დ) **ჟანა:** მოვდივარ! მოვდივარ! უკვე მოვდივარ!
ძმა დომინკი: ვის ესაუბრები გამუდმებით?
ჟანა: ნუთუ არ გესმის? განა არ გესმის ხმები, რომლებიც იძახიან: ჟანა! ჟანა! ჟანა! მოდი, მოდი, ღვთის შვილო! აღარ მეძახიან ალქაჯს, ისინი ნათლობისას მოცემული ქრისტიანული სახელით მომმართავენ – ჟანა, „ღვთის შვილო"; არც ერეტიკოსს, არც განდგომილს, არც სხვა საშინელ სახელს არ მიწოდებენ. არამედ – „ღვთის შვილს"! რა კარგია, როდესაც „ღვთის შვილს" გიწოდებენ! და არა მხოლოდ კატარინა და მარგარიტა – ყველა ადამიანი, ცოცხალიც და გარდაცვლილიც, ერთხმად იძახიან: „მოდი, მოდი, ღვთის შვილო! ჟანა! ჟანა! მოდი!.. მოვდივარ, უკვე მოვდივარ!
ძმა დომენიკი: მაგრამ შენ ჯერ არ აგიხსნია, საიდან აქვს შენს მახვილს ძალა!
ჟანა: თუ გსურს გაიგო, რა ძალა აქვს ჩემს მახვილს, ბრძენო ძმაო, საჭიროა პატარა ლოტარინგიელ გოგონად იქცე! მე ვერ გაქცევ პატარა გოგონად, ვერ მოგკიდებ ხელს, „ტრიმაზოს" მღერით რომ შევუერთდეთ ობენს და რუთენს!

მიუწერეთ ცხრილში აღწერილობის გვერდით სათანადო ტექსტის ლიტერი.

გამოიყენეთ წინა აქტივობები და შეავსეთ სქემა. ჩაწერეთ თავისუფალ უჯრებში სათანადო მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი:



დაალაგეთ მუსიკალური ფრაგმენტები თქვენ მიერ შევსებული სქემის მიხედვით და გააკეთეთ პრეზენტაცია.
პრეზენტაციის დროს გამოიყენეთ გეგმა და თქვენი პასუხები შეკითხვებზე.

II ვარიანტი

პირობა: ააწყეთ სწორი თანმიმდევრობით სცენა „ჟანას მახვილი“ არტურ ონეგერის ორატორიიდან „ჟანა დ’არკი კოცონზე“. გააკეთეთ პრეზენტაცია შემოთავაზებული გეგმის მიხედვით:

1. აღწერეთ სცენის მუსიკალური კონსტრუქცია (რა ნაწილებისგან შედგება, რა განწყობისაა თითოეული ნაწილი, რა თანმიმდევრობითაა დალაგებული ეს ნაწილები);
2. ახსენით ამ სცენის შინაარსობრივი დატვირთვა და როგორ განაპირობა შინაარსმა ნაწილების თანმიმდევრობა;
3. აღწერეთ, როგორ იცვლება (განწყობის მიხედვით) ჟანას პარტია, რა მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული ყოველივე ეს.

II ეტაპი: ამ სცენის ერთი ნაწილი ჟანას მონოლოგია. იგი ძმა დომინიკს თავისი მახვილის სასწაულებრივი ძალის საიდუმლოს უმხელს. ეს მონოლოგიც ოთხი ქვეგანაყოფისგან შედგება. ამოიცანით ეს ქვეგანაყოფები და ჩასვით ცხრილის სათანადო უჯრაში აღწერილობის მარცხნივ:

ფრაგმენტის №	ქვეგანაყოფის განწყობის აღწერილობა	ქვეგანაყოფის ტექსტი
	ჟანა აღწერს უიმედობას, რომელიც მის ირგვლივ სუფევდა.	
	ჟანას აეხილა თვალი და მან იმედისმომცემი ღვთაებრივი შუქი იხილა, რომელმაც ყველაფერი ააყვავა.	
	ჟანა აღფრთოვანებულია, იგი გვიმხელს მისი მახვილის ძალის საიდუმლოს.	
	ჟანა კვლავ დაკნინებულია. მას სიკვდილი ელის. იგი თავს იმხნევებს.	
	ჟანა სულით ზეცისკენ მიისწრაფვის.	

უპასუხეთ კითხვებს:

• აღწერილობას რომელი ფრაგმენტი მიუსადაგეთ მოსაუბრეების ინტონაციის მიხედვით?

_____

_____

• რომელი ფრაგმენტი მიუსადაგეთ აღწერილობას გუნდის ან საორკესტრო თანხლების მიხედვით?

_____

_____

• რომელი ფრაგმენტი მოგეჩვენათ ყველაზე ემოციურად დამუხტული?

_____

_____

• როგორ ფიქრობთ, რომელ ფრაგმენტში ჟღერს ორკესტრში ჟანას გმირული თემა?

_____

• რომელ ფრაგმენტებში ისმის წმინდანების – კატარინასა და მარგარიტას – გამხნევება?

_____

• თქვენი აზრით, რომელ ფრაგმენტშია ჟანას პარტია ინტონაციური დეკლამაციით წარმოდგენილი?

_____

_____

გაეცანით ტექსტებს და მიუსადაგეთ მათ მუსიკალური ფრაგმენტები. ჩაწერეთ ნომერი კვადრატში:

ა) თითქოს ყველაფერს ბოლო მოელო, მაგრამ აი, გულწითელა აჭიკჭიკდა. თითქოს არსაიდან მოფრინავს მსუბუქი ნიავი, შემდეგ წვიმა წამოჟინჟლავს. ისღა დაგვრჩენია, თვალები დავხუჭოთ, სამამდე დავითვალოთ და ყველაფერი შეიცვლება! დათვლი ოთხამდე – ყველაფერი სხვაგვარადაა! ირგვლივ სითეთრე, სივარდისფრე, სიმწვანე! დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმას, ვინც ხეებს აყვავებას აუკრძალავს, ვინც ალუბალს ნაყოფის გამოღებას დაუშლის, მაშინ, როდესაც ყველაფერი ამ სამყაროში ნაყოფს გამოიღებს. მამამ თქვა, ამისთვის გარიჟრაჟზე უნდა ადგეო. ეს კატარინასა და მარგარიტას დროა!

ბ) მე ღმერთი მყავს! არის ღმერთი და ის ყველაფერზე ძლიერია!

გ) ზამთარში, როდესაც ყინვები დგება, ყველაფერი კვდება თოვლისა და ყინულის საფარქვეშ. თითქოს ბუნებაც და ადამიანიც კვდება, როდესაც თოვლი სუდარასავით მოეფინება სამყაროს, გეჩვენება, რომ ყველაფერი დაიღუპა, ყველაფერს ბოლო მოეღო.

დ) რუან რუან! შენ ჟანა დ'არკს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანე, მაგრამ მე შენზე ძლიერი ვარ, დიდხანს არ მომიწევს შენს ტყვეობაში ყოფნა!

ე) და როდესაც ჟანა ვარდობის თვეს – მაისში ცხენზე შემოჯდა, რა ძალა შეუშლიდა საფრანგეთს, მას რომ გაჰყოლოდა? გესმის ყველა მხრიდან ნამსხვრევებად ქცეული ჯაჭვების ჟღრიალი? ეს ჯაჭვი, ხელებს რომ მიბორკავს, მხოლოდ ღიმილს მგვრის, დიდხანს ვერ შესძლებს ჩემს შეკავებას. ყველას ნანახი აქვს, რა სასწაულები ჩაუდენია ჟანას თავისი მახვილით. ახლა თუ გესმის, რა სასწაულებრივი ძალაა ამ მახვილში, რომელიც მთავარანგელოზმა მიქაელმა მიბოძა?.. ამ მახვილში, ამ გაბრწყინებულ მახვილში, რომელშიც სიძულვილის ნატამალიც კი არ არის? მას სახელად სიყვარული ჰქვია!

მიუწერეთ ცხრილის აღწერილობის მარჯვენა უჯრაში სათანადო ტექსტის ლიტერი.

გამოიყენეთ წინა აქტივობები და შეავსეთ სქემა. თავისუფალ უჯრებში ჩაწერეთ მუსიკალური ფრაგმენტის სათანადო ნომერი:



დაალაგეთ მუსიკალური ფრაგმენტები თქვენ მიერ შევსებული სქემის მიხედვით და გააკეთეთ პრეზენტაცია.
პრეზენტაციის დროს გამოიყენეთ გეგმა და თქვენი პასუხები შეკითხვებზე.

შეფასების რუბრიკა – (განმსაზღვრელი შეფასება)

თემატური ბლოკი – „ხილული და უხილავი მუსიკაში“ (I ნაწილი)		ქულა
• მუსიკალური ნაწარმოების მელოდიაზე, ჰარმონიაზე, რიტმსა და ფორმაზე დაკვირვებით მსჯელობა; ჟანრის განსაზღვრა; მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტში ხილულისა და უხილავის ამოცნობა, ერთმანეთთან შედარება; დეკლამაციისა და სხვა გამომსახველობითი ხერხების განმარტება და მათი როლის განსაზღვრა; • ისტ-ის გამოყენებით მუსიკალური კოლაჟის შექმნა.	ამოიცნობს მუსიკის მახასიათებლებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.	0-3
	ამოიცნობს ხილულისა და უხილავის მახასიათებლებს დეკლამაციის სხვადასხვა სახეობაში.	0-3
	განსაზღვრავს მუსიკისა და სიტყვის ურთიერთკავშირს ფრაგმენტის შინაარსობრივი და ემოციური დატვირთვის ინტერპრეტირებაში.	0-4

21-23 დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში სხვა ვოკალურ ჟანრებში

ვოკალური ციკლი „მთვარის პიერრო“

მიზანი: ჟანრის განსაზღვრა; დეკლამაციის ნაირსახეობის გაცნობა; საუბარი, დიალოგი, მსჯელობა მოსმენილი ფრაგმენტების მუსიკალურ გამომსახველობით ხერხებზე.

საკვანძო სიტყვები:

ვოკალური ციკლი; ექსპრესიონიზმი; ნახევრადმღერა, მეტყველება მღერით – შპრეგეზანგი.

ცნებები:

რიტმი – რიტმული ფიგურაციები დეკლამაციაში;

მელოდია – დეკლამაცია ნახევრადმღერით;

ჰარმონია – ურთიერთკავშირი დეკლამაციაში სიტყვასა და ნახევრად სიმღერას, მელოდიასა და სხვა მუსიკალურ ხერხებს შორის;

ფორმა – დეკლამაციისა და მუსიკალური თანხლების ურთიერთკავშირით შექმნილი სტრუქტურა;

ჟანრი – ვოკალური ციკლი.

საკვანძო შეკითხვები:

1. რა როლს თამაშობს მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ოპერასა და ვოკალურ ციკლებში ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?
2. როგორ გამოვიყენო ნახევრადმღერა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში?

ელ. რესურსები: **ვიდეო:** – №№9, 9-1-2-3-4-5-6-7-8.

აუდიოფაილების მოსმენა აქტივობების მიხედვით:

მეორე აქტივობა 3 – №№36-1,2,3,4,5;

ვიდეოფაილი №9-8 (კითხვაზე პასუხი: ფრაგმენტი ეკუთვნის ლექსს №8 – „ღამე“);

მესამე აქტივობა – №№36-2-13-14-15; მეორე მოსმენა – №№36-6-7-8-9;

მეხუთე აქტივობა – №№36-10-11-12; მეორე მოსმენა – №36-6;

მეექვსე აქტივობა – №36-8. 36-0 – მთლიანი ნაწარმოები.

ვიდეოფაილებში მოწოდებული გვაქვს სხვადასხვა ნომერი ამ ცილიდან. მათი ცალკეული ან ყველას გამოყენება მასწავლებლის სურვილის მიხედვით მოხდება.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

გამის გამღერება; მთავარი საფეხურები, მყარი და მერყევი ბგერები.

რიტმული სავარჯიშო:

აქტივობა 2

ინფორმაცია მასწავლებელს:

ციკლები ძირითადად იქმნება მომღერლისა და ფორტეპიანოსათვის (ბეთჰოვენის „შორეულ შეყვარებულს“, შუბერტის „მეწისქვილის მშვენიერი ასული“, „ზამთრის გზა“, შუმანის „ქალის სიყვარული და ცხოვრება“, „პოეტის სიყვარული“). ვოკალური ციკლები ორკესტრის თანხლებითაც იქმნება: რ. ვაგნერის „5 სიმღერა ვეზენდონკის ლექსებზე“, გ. მალერის „სიმღერები რიუკერტის ლექსებზე“, რ. შტრაუსის „ოთხი უკანასკნელი სიმღერა” და მრავალი სხვა.

არნოლდ შონბერგი მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში შევიდა, როგორც კომპოზიტორი-რეფორმატორი.1920-იანი წლების დასაწყისში შონბერგი უარს ამბობს ტრადიციულ კილო-ჰარმონიულ სისტემაზე, ტონალურ მუსიკაზე და აყალიბებს „12 ერთმანეთთან შესაბამისი

ტონების კომპოზიციის მეთოდს“, რომელიც დოდეკაფონიის სახელითაა ცნობილი. დოდეკაფონიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის კლასიკურ მუსიკაზე. ამ მეთოდით დაწერილი პირველი ნაწარმოებია „სერენადა“ თხზ. 24 (1920-1923). მან, ასევე, შემოიღო ტერმინი – „განვითარებადი ვარიაცია“ და იყო პირველი კომპოზიტორი, რომელმაც დაიწყო მოტივების განვითარების ისეთი გზების გამოყენება, რომლებიც არ იყო დამოკიდებული ცენტრალურ, დომინანტურ მელოდიურ იდეაზე (ტონალობაზე), რომელიც ასე დიდხანს მიიჩნეოდა მაორგანიზებელ საწყისად მუსიკაში.

შონბერგის შემოქმედებაში ატონალური პერიოდის სტილი მეტ-ნაკლებად სრულყოფილად აისახა მის ვოკალურ ციკლში – „მთვარის პიერო“, რომელიც მუსიკის ისტორიაში შევიდა, როგორც „ექსპრესიონიზმის ბიბლია“.

ახალი სისტემის ორგანიზებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. საწყისი ფუნქცია აიღო ლიტერატურულმა ტექსტმა, ამიტომაც ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს შონბერგის პირველ ატონალურ თხზულებებში.

„მთვარის პიეროს“ ლიტერატურულ საწყისად კომპოზიტორმა აარჩია ბელგიელი პოეტ-სიმბოლისტის, ალბერ ჟიროს სადებიუტო კრებული. ნაშრომის სათაური – „მთვარის პიერო“ ზუსტად ასახავს ჟიროს ლექსებისა და შონბერგის მუსიკის არსს: მთვარე – რომანტიზმის ჟანრის ერთ-ერთი წარმტაცი სახეა, პიერო – იტალიური ნიღბების კომედიის ერთ-ერთი პერსონაჟი, მუდამ მტირალი, თუმცა მაყურებელში ის უფრო ღიმილს იწვევს, ვიდრე თანაგრძნობას. ამგვარად, საქმე გვაქვს რომანტიკული ლირიკის პაროდიასთან, მაგრამ ეს ლირიკა და პაროდია ისე მჭიდრო კავშირში არიან, რომ ადვილი არაა გაარკვიო, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. ასეთი ნაწარმოები იდეალურად ასახავდა იმ ეპოქის სულს, როდესაც ის შეიქმნა: ადრეული იდეალების მსხვრევა, გონების დუღილი. პიერო, ამ შემთხვევაში, სწორედ ნიღაბია, რომლის უკან იმალება ღრმა იმედგაცრუება (რომელიც რომანტიკულ მსოფლმხედველობას ჩაენაცვლა).

„მთვარის პიეროს“ შესახებ კომპოზიტორი განმარტავს, რომ ეს არის „სამჯერ შვიდი ლექსი“, რადგანაც ჟიროს კრებული შედგება სამი ნაწილისგან შვიდი ნომრით.

გაეცანით ლექსების დასახელებებს ჟიროს კრებულიდან:

1. მთვარით დამთვრალი;
2. კოლომბინა;
3. დენდი;
4. ფერმკრთალი მრეცხავი;
5. შოპენის ვალსი;
6. ღვთისმშობელი;
7. სნეული მთვარე;
8. ღამე;
9. ლოცვა პიეროსადმი;
10. ძარცვა;
11. სისხლისფერი მესა;
12. სიმღერა სახრჩობელაზე;
13. თავის მოკვეთა;
14. ჯვრები;
15. ნოსტალგია;
16. ვერაგობა;
17. პაროდია;
18. მთვარე;
19. სერენადა;
20. შინ დაბრუნება;
21. გარდასულ დღეთა სურნელი.

ნაწარმოები განკუთვნილია ქალის ხმისა (სოპრანო) და კამერული ინსტრუმენტული ანსამბლისთვის, რომლის შემადგენლობაში შედის: ფლეიტა (პიკოლო), კლარნეტი (ბას-კლარნეტი), ვიოლინო, ალტი, ვიოლონჩელი და ფორტეპიანო, მაგრამ ანსამბლის შემადგენლობა ნომრიდან ნომრამდე ცვლილებას განიცდის.

განსაკუთრებით უჩვეულო ჩანს ვოკალური პარტია, რომელიც პარტიტურაში ნოტებითაა დაფიქსირებული, კომპოზიტორი ვოკალისტისგან ითხოვს, რომ მან... არ იმღეროს. თუმცა მელოდეკლამაციას ამას ვერ დავარქმევთ – კომპოზიტორი მაინც აძლევს ბგერას სიმაღლეს, მაგრამ მიუთითებს მიახლოებით. თავდაპირველად კომპოზიტორმა ვოკალური პარტია დაწერა არა ხუთხაზიან, არამედ სამხაზიან სისტემაზე (თუმცა, მოგვიანებით, 1950 წელს შონბერგმა „მთვარის პიეროს“ ვოკალური პარტია ე. წ. „ძაფზე“ – ერთ ხაზზე დაწერა). ეს სპეციალურად

---

* **ექსპრესიონიზმი** – (ლათ. Expressio-დან, „გამოხატვა“) ევროპული ხელოვნების მიმართულება, რომელიც განვითარდა XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, ძირითადად, გერმანიისა და ავსტრიის კულტურაში.

ექსპრესიონიზმში წინა პლანზეა არა იმდენად რეალობის ასახვა, რამდენადაც ემოციური მდგომარეობის, ადამიანის შინაგანი სამყაროს მძაფრად გადმოცემა. იგი წარმოდგენილია ხელოვნების მრავალ ფორმაში, მათ შორის, ფერწერაში, ლიტერატურაში, თეატრში, არქიტექტურაში, მუსიკასა და ცეკვაში.

გააკეთა იმის ხაზგასასმელად, რომ ის არ იმღერება. წინასიტყვაობაში შონბერგი წერდა:

„ნოტებით ხმისთვის ჩაწერილი მელოდია, უმრავლეს შემთხვევაში, არ არის გათვალისწინებული მღერისთვის. შემსრულებლის ამოცანაა, ამ მელოდიისგან მიიღოს ლაპარაკი-სიმღერა, ამასთანავე, აუცილებელია გაითვალისწინოს ბგერების მითითებული სიმაღლეც...“

ასე დაიბადა მღერადი დეკლამაციის ნაირსახეობა – Sprechgesang (შპრეხგეზანგ) მეტყველება მღერით, ნახევრადმღერა). მიუხედავად იმისა, რომ ეს სტილი არ მოითხოვს ბგერების მკაცრად განსაზღვრულ სიმაღლეს, რიტმის დაცვა აუცილებელი პირობაა. ლაპარაკით სიმღერა წარმოადგენს რაღაც შუალედს ლიტერატურულ ტექსტსა და მის თანხლებ მუსიკას შორის ანუ ესაა ლიტერატურული ტექსტის მუსიკალურად გადმოცემა, სადაც არც ერთი მათგანი არაა მოცემული „სუფთა სახით“.

მოსწავლის წიგნის აქტივობები:

1 **მიზანი:** ერთგვარი მოთელვა და პერსონაჟის გაცნობა. თითოეულ კითხვას ამ სავარჯიშოში აქვს კონკრეტული ფუნქცია. ანუ, ამ კითხვებით ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეს პიეროს შესახებ ცოდნის კონსტრუირებაში:

პირველი კითხვა – ზოგადად პერსონაჟის ამოცნობა

მეორე კითხვა – რისი გამომხატველია პერსონაჟი;

შემდეგი კითხვები უკვე ემსახურება პერსონაჟის კონკრეტულ ინტერპრეტაციას. ეს ინტერპრეტაცია ყველაზე ახლოს დგას ამ პერსონაჟის იმ ინტერპრეტაციასთან, რომელზეც შემდგომში გვექნება საუბარი.

2 **მიზანი:** ნაწარმოებზე ზოგადი წარმოდგენის კონსტრუირება; ნაწარმოების განხილვის მიზანია, შემოვიტანოთ გამღერებული დეკლამაციის ნაირსახეობა – Sprechgesang (შპრეხგეზანგ) – „მეტყველება მღერით“.

კითხვა: გაიხსენეთ, რა ეწოდება კილოს დიატონური საფეხურების შეცვლას ნახევარი ტონით. პასუხი იქნება – ქრომატიზმი (ნასწავლი აქვთ წინა წლებში).

3 **მიზანი:** ცნების უფრო დეტალური გარჩევა კვლავ კონკრეტული ნაწარმოების მაგალითზე. პროცედურული ცოდნის გააქტიურება, მოსწავლემ უნდა ამოიცნოს მღერადი დეკლამაცია სხვა სახეობის დეკლამაციათა შორის.

4 **მიზანი:** წინარე ცოდნაზე დამყარებით, ინტერაქტიული აქტივობის მეშვეობით დეკლარაციული ცოდნის შეძენა.

5 **მიზანი:** ახლად მიღებული ცოდნის კონტექსტში განხილვა; ამ ცნების, როგორც მხატვრული ხერხის, შინაარსობრივი დატვირთვის გაცნობიერება.

ამ აქტივობაში დასმული კითხვების ფუნქციაა მოსწავლის მომზადება დამოუკიდებელი ანალიზისთვის ახალი ცნებისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

პირველი სამი კითხვა ემსახურება ახალ ცოდნასა და ადრე მიღებულ ცოდნას შორის კავშირის დამყარებას;

შემდეგი ორი კითხვა ემსახურება მხატვრული ხერხის შინაარსობრივი დატვირთვაზე მსჯელობას;

მომდენო სამი კითხვა ცალკეული მხატვრული ხერხების უფრო დეტალურად გარჩევას ისახავს მიზნად, რაც წინა კითხვებში გარჩეული შინაარსის წარმოჩენას ემსახურება.

ბოლო კითხვა არის ერთგვარი შეჯამება იმისა, რაც წინა კითხვებში იყო გარჩეული.

6 **მიზანი:** ეს არის აქტივობა, რისთვისაც ვამზადებდით წინა აქტივობებით მოსწავლეს. აქტივობა წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა ააგოს პასუხი მოსწავლემ – რა აღნიშნოს, რა ტერმინოლოგია გამოიყენოს და რა დასკვნები გამოიტანოს.

აქტივობებში დასმულ კითხვებზე პასუხები ინდივიდუალურია. მთავარია, მოსწავლე ჩაერთოს განხილვაში, დიალოგში, დააფიქსიროს საკუთარი აზრი და განმარტოს, რატომ ფიქრობს ასე. არა აქვს მნიშვნელობა, მისი მოსაზრება სწორი იქნება თუ არა.

მასწავლებელი მხოლოდ აკვირდება მოსწავლეთა დიალოგში ჩართულობას და, საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე კითხვებით დაეხმარება მათ აზრის სწორად წარმართვაში, რათა მოზარდები ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანოს.

მაგალითად, მეორე აქტივობაში დასმულია კითხვა: რას დაარქმევდით ხერხს, როდესაც კომპოზიტორი ვოკალურ პარტიაში იძლევა ბგერის სიმაღლეს, მაგრამ არა კონკრეტულად, არამედ მიუთითებს ბგერების მხოლოდ მიახლოებით სიმაღლეს?

პასუხები განსხვავებული იქნება. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, როგორ წარმოუდგენიათ ამგვარი მღერა. კითხვის მიზანია, მოსწავლეები თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანოს დეკლამაციის სახეობის – Sprechgesang – გაცნობიერებამდე, რასაც შემდეგი აქტივობები ემსახურება. ამ ეტაპზე მოზარდების აზრი და ვარაუდებია ყურადსაღები. ისინი იმახსოვრებენ სიტყვას – **Sprechgesang (შპრეხგეზანგ) – „მღერადი დეკლამაციის ნაირსახეობა, ე. წ. მეტყველება მღერით; ვოკალური რეჩიტაცია, გარდამავალი სიმღერასა და ლაპარაკს შორის“.**

მოასმენინეთ ერთ-ერთი აუდიოფაილი, მაგალითად, 36-5 – „შინ დაბრუნება“ და სთხოვეთ, დააფიქსირონ თავიანთი აზრი, რას დაარქმევდნენ დეკლამირების ამ ხერხს; ახსნან, რის მიხედვით ივარაუდეს ასე.

მეექვსე აქტივობაში კითხვა: „ფერმკრთალი მრეცხავი“ – როგორ ფიქრობთ, ეს ნომერი, სახელწოდებიდან და განწყობიდან გამომდინარე, ვოკალური ნომრების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება?

პასუხი: (ა) „მთვარის ცივი სხივით გაბრუებული“.

მოასმენინეთ ჩვენ მიერ მოწოდებული აუდიორესურსებიდან ეს ფრაგმენტი (36-8). მოსწავლეები რვეულში ჩახაზავენ ცხრილს და შეავსებენ ცარიელ უჯრებს:

მუსიკალური ელემენტები	კომენტარი
რიტმი	
მელოდია	
ჰარმონია	
ფორმა	
ჟანრი	

24-25 სიტყვა ინსტრუმენტულ მუსიკაში, როგორც ხილულის გადმოცემის საშუალება

პროგრამული მუსიკა

აუდიოფაილები:
აქტივობა 1 – №№45, 46,47,48,49;
აქტივობა 2 – №№50, 51, 52, 53;
აქტივობა 4 –№№54, 55, 56;
აქტივობა 5 – № №40-1-2; 41, 41-1.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1
გამისა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო:



აქტივობა 2
მიზანი: საუბარი, დიალოგი, მსჯელობა მოსმენილი ფრაგმენტების გამომსახველობით ხერხებზე.

მასწავლებელი: მუსიკალურ ნაწარმოებს, რომლის სათაურში ავტორს დაკონკრეტებული აქვს მისი შინაარსი, **პროგრამულს** უწოდებენ.

პროგრამულად არ ითვლება ის ნაწარმოები, რომლის სათაურში გამოტანილია რაიმე განწყობა, მაგალითად, „მელანქოლია“, „იუმორესკა“ და ა. შ.

პროგრამული მუსიკის თემატიკა ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია:

ა) ბუნების სურათების აღწერა (მაგ., უვერტიურა მოდესტ მუსორგსკის ოპერიდან „ხოვანშჩინა“, კლოდ დებიუსის „ზღვა“, „მთვარის შუქი“...);

ბ) პროგრამული მუსიკის ბევრი ნიმუში დაკავშირებულია მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოებების თემატიკასთან. კომპოზიტორები მიისწრაფვიან, მუსიკის საშუალებით გახსნან და განავრცონ ის პრობლემები და ემოციები, რაც ჩადებულია ლიტერატურულ ნაშრომებში და რასაც სიტყვით ვერ გადმოსცემ. მაგალითისთვის მოვიყვანთ თქვენთვის კარგად ნაცნობ ნაწარმოებებს: დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით მუსიკა დაწერეს პიოტრ ჩაიკოვსკიმ (ფანტაზია „ფრანჩესკა და რიმინი“), ფერენც ლისტმა – სიმფონია „ღვთაებრივი კომედია“; უილიამ შექპირის ნაწარმოებების – „რომეო და ჯულიეტა“ და „ჰამლეტის“ შთაგონებით შეიქმნა მუსიკალური შედევრები (ბერლიოზის, ჩაიკოვსკის, პროკოფიევისა და სხვ.); ჯორჯ ბაირონის დრამატული პოემის „მანფრედის“ მიხედვით ერთ-ერთი საუკეთესო უვერტიურა დაწერა რობერტ შუმანმა; ბრძოლისა და გამარჯვების პათოსი, სამშობლოს თავისუფლებისათვის გმირის თავდადება აღწერა ლ. ვან ბეთჰოვენმა უვერტიურაში გოეთეს დრამის, „ეგმონტის“, მიხედვით...;

გ) პროგრამულ ნაწარმოებებს მიეკუთვნება ნაშრომები, რომლებსაც უწოდებენ მუსიკალურ პორტრეტებს. მათ განეკუთვნება: კლოდ დებიუსის საფორტეპიანო პრელუდია „სელისფერთმიანი გოგონა“, რობერტ შუმანის საფორტეპიანო მინიატურები „პაგანინი“ და „შოპენი“ და სხვ.

დ) ხანდახან მუსიკალური ნაწარმოების შთაგონების წყარო გამომსახველობითი ხელოვნებაც ხდება. ამის მაგალითია მუსორგსკის საფორტეპიანო სიუიტა „სურათები გამოფენიდან“, რომელშიც კომპოზიტორს ასახული აქვს მხატვარ გარტმანის სურათების გამოფენის დროს მიღებული შთაბეჭდილებები;

ე) პროგრამული მუსიკის მასშტაბური, მონუმენტური ნაწარმოებები დაკავშირებულია მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან. მაგალითად, დიმიტრი შოსტაკოვიჩის „1905 წელი“, „1917 წელი“, რომლებიც მიეძღვნა რუსეთში 1905-1907 წლებისა და ოქტომბრის რევოლუციებს... ასეთი მაგალითები უამრავია.

1 **მოსმენა:**

ნ. რიმსკი-კორსაკოვი – სიმფონიური სიუიტა „შეჰერეზადა“;
ს. პროკოფიევი – „რომეო და ჯულიეტა“;
კ. დებიუსი – „მთვარის შუქზე“;
პ. ჩაიკოვსკი - „ფრანჩესკა და რიმინი“;
მ. მუსორგსკი – „სურათები გამოფენიდან“ – „გნომი“.

2 **მოსმენა:**

ფერდ გროფე – სიუიტა „დიდი კანიონი“; „ბილიკის კვალდაკვალ“ („ჯორზე ამხედრებული“);
ოტოინო რესპიგი/ფილიპ რამო – „ქათამი“;
კლოდ დებიუსი – „სირინოზები“;
ფრანსის პულენკი – „ნოქტიურნი“;

ამათგან ფრანსის პულენკის ნაწარმოები არ ითვლება პროგრამულ მუსიკად.

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტებს სახელმძღვანელოში, ისმენენ მუსიკალურ ფრაგმენტებს, პასუხობენ დასმულ კითხვებს, აკავშირებენ მოსმენილ მუსიკას კომპოზიტორების ფოტოებთან, საუბრობენ თავიანთ შეგრძნებებზე, ემოციებზე, დაემთხვა თუ არა მათი წარმოდგენები კომპოზიტორისეულს; სათაური დაეხმარათ თუ არა მუსიკის აღქმაში; მოზარდები ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს; დიალოგის, მსჯელობის შედეგად გამოაქვთ დასკვნები.

მორის რაველის საფორტეპიანო ციკლი

მორის რაველი თავის შემოქმედებაში ავითარებდა იმპრესიონიზმის პრინციპებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი საფორტეპიანო ნაწარმოებები: „წყლის თამაში“ (1901), „ანარეკლები“ (1905), „ღამის გასპარი“ (1908). ამ უკანასკნელს ქვესათაურად მითითებული აქვს – „სამი პოემა ფორტეპიანოსთვის ა. ბერტრანის ტექსტის მიხედვით“, რომელიც შეიქმნა როგორც მუსიკალური ილუსტრაცია ალოიზ ბერტრანის ამავე სახელწოდების ლექსების კრებულისთვის (ბერტრანი სიმბოლისტური მიმდინარეობის წარმომადგენელია. ცნობილია იმით, რომ ფრანგულ ლიტერატურაში შემოიღო „პროზა პოეზიაში“).

სიუიტიდან „ღამის გასპარი“ „უნდინა“ (ფრანგ. Ondine) პირველი პიესაა, რომელიც სრულიად განსხვავდება დანარჩენებისგან. ის ინარჩუნებს იმპრესიონიზმისთვის დამახასიათებელ ინტონაციას, მაშინ, როდესაც დანარჩენი ორი პიესა წარმოადგენს რომანტიკული ფანტასტიკის, კოშმარული ხილვების სფეროებს.

ბერტრანის ლექსების ტექსტებში დახატულია ღამის ხილვების ირეალური სამყარო, რომელიც უცნაური არსებებითაა დასახლებული. მათ გრძნობის უნარი აქვთ, თუმცა არა ისეთი ღრმა, როგორიც ადამიანებს. თავად უნდინა არარეალური არსება, მდინარეებისა და ტბების ქალღმერთია. თუ მუსიკალურ ფაქტურას დავაკვირდებით, „უნდინაში“ წყლის სტიქია მხოლოდ ფონის როლს ასრულებს, ამით კომპოზიტორი წარმოსახვითი სამყაროს მითოლოგიურ სურათს მუსიკით გვიხატავს და ამას ეფუძნება მუსიკის ფსიქოლოგიური წყობაც. პიესაში წყლის ჩუხჩუხის, ლივლივის ამსახველ ინტონაციებს შორის გაიჟღერებს ლირიკული მელოდია, რომელიც დასაწყისში ნაზი ინტონაციებით ვითარდება, წყლის სტიქიის სურათს სითბოსა და ჰუმანურობას სძენს, შემდეგ კი თანდათან გადადის დაძაბულ კულმინაციაში.

კითხვა: რომელ ფრაგმენტში ჟღერს წყლის ხმა ფონად?
პასუხი: „უნდინაში“.
კითხვა: რომელ სანოტო მაგალითშია წარმოჩენილი „უნდინაში“ გაჟღერებული წყლის ხმის ეფექტი? რომელ პარტიაში ჟღერს მელოდია?
პასუხი: (ბ)

4 სანოტო ჩანაწერებით წარმოდგენილია მუსიკალური ფრაგმენტები პიესებიდან:
ა) „წყლის თამაში“; (№39-1);
ბ) „ნავი ზღვაში“; (№39-2);
გ) „უნდინა“ (№39-3).

- რომელ ფრაგმენტში ჟღერს წყლის ხმა ფონად? აღწერეთ; (აუდიო №39-1);
- დააკვირდით სანოტო მაგალითებს. როგორ ფიქრობთ, რომელ სანოტო მაგალითშია წარმოჩენილი „უნდინაში“ გაჟღერებული წყლის ხმის ეფექტი? (სანოტო მაგალითი – ა); რომელ პარტიაში ჟღერს მელოდია? მიუთითეთ და ახსენით, რის მიხედვით დაასკვენით ასე. (პასუხი: ბ, მელოდია მარცხენა ხელის პარტიაშია. აუდიოფაილი 39-3).

5 კითხვა სანოტო მაგალითის ლექსის ფრაგმენტთან დაკავშირების თაობაზე, პასუხი ინდივიდუალური იქნება, თავიანთი შეგრძნებებიდან გამომდინარე. მელოდია სანოტო ნიმუშზე მიესადაგება აუდიოფაილს №41.

ბოლო აქტივობა – მოსწავლეებმა თანმიმდევრობით უნდა დაალაგონ ლექსის ფრაგმენტები და უჯრებში ჩაწერონ შესაბამისი ლიტერი (ისმენენ აუდიო №41-1). შევსებულ სქემას სავარაუდოდ ასეთი სახე ექნება:



გაკვეთილი ფასდება:

შედეგები	ქულა				
	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
ჩართულობა	არ ერთვება	ეპიზოდურად	პერიოდულად	სისტემატურად	აქტიურია
აზრის დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და დასაბუთება	ვერ გამოთქვამს	იშვიათად	ვერ ასაბუთებს	დამოუკიდებლად გამოთქვამს აზრს	აქვს საკუთარი აზრი და ასაბუთებს
დისკუსია, მსჯელობა	არ მონაწილეობს	ეპიზოდურად ერთვება	უსმენს სხვის აზრს	სისტემატურად ერთვება დისკუსიაში	აქტიურად მონაწილეობს, უსმენს სხვას, გამოთქვამს საკუთარ აზრს.

26-27 შემაჯამებელი გაკვეთილი

I თავის შემაჯამებელი გაკვეთილებისთვის გთავაზობთ აქტივობების ნიმუშებს. თითოეული მათგანის შესრულებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ მასწავლებელს ვუტოვებთ არჩევანის უფლებას, აუცილებლობის შემთხვევაში ამოარჩიოს ის აქტივობები, რომელთაც მიზანშეწონილად მიიჩნევს საგაკვეთილო დროის გათვალისწინებით.

I აქტივობა – მოსწავლეები წარმოადგენენ LMMS პროგრამაში შესრულებულ ნაშრომებს.

II აქტივობა – მოსწავლეები ავსებენ ცხრილს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების ფრაგმენტებიდან და ✓ ნიშნით აღნიშნავენ, რომელში რა სახის დეკლამაციებია გამოყენებული (აუდიოფაილები №№ 23, 35-12, 36-7, 44, 44-1). აქტივობა შესაძლებელია ზეპირადაც გაკეთდეს.

ფრაგმენტი	გამოყენებული დეკლამაციის სახეობები				
	მხატ-ვრული	ინ-ტონირე-ბული	რიტმული	მე-ლოდეკლა-მაცია	ნახევრად-მღერა
მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“	✓		✓	✓	
ორატორია „ჟანა დ’არკი				✓	
ოპერა „ქეთო და კოტე“			✓	✓	
ვოკალური ციკლი „მთვარის პიერო“					✓
როკოპერა „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“			✓	✓	

IIII აქტივობა – ზეპირი ტესტირება:

1. შესაძლებელია თუ არა მუსიკის საშუალებით ხილულისა და უხილავის გადმოცემა? (პასუხი: შესაძლებელია);
2. რა ხერხებით შეიძლება ხილულისა და უხილავის ამოცნობა მუსიკაში? (პასუხი: გამოყენებული სიტყვისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირის მიხედვით);
3. სიტყვისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირი ყველაზე ნათლად რისი მეშვეობით წარმოჩნდება? (პასუხი: დეკლამაციის ნაირსახეობების);
4. რომელი გამომსახველობითი ხერხები მეტად წარმოაჩენს შინაგან, უხილავ არსს მუსიკაში? (პასუხი: მუსიკის გამომსახველობითი ხერხები);
5. რომელ ჟანრებში გადმოიცემა ყველაზე მკაფიოდ ხილული და უხილავი? (პასუხი: ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში – სიმღერა, კანტატა, ორატორია, ოპერა, მიუზიკლი, ვოკალურ ციკლები და სხვ.);
6. თქვენი აზრით, მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, როგორი ურთიერთკავშირია ხილულსა და უხილავს შორის – იგრძნობა მწვავე კონფლიქტი თუ, პირიქით – სრული ჰარმონიაა? (პასუხი: ზოგიერთ შემთხვევაში მუსიკალურ ნაწარმოებებში შეიძლება იგრძნობოდეს მწვავე კონფლიქტიც, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში ხილულსა და უხილავს შორის სრული ჰარმონიაა).

ყოველ პასუხში მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ მაგალითები I თავის ფარგლებში განხილული მუსიკალური ნაწარმოებებიდან.

IV აქტივობა – მოსწავლეები ავსებენ ცხრილს:

რა ვიცოდი	რა ვისწავლე	რაში დამეხმარება შეძენილი ცოდნა	როგორ გამოვიყენებ შეძენილ ცოდნას

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

შემაჯამებელ გაკვეთილზე განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენეთ ამ თავში განხილული თემების მიხედვით შესრულებული კომპლექსური დავალებები.

გთავაზობთ ორი აქტივობის ნიმუშს, რომლების მიხედვითაც შეგიძლიათ დაგეგმოთ აქტივობა ნებისმიერი თემის განხილვის დასრულებისას:

1. ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება – მოსწავლეებს ვთხოვოთ ფურცლებზე დაწერონ ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება რომელიმე განხილული ნაწარმოების მაგალითზე; შემდეგ საკუთარი ნაწერი წაიკითონ ხმამაღლა კლასის წინაშე; თანაკლასელებმა უნდა ამოიცნონ მცდარი დებულება. ბოლოს პრეზენტატორი დაასახელებს სწორ პასუხს და მოსწავლეები შეამოწმებენ თავიანთ ვარაუდებს.

2. კომპოზიციის შექმნა – მივცეთ მოსწავლეებს დავალება პროგრამული მუსიკიდან, მაგალითად, რაველის პიესიდან „უნდინა“. გაკვეთილის ბოლო აქტივობაში მოცემულია ოთხი ტექსტი, რომლებიც მოსწავლეებმა თავიანთი შეხედულებისამებრ სწორი თანმიმდევრობით უნდა დააწყონ და დანომრონ. რამდენჯერმე მოვასმენინოთ მოსწავლეებს ფრაგმენტები ამ ნაწარმოებიდან და ვთხოვოთ, მოსმენილი ფრაგმენტების მიხედვით ლოგიკური თანმიმდევრობით შექმნან ტექსტთან შეფარდებული მუსიკალური კომპოზიცია. ნაშრომის პრეზენტაციისას ახსნიან, რა პრინციპით დაალაგეს ასე, რის მიხედვით მიუსადაგეს ტექსტის თითოეულ ფრაგმენტს მუსიკა.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ შეიძლება სხვადასხვა მოსწავლემ ფრაგმენტები განსხვავებულად დაალაგოს. მთავარია, პრეზენტატორმა მსჯელობით „დაიცვას“ თავისი პოზიცია, ახსნას, რამ განაპირობა მისი მოსაზრება, რის მიხედვით მიუსადაგა ტექსტს ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი.

ისიც შესაძლებელია, ყველა მოსწავლემ ერთნაირად ვერ გაართვას თავი დასახულ ამოცანას. ამ შემთხვევაში ასეთ მოსწავლეებს მივცეთ შედარებით იოლად შესასრულებელი დავალება (სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად). მოგეხსენებათ, მოზარდთა ინტერესები და გონებრივი შესაძლებლობები განსხვავებულია. კორექტულობის დასაცავად (კლასში ჯანსაღი ატმოსფეროს უზრუნველსაყოფად), მოსწავლე შევაფასოთ იმ კრიტერიუმით, რამდენად მაქსიმალურად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები დავალების შესრულებისას, შეძლო თუ არა თავისი ნაშრომის წარდგენისას საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება, არგუმენტების მოყვანა. ამით გაირკვევა, რამდენად ჩართულია ის საგაკვეთილო პროცესში, აღიქვა თუ არა გაკვეთილებზე მიღებული ინფორმაცია, ჩასწვდა თუ არა მუსიკის სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხებით გადმოცემულ ნაწარმოების არსს.

შეფასების რუბრიკა

რას ვაფასებთ	ქულა
განმარტავს, რა როლს თამაშობს დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში; მსჯელობს იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს რეჩიტატივი მოცემული ფრაგმენტის სტრუქტურაზე	3
რიტმის, ჰარმონიის, მელოდიის მიხედვით განსაზღვრავს, რა როლს ასრულებს საორკესტრო პარტია ოპერაში ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად.	2
წერილობით ჩამოაყალიბებს, რა როლი აქვს პერსონაჟების დახასიათებისას ნაწარმოებში გამოყენებულ დეკლამაციის ნაირსახეობებსა და მუსიკის სხვა გამომსახველობითი ხერხებს ხილულისა და უხილავის გადმოსაცემად.	4

რუბრიკა	განმავითარებელი შეფასება	განმსაზღვრელი შეფასება	ქულა
ამოიცნობს ცალკეულ რიტმულ ფიგურაციას, მელოდიურ სვლას, ამოიცნობს ცალკეულ ინტერვალს, მაგრამ ვერ აკავშირებს რაიმე კონკრეტულ მხატვრულ სახესთან, არ შეუძლია იმ ემოციური ეფექტის აღწერა, რომელიც ამ მუსიკალური ელემენტებით იქნა მიღწეული.	ამოიცნობს ცალკეულ რიტმულ ფიგურაციას, მელოდიურ სვლას, ამოიცნობს ცალკეულ ინტერვალს, მაგრამ ვერ აკავშირებს რაიმე კონკრეტულ მხატვრულ სახესთან, არ შეუძლია იმ ემოციური ეფექტის აღწერა, რომელიც ამ მუსიკალური ელემენტებით იქნა მიღწეული.	ამოიცნობს მუსიკალური ენის ცალკეულ ელემენტებს, მაგრამ ვერ ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებში ამ ელემენტებით მიღწეულ ემოციურ მუხტს და ვერ უკავშირებს ვერც ერთ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	1
ამოიცნობს მუსიკის ფუნქციას სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში.	შეუძლია მუსიკალური ენის სხვადასხვა ელემენტი დაახარისხოს შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიხედვით. წარმოადგენს LMMS პროგრამაში შესრულებული ნაშრომებს.	მუსიკალური ენის რამდენიმე ელემენტით ამოიცნობს მუსიკალური ნაწარმოების ემოციურ მუხტს. ამყარებს კონკრეტულ ასოციაციურ კავშირს (უკავშირებს კონკრეტულ ინტერპრეტაციას).	2
ამოიცნობს მუსიკის მახასიათებლებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.	ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, წერილობით განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში; სთავაზობს განსხვავებულ კონტექსტს და ასაბუთებს.	მუსიკალური ენის მრავალი ელემენტით ამოიცნობს მუსიკის შინაარსს (ემოციური მუხტი, მხატვრული სახე), განსაზღვრავს თითოეული მახასიათებლის როლს მხატვრული სახის შექმნაში.	3
ამოიცნობს და ახარისხებს მუსიკალური ფრაგმენტებს იმის მიხედვით, რომლებიც პერსონაჟის განწყობას უკავშირდება.	ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, წერილობით განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში; სთავაზობს განსხვავებულ კონტექსტს და ასაბუთებს.	სთავაზობს მუსიკალური ნაწარმოების საკუთარ ინტერპრეტაციას და მუსიკალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ.	4

ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოს შეფასება

შეფასების კრიტერიუმები				მაქსიმალური ქულა
დროის ლიმიტის დაცვა, ორგანიზებულობა	საჭირო აღჭურვილობის (ელ. რესურსების, ინტერნეტპროგრამების) ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება	შემოქმედებითობა და პრაქტიკა (რამდენად კარგად შეძლებს მუსიკის საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას).	შესრულებული ნამუშევრის პრეზენტაცია	10
2	1	4	3	

მეორე თავი – მატრიცა

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში
თემა: თაობები და მუსიკა
საათების რაოდენობა – 17

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

• მუსიკის საშუალებით შეიძლება თაობებში არსებული განწყობების გადმოცემა;
• სხვადასხვა თაობაში არსებული ინტერესთა სფეროები მუსიკის გამომსახველობით ხერხებში აისახება;
• XX-XXI საუკუნეების თაობებში არსებული ინტერესთა სფეროები ყველაზე მკაფიოდ პოპულარულ მუსიკაში იჩენს თავს;
• პოპულარულ მუსიკას გამომსახველობითი ხერხები აკადემიური მუსიკიდან აქვს გადმოღებული;
• პოპულარულ მუსიკაში აისახება აკადემიური მუსიკის მრავალი მიმართულება და სტილი;
• აკადემიურ მუსიკაში მოღვაწე ბევრმა კომპოზიტორმაც გამოიყენა თავის ნაწარმოებებში პოპულარული მუსიკის პრინციპები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები

1. თაობებს შორის არსებული განსხვავების გადმოცემა ძველ და ახალ აკადემიურ მუსიკაში;
2. პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი დარგი;
3. პოპმუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობის მახასიათებლისა და სხვადასხვა თაობის განმასხვავებელი თვისებები;
4. პოპმუსიკის ზეგავლენა თანამედროვე აკადემიურ მუსიკაზე.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

რიტმი – რიტმული ფიგურაციები, ეთნიკური რიტმი, სინკოპა;
მელოდია – მელოდიური ხაზი, მოტივი, ინტონაციური ფორმულა;
ჰარმონია – ინტერვალი, აკორდი, ტონალობა, ტონალური ცვლები;
ფორმა – კუპლეტური ფორმა, სამნაწილიანი ფორმა;
ჟანრი – ინსტრუმენტული და ვოკალური ჟანრები; როკოპერა, სინგლი, გოსპელი, ქანთრი, სოული, ბოსა-ნოვა, რეგი, ჰიპ-ჰოპი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
რიტმი • რიტმი ხმებს, ბგერებს გრძლიობის მიხედვით გარკვეული თანმიმდევრობით ალაგებს და მუსიკაში ერთგვარ წესრიგს ამყარებს; • ხმები და ბგერები ლაგდება უსაზღვრო რაოდენობის რიტმულ ფიგურაციებში; • მუსიკაში მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე, თუმცა რიტმს მუსიკაში დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია; • რიტმი მელოდიასა და, ზოგადად, მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებს სხვადასხვა ხასიათს სძენს; • რიტმი მუსიკას სძენს დინამიკას; • რიტმი მუსიკას ემოციის, ემოციური ცვალებადობის გადმოცემაში ეხმარება. **მელოდია** • მელოდია არის ერთ ხმაში გადმოცემული მუსიკალური აზრი; • მელოდიაში მუსიკალური აზრი დროში ხმის სიმაღლეების ცვლით გადმოიცემა; • ინტონაცია მელოდიის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მას შინაარსს სძენს და სიმაღლის მიხედვით უბრალო ბგერათცვლისგან განასხვავებს;	**თაობებს შორის არსებული განსხვავების გადმოცემა ძველ და ახალ აკადემიურ მუსიკაში** **მელოდია** – მელოდიური ხაზი; **ფორმა** – მუსიკალური კონსტრუქცია; **ჟანრი** – ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა.	1. როგორ აისახება მუსიკაში სხვადასხვა პერიოდში არსებული ინტერესთა სფეროები? 2. როგორ ამოვიცნოთ სხვადასხვა პერიოდის მუსიკა? 3. როგორ წარმოვაჩინო მუსიკაში სხვადასხვა პერიოდის ინტერესები და გამოვხატო ჩემი ინტერესები მუსიკაში?	• გრიგის საფ.-ნო კონცერტი – ნაწყვეტების მოსმენის საფუძველზე ნაწარმოების სტრუქტურის სქემის შედგენა მოცემული ნიმუშის მიხედვით; • მოსწავლეები ისმენენ რიტმულ ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც ამოიცნობენ, სიმღერის კუპლეტის მოტივია თუ მისამღერის; ადგენენ სქემას და ავსებენ. • მადონას სიმღერის „La Isla Bonita“ მაგალითზე მოსწავლეები ამოიცნობენ და დაადგენენ თანმიმდევრობას – სად ჟღერს კუპლეტი, სად – მისამღერი, სად – ბრიჯი. რვეულში ხაზავენ სქემას და ავსებენ. მიზანი: მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის სხვადასხვა ელემენტი დაახარისხოს შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიხედვით.

ეტაპი 1. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა

საკვანძო შეკითხვა: როგორ აისახება მუსიკაში სხვადასხვა პერიოდებში არსებული ინტერესთა სფეროები?

სხვადასხვა პერიოდში არსებული ესთეტიკური პრიორიტეტების გაცნობიერება და ამავე პერიოდების მუსიკაში მათი ამოცნობა;

ეტაპი 2. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება

საკვანძო შეკითხვა: როგორ ამოვიცნოთ სხვადასხვა პერიოდის მუსიკა?

სხვადასხვა პერიოდის მუსიკის გამომსხველობითი ხერხების გარკვეული ეპოქისთვის დამახასიათებელ ესთეტიკურ პრიორიტეტებთან დაკავშირება. მუსიკალური კონსტრუქციების განხილვა, მუსიკალური აზრის განვითარების თავისებურებების გაცნობიერება;

ეტაპი 3. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა

საკვანძო შეკითხვა: როგორ წარმოვაჩინო მუსიკაში სხვადასხვა პერიოდის ინტერესები და გამოვხატო ჩემი ინტერესები მუსიკაში?

მუსიკალური ფრაგმენტის ანალიზის მეშვეობით გარკვევა, რამდენად აისახება ამ მუსიკაში კონკრეტული თაობის ესთეტიკური პრიორიტეტები.

მუსიკალური ფრაგმენტის ანალიზის შედეგად მასში ასახული ესთეტიკური პრიორიტეტების დადგენა და გარკვეული თაობის მუსიკისთვის მისი მიკუთვნება.

რესურსები:	**შეფასების კრიტერიუმები: განმავ./განმსაზღვრელი**
მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები.	შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: მუსიკის მოსმენა და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება; ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა.

• ინტონაცია ხშირ შემთხვევაში ბუნებაში არსებულ ინტონაციებს ემსგავსება, რითაც იგი განსაკუთრებულ ემოციურ გამოხმაურებას ჰპოვებს მსმენელში:
• არსებობს მელოდიური ინტონაციები, რომლებსაც კონკრეტული მდგრადი შინარსობრივი დატვირთვა გააჩნიათ და სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში ამავე შინაარსობრივი მნიშვნელობით გამოიყენება;
• მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე.

ჰარმონია
• ჰარმონია ცალკეულ ბგერებს თანახმიანობებში აერთიანებს;
• ჰარმონიაში ბგერების სხვადასხვა თანახმიანობა არსებობს: ინტერვალი, აკორდი, კილო, ბგერათწყობა და ა.შ.;
• ჰარმონიაში აკორდთა თანმიმდევრობების მკაცრი კანონები არსებობს, რასაც ჰარმონიულ სვლებს ან ფორმულებს უწოდებენ;
• ჰარმონიული სვლების საშუალებით ვითარდება მუსიკალური აზრი;
• ჰარმონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკით განწყობის შექმნაში;
• ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოვლენის, ადამიანის, საგნის დახასიათებაში;

საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი ჟანრი **რიტმი** – ეთნიკური მუსიკის რიტმები; **მელოდია** – მოტივი, ფრაზა; **ფორმა** –კუპლეტური ფორმები (სიმღერა), კუპლეტი, მისამღერი, ბრიჯი; **ჟანრი** – პოპი, თინეიჯერული პოპი.	1. რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკა? 2. როგორ შეიძლება სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკის ამოცნობა? 3. როგორ შემიძლია გამოვიყენო სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკის ელემენტები?	დამატებითი ინფორმაციის მოძიება და პროექტის მომზადება: „თანამედროვე უცხოური და ქართული პოპმუსიკა გუშინ და დღეს“ თანდართული აუდიო- და ვიდეომასალით. შეაფასეთ მეგობრის ნამუშევარი, მიაწოდეთ უკუკავშირი. • მოსწავლე ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში. სთავაზობს განსხვავებულ კონტექსტს და მოჰყავს ამ ინტერპრეტაციის მართებულობის არგუმენტები.

ეტაპი 1. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა
საკვანძო შეკითხვა: რატომ განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკა?
სხვადასხვა ათწლეულის თაობების პოპმუსიკის სტილისტური განსხვავებების მიზეზების გაცნობიერება;
ეტაპი 2. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება
საკვანძო შეკითხვა: როგორ შეიძლება სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკის ამოცნობა?
პოპმუსიკის ცალკეულ ელემენტებზე დაკვირვების საფუძველზე სხვადასხვა ათწლეულის თაობების ესთეტიკური პრიორიტეტების გაცნობიერება;
ეტაპი 3. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა
საკვანძო შეკითხვა: როგორ შემიძლია გამოვიყენო სხვადასხვა ათწლეულის პოპმუსიკის ელემენტები?
პოპმუსიკაში საკუთარი პრიორიტეტების წარმოჩენა და საკუთარ ინტერესებსა და მისწრაფებებთან მათი დაკავშირება.

რესურსები:	**შეფასების კრიტერიუმები: განმავითარებელი, განმსაზღვრელი**
მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები.	დავალების შესრულებისას ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა.

• ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკით გარესამყაროს სახის შექმნის დროს; • მელოდიაც ჰარმონიის ნაწილია. **ფორმა** • ფორმა გვიჩვენებს, თუ როგორ არის აგებული მუსიკალური ნაწარმოები; • მუსიკალური ფორმა ეხმარება კომპოზიტორს, სხვადასხვა მუსიკალური ელემენტი გააერთიანოს ერთ სრულყოფილ მუსიკალურ ნაწარმოებში; • ფორმის საშუალებით გადმოიცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსი; • მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოიცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა: • მუსიკალური ფორმის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე; • მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა. **ჟანრი** • მუსიკალური ნაწარმოების სახეობა, რომელსაც გარკვეული სტილისტური, სიუჟეტური, კომპოზიციური მახასიათებლები გააჩნია; • მუსიკალური ჟანრის წარმოქმნას ხშირ შემთხვევაში ისტორიული მოვლენები განაპირობებს; • მუსიკაში ჟანრი ნაწარმოების ფორმას განაპირობებს	**საკითხი და ქვეცნებები**	**საკვანძო შეკითხვები**	**კომპლექსური დავალებები**
	პოპმუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობის მახასიათებლები და სხვადასხვა თაობის განმასხვავებელი თვისებები **რიტმი** – პუნქტირული რიტმი, სინკოპა; **მელოდია** – მოტივი, ფრაზა; **ფორმა** – სხვადასხვა კუპლეტური ფორმა; **ჟანრი** – პოპმუსიკის სხვადასხვა მიმართულება.	1. როგორ აისახება კონკრეტული ათწლეულის განწყობა პოპმუსიკაში? 2. როგორ შეიძლება პოპმუსიკის კონკრეტული მიმართულების განმასხვავებელი თვისებების ამოცნობა? 3. როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების გათვალისწინება საკუთარი შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად?	• მოსწავლეები ისმენენ რამდენიმე კომპოზიციას. მოსწავლეები ამოიცნობენ რომელი დეკადის ჰიტია. წერილობით ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს: რის მიხედვით განასხვავებენ სიმღერის კუპლეტსა და მისამღერს; რომელი ფრაგმენტი შეიცავს A-B-A ნაწილს; რომელ სიმღერაში ჰგავს ერთმანეთს კუპლეტი და მისამღერი. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი სიმღერის მიხედვით დამოუკიდებლად ადგენენ სქემას. • მოსწავლეები ისმენენ რიტმულ ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც ამოიცნობენ სიმღერის კუპლეტისა და მისამღერის მოტივს.
	ეტაპი 1. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა **საკვანძო შეკითხვა:** როგორ აისახება კონკრეტული ათწლეულის განწყობა პოპმუსიკაში? რამდენიმე ნიმუშზე დაკვირვებით კონკრეტული პერიოდის პოპმუსიკის საერთო სტილისტური მახასიათებლების განსაზღვრა და მათ საფუძველზე ამ პერიოდის თაობის ესთეტიკური პრიორიტეტების გაცნობიერება; **ეტაპი 2. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება** **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შეიძლება პოპმუსიკის კონკრეტული მიმართულების განმასხვავებელი თვისებების ამოცნობა? კონკრეტული ათწლეულის პოპმუსიკის სტილისტური თავისებურებების კუთხით გარკვეული მუსიკალური ცნებების განხილვა; **ეტაპი 3. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა** **საკვანძო შეკითხვა:** როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების გამოყენება საკუთარი შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად? პოპმუსიკის ერთ-ერთი მიმართულების წარმოჩენა გარკვეული პერიოდის სოციალურ-კულტურული მისწრაფებების გამომხატველ საშუალებად. პოპმუსიკის გამოჩენილი შემსრულებლის მოღვაწეობის გარჩევა გარკვეული პერიოდის სოციალურ-კულტურული თავისებურებების წარმოჩენის მიზნით.		
	რესურსები: მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.		**შეფასების კრიტერიუმები: განმავ./განმსაზღვრელი** მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებზე დაყრდნობით ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა.

(ხშირ შემთხვევაში ჟანრისა და ფორმის სახელწოდება ემთხვევა კიდევაც) და განსაზღვრავს მის შინაარსსა და ხასიათს; • ხშირად ჟანრის წარმოქმნას გარკვეული ეპოქის ესთეტიკური შეხედულებები უწყობს ხელს.	**საკითხი და ქვეცნებები**	**საკვანძო შეკითხვები**	**კომპლექსური დავალებები**
	პოპმუსიკის ზეგავლენა თანამედროვე აკადემიურ მუსიკაზე **რიტმი** – რიტმული ფიგურაციები; ეთნიკური რიტმი; **ფორმა** – კუპლეტური ფორმა; **ჟანრი** – ინსტრუმენტული მუსიკა, ვოკალური ჟანრები; ბოსანოვა; მძიმე როკი.	1. როგორ იყენებენ აკადემიური მუსიკის კომპოზიტორები პოპულარული მუსიკის ხერხებს? 2. როგორ ამოვიცნო აკადემიური მუსიკის მაგალითებში პოპ-მუსიკის მახასიათებლები? 3. როგორ გამოვიყენო პოპმუსიკის გამომსახველობითი ხერხები საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად?	წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეები მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას და მოამზადებენ პროექტს: „თანამედროვე უცხოური და ქართული პოპმუსიკა გუშინ და დღეს“ თანდართული აუდიო- და ვიდეომასალით. **მიზანი:** • მოსწავლე ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში. წარმოადგენს განსხვავებულ კონტექსტს და მოჰყავს ამ ინტერპრეტაციის მართებულობის არგუმენტები.

ეტაპი 1. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა

საკვანძო შეკითხვა: როგორ იყენებენ აკადემიური მუსიკის კომპოზიტორები პოპულარული მუსიკის ხერხებს?

პოპულარული და აკადემიური მუსიკის შედარება;

ეტაპი 2. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება

საკვანძო შეკითხვა: როგორ ამოვიცნო აკადემიური მუსიკის მაგალითებში პოპ-მუსიკის მახასიათებლები?

აკადემიურ მუსიკაზე პოპმუსიკის მიმდინარეობათა სტილისტურ ზეგავლენებზე დაკვირვება და ამ თვალსაზრისით გარკვეული მუსიკალური ცნებების დამუშავება;

ეტაპი 3. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა

საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოვიყენო პოპმუსიკის გამომსახველობითი ხერხები საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად?

აკადემიური მუსიკის წარმომადგენლის შემოქმედების მაგალითზე საუბარი იმაზე, თუ როგორ შეიძლება საკუთარი შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად პოპმუსიკის ელემენტების გამოყენება;

კონკრეტული მუსიკალური ნიმუშის გარჩევის დროს მსჯელობა იმაზე, აკადემიურ მიმართულებას ეკუთვნის ეს ნაწარმოები თუ – პოპულარულს.

რესურსები: მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	**შეფასების კრიტერიუმები:** **განმავ./განმსაზღვრელი** მოსმენილი მუსიკის მაგალითებზე პოპმუსიკის მახასიათებლების ამოცნობა აკადემიურ მუსიკაში; დაკვირვების, მსჯელობის, დასკვნის გამოტანის უნარის გამოვლენა.

28-29 თაობებს შორის არსებული განსხვავების გადმოცემა ძველ და ახალ აკადემიურ მუსიკაში

აუდიოჩანაწერები:
ლუიზა ფარანკი (№1); იგორ სტრავინსკი – საფორტეპიანო სონატა (№2); ბილი აილიში – Ocean Eyes (№3); ე. გრიგი – საფ. კონცერტი №2, II ნაწ. Adagio – (№5); დ. შოსტაკოვიჩი – საფ. კონცერტი, II ნაწ. – (№6);
გრიგი – ნაწილები (№7,8); ბეთჰოვენი – ნაწილები: შესავალი (№9), საფ.-ნო თემა (№10), საორკესტრო (№11), მთლიანი ნაწილი – (№12).

საკვანძო შეკითხვები:
•როგორ აისახება კონკრეტული ათწლეულის განწყობა პოპმუსიკაში?
•როგორ შეიძლება პოპმუსიკის კონკრეტული მიმართულების განმასხვავებელი თვისებების ამოცნობა?
•როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების გათვალისწინება საკუთარი შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად?

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:
• მუსიკის საშუალებით შეიძლება თაობებში არსებული განწყობების გადმოცემა;
• სხვადასხვა თაობაში არსებული ინტერესთა სფეროები მუსიკის გამომსახველობით ხერხებში აისახება;
• XX-XXI საუკუნეების თაობებში არსებული ინტერესთა სფეროები ყველაზე მკაფიოდ პოპულარულ მუსიკაში იჩენს თავს;
• პოპულარულ მუსიკას გამომსახველობითი ხერხები აკადემიური მუსიკიდან აქვს გადმოღებული;
• პოპულარულ მუსიკაში აისახება აკადემიური მუსიკის მრავალი მიმართულება და სტილი;
• აკადემიურ მუსიკაში მოღვაწე ბევრმა კომპოზიტორმაც გამოიყენა თავის ნაწარმოებებში პოპულარული მუსიკის პრინციპები

ცნებები:
რიტმი – რიტმული ფიგურაციები, ეთნიკური რიტმი, სინკოპა;
მელოდია – მელოდიური ხაზი, მოტივი, ინტონაციური ფორმულა;
ჰარმონია – ინტერვალი, აკორდი, ტონალობა, ტონალური ცვლები;
ფორმა – კუპლეტური ფორმა, სამნაწილიანი ფორმა;
ჟანრი – ინსტრუმენტული და ვოკალური ჟანრები, სინგლი, გოსპელი, ქანთრი, სოული, ბოსანოვა, რეგი.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1
ინტონაციური და მეტრო-რიტმული სავარჯიშოები ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშებიდან (იხ. გვ. 12-15).

აქტივობა 2
მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება; ვარჯიში სანოტო ჩანაწერებიდან და მოსმენილი ნაწარმოებებიდან მელოდიური ხაზის ამოცნობაზე; მსჯელობა მოსმენილი ნაწარმოებების ირგვლივ და დასკვნების გამოტანა.

2 მოსწავლის წიგნში ტექსტების გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები ისმენენ სამ ნაწარმოებს II თავის აუდიოჩანაწერებიდან (№1, 2, 3); გაკვეთილზე იმართება მსჯელობა, დისკუსია მოსმენილი ნაწარმოებების ირგვლივ; მოზარდები პასუხობენ დასმულ კითხვებს. სანოტო ჩანაწერებში მოცემულია ფრაგმენტები: ა) ლუიზა ფარანკი; ბ) ბილი აილიში; გ) იგორ სტრავინსკი.

3 სანოტო ჩანაწერებში მოსწავლეები ამოიცნობენ ბ – ბილი აილიშისა და ლუიზა ფარანკის ნაწარმოებების მელოდიებს (ლიტერები ა) და ბ)).

5 მსჯელობა გრძელდება მეორე თავის აუდიოჩანაწერების ირგვლივ (№№5, 6, 7, 8). მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ აზრს, რომელ მუსიკალურ მიმდინარეობას შეიძლება მიეკუთვნებოდეს ცხრილში მოცემული ინტერესთა სფეროები – თარიღის გათვალისწინებით, პასუხი – კლასიციზმს. (იხ. ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 142).

მე-5 აქტივობის ბ პუნქტში მოსწავლეები ისმენენ სამ ფრაგმენტს ბეთჰოვენის №5 საფორტეპიანო კონცერტის II ნაწილიდან, რომელთა თანმიმდევრობა ასეთია: საორკესტრის შესავალი (№9), ფორტეპიანოს პარტია (№10), შემდეგ ფრაგმენტში (№11) ფორტეპიანოს ენაცვლება ორკესტრი. დასმულ კითხვაზე მოსწავლეებმა უნდა აარჩიონ სწორი პასუხი, ეს იქნება ბ – 1, 3.

6

მოსწავლეები ისმენენ მთლიანად II ნაწილს (№12) და ქვემოთ წარმოდგენილ სქემაში ჩაწერენ მოსმენილი ფრაგმენტების თანმიმდევრობას.
სწორად შევსებული სქემა ასეთ სახეს მიიღებს:



კომპლექსურ დავალებად მოსწავლეებს ვთავაზობთ ამგვარივე ხერხით განიხილონ გრიგის საფორტეპიანო კონცერტი, თავად შექმნან სქემა, წარადგინონ შემაჯამებელ გაკვეთილზე და ისაუბრონ, რის მიხედვით შეადგინეს ასეთი სქემა, რა რესურსი გამოიყენეს, რა სიძნელეებს წააწყდნენ მუშაობისას და ა. შ.

ინტერესთა სფეროების განმარტებები:

ლირიკა – ლიტერატურის ერთ-ერთი სახე. ტერმინი წარმოიშვა მუსიკალური საკრავის სახელწოდებიდან, რომლის აკომპანემენტითაც სრულდებოდა ლექსები და სიმღერები – ლირები. ლირიკა, ეპოსისა და დრამისაგან განსხვავებით, მოწოდებულია, მკითხველს უჩვენოს მდგომარეობა, მისი განცდები, გრძნობები. ლირიკას მიაკუთვნებენ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებშიც ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროა წარმოსახული. ლირიკული მუსიკალური ჟანრებია – რომანსი, სიმღერა, საკრავიერი მინიატურა, უფრო იშვიათად – დიდი ფორმის ნაწარმოებები, მაგ., მოცარტის მე-40 სიმფონია, შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“. ლირიკულ ოპერას შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და სხვ.

ფანტასტიკა – ფანტასტიკური ლიტერატურა მოიცავს ყველა იმ ტექსტს, რომლის მხატვრულ სამყაროშიც ირღვევა ბუნებრივი (ფიზიკური) კანონები. ასეთ შემთხვევაში ფანტასტიკის ჟანრში ექცევა მხატვრული ლიტერატურის ძალიან დიდი ნაწილი – ბიბლიიდან და ანტიკური მითებიდან, ვიდრე მეცნიერულ ფანტასტიკამდე და ზღაპრებამდე. ფანტასტიკური ნაწარმოებების საერთო ნიშანი მაქსიმალისტურ თეორიებში გახლავთ ის, რომ აქ აღწერილი მოვლენები ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის კანონებთან დაპირისპირების გამო სრულიად გამორიცხულია ჩვენს ნაცნობ სამყაროში (ფრიკე 1981); „ფანტასტიკური ხელოვნება, რომლის ნიშნებიც რომანტიზმში, მანიერიზმსა (მანიერიზმი – იგივე გვიანი რენესანსი (იტალ. maniera – მანერა, სტილი) – მიმდინარეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში 1520-1580 წლებში) და ბაროკოში გვაქვს, ის არარსებულს არსებულად წარმოადგენს“ (ადორნო 1995: 28).

ნაციონალური თვითმყოფადობა არის ის, რისი შენარჩუნება და მოფრთხილება ყველა ეროვნების ადამიანის უფლება და მოვალეობაა. პოლიტიკურ და ეკონომიკურ საზღვრებთან ერთად, ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორს კულტურული არეალი წარმოადგენს.

რაციონალიზმი – L. rationalis – გონი. 1. ფილოსოფიური რწმენა იმისა, რომ შემეცნებისათვის ყველაფერი მისაწვდომია; დარწმუნებულობა ადამიანის გონების უსაზღვრო ძალაში; 2. შემეცნების თეორიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს.

30-31 პოპულარული მუსიკა

აუდიოჩანაწერები: I აქტივობა ფრენკ სინატრა – Fly Me To The Moon (№13); ედიტ პიაფი - La Vie En Rose (№14); ჯგუფი The Platters - Only You (№15); ელლა ფიცჯერალდი – Summertime (№16); ბენ ე. კინგი – Stand By Me (№17); ლუი არმსტრონგი – what a wonderful world (№18); ჰუბერტ გირაუდი (ასრ. ივ მონტანი) – Sous le Ciel de Paris – French shanson (№18-1).

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

ინტონაციური და მეტრო-რიტმული სავარჯიშოები ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშებიდან (იხ. გვ. 12-15).

აქტივობა 2

მიზანი: წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალ მასალაზე მუშაობა, მსჯელობის, კამათის, დიალოგის, აზრთა ურთიერთგაცვლის სახით; თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა მიმართულების მუსიკის ამოცნობა მახასიათებლების მიხედვით.

მასწავლებელი:

პოპმუსიკა თანამედროვე პოპულარული მუსიკის ერთგვარი ტიპია. ეს ტერმინი კონკრეტულად ერთ ჟანრს არ გულისხმობს და მას სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა აქვს დროისა და ადგილის მიხედვით. პოპულარული მუსიკის ფარგლებში, ტერმინს – „პოპმუსიკა“ განასხვავებენ სხვა ქვეჟანრებისგან ისეთი სტილისტური თავისებურებების მიხედვით, როგორებიცაა საცეკვაო რიტმი ან ბითი, მარტივი მელოდიები და განმეორებადი რიტმული და მელოდიური სტრუქტურა.

პოპმუსიკისთვის დამახასიათებელია აღსაქმელად მარტივი, მსუბუქი მელოდიები, ძირითადი ინსტრუმენტი კი ადამიანის ხმაა; აკომპანემენტს მეორეხარისხოვანი როლი აკისრია – იშვიათია, როცა პოპმუსიკოსები მხოლოდ ინსტრუმენტულ სოლოს ასრულებენ.

თანამედროვე პოპმუსიკა ჩამოყალიბდა ისეთი ჟანრის პარალელურად, როგორიცაა როკ-მუსიკა. მანამდე კი. 1950-1960-იან წლებში დამკვიდრებული იყო ე. წ. ტრადიციული პოპი, ჩვენთან მას „საესტრადო მუსიკას“ ვუწოდებთ. იგი მოიცავს მრავალ სტილს და მიმდინარეობას. „პოპი“ და „როკი“ 1960-იანი წლებიდან სრულიად დამოუკიდებელ მიმდინარეობებად ჩამოყალიბდნენ.

ტრადიციული პოპი სრულდება სოლისტ-ვოკალისტის მიერ აკომპანემენტის თანხლებით. აშშ-ში ესტრადა მჭიდრო კავშირში იყო ჯაზთან (მაგალითად, ფრენკ სინატრა), საფრანგეთში კი – შანსონთან (ფრანგული საესტრადო სიმღერა კაბარეს სტილში). თავდაპირველად აშშ-ის პოპმუსიკოსების უმრავლესობა აფროამერიკელი შემსრულებელი იყო, რომლებიც სოულის ჟანრში მოღვაწეობდნენ.

სოული – პოპულარული მუსიკის ჟანრი (soul) – ინგლისური სიტყვაა და ქართულად სულს ნიშნავს, ეს მუსიკაც სწორედ სულის ამოძახილია და აქცენტი ვოკალურ შესრულებაზე, რელიგიური თემების შერწყმაზეა გაკეთებული.

„სოულის“ მუსიკა ჩამოყალიბდა სოციალური პირობებისა და მუსიკალური მრავალფეროვნების გავლენით. სოულის წარმოშობა სათავეს აფრიკული ხალხური სიმღერისგან იღებს, ეს აფრიკელი მონების დამსახურებაა, რომლებიც XVII საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ ამერიკაში ჩაიყვანეს პლანტაციებში სამუშაოდ. მონები თავიანთი შრომის შემსუბუქებას სიმღერით ცდილობდნენ, ეს იყო აფრიკელი ხალხის სულის მეტამორფოზა. დასავლეთ აფრიკული სიმღერები ძალიან რიტმული და მელოდიური იყო, ეს სიმღერები კოდურ ინფორმაციას შეიცავდა მათი ფიქრების შესახებ.

სოულზე გავლენა მოახდინა ევროპულმა მუსიკამ, გაჩნდა სოლო შესრულება. სოული ითვლება თავისუფალი ჟანრის მუსიკად, რადგან იგი ყველაზე მეტად უახლოვდება სულს, ფიქრებსა და განცდებს.

დღეს მსოფლიოში მრავალი შესანიშნავი სოულის მომღერალია, რომლებმაც უფრო დახვეწეს და გაამდიდრეს ეს ჟანრი. დღეს ის ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებიან მიმდინარეობად ითვლება. მართალია, ის აფროამერიკელების შექმნილია, მაგრამ მას უამრავი თეთრკანიანი შემსრულებელი ჰყავს.

მასწავლებელი: (მოსწავლის წიგნი, გვ. 76) თვალი გადაავლეთ საყოველთაოდ აღიარებული მუსიკოსებისა და მომღერლების ფოტოსურათებს, რომელთაც მე-20 ს-ის შუა წლებიდან მთელი მსოფლიო იცნობდა, უყვარდათ, სიმღერებს მღეროდნენ მათი რეპერტუარიდან, აგროვებდნენ ფირფიტებს, რომლებიც მილიონობით იყიდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში; სიმღერის გარდა, მათ კინოფილმებში იღებდნენ, კონცერტებზე ბილეთები რამდენიმე თვით ადრე იყო დაჯავშნული...

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ, რა იციან ამ მომღერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რა კომპოზიციები მოუსმენიათ, მათგან რომელმა დატოვა წარუშლელი შთაბეჭდილება და რითი მიიქცია მათი ყურადღება და ა. შ.

რომელი სიმღერა რომელ ჟანრს ან მუსიკალურ მიმდინარეობას მიეკუთვნება:



ჯაზი (ინგლ. Jazz) – მუსიკალური ხელოვნების ფორმაა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის 20-იან წლებში აფრიკული და ევროპული მუსიკალური კულტურების შერწყმის შედეგად. მისი სათავეები აფრიკული ხალხური მუსიკის იმპროვიზაციულ ფორმებში მოიძიება. პირველად ჯაზური მუსიკა აფროამერიკელებმა დაუკრეს ნიუ-ორლეანში. ზანგურ სასულე ორკესტრებში გამომუშავდა შესრულების განსაკუთრებული მანერა. ჯაზისთვის დამახასიათებელია ვირტუოზული იმპროვიზაციულობა, თავისუფალი რიტმი, ძირითადად, სინკოპირებული, ჯაზის ტრადიციული ინსტრუმენტები: საქსოფონი, საყვირი, ტრომბონი, კლარნეტი, ფორტეპიანო, გიტარა, კონტრაბასი, ბასგიტარა, დასარტყამები. XX სს-ის 20-იანი წლებიდან ჯაზი თანდათანობით გავრცელდა ევროპასა და შემდგომ მთელ მსოფლიოში.

პირველი ჯაზმენები სამხრეთ ამერიკაში მომუშავე აფრიკელი მონები იყვნენ. მათი სახელები, რა თქმა უნდა, ცნობილი არაა, თუმცა, პირველ ჯაზმუსიკოსად ბადი ბოლდენი ითვლება. ჯაზური მუსიკის შემსრულებელთა ანსამბლს ჯაზბენდი ეწოდება.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯაზმენი ლუის არმსტრონგია. მან პირველმა შემოიყვანა სოლისტი ჯაზ ბენდში. მსმენელებს ეს სიახლე ძალიან მოეწონათ.

მოსმენა: ჯ. გერშვინი – Summertime ელა ფიცჯერალდისა და ლუი არმსტრონგის შესრულებით (№16), მოვისმინოთ ჯაზბენდის შესრულებითაც (№25) ; ფრენკ სინატრა – Fly Me To The Moon 13). სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეები შეისწავლიან ამ სიმღერებს.

შენიშვნა: სტრუქტურიდან გამომდინარე, შეიძლება მოსწავლეებმა ორივე სიმღერა ჯაზს მიაკუთვნონ, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი, მინიშნების მიზნით, წინასწარ მიაწვდის მოსწავლეებს მცირე ინფორმაციას ერთ-ერთ ნაწარმოებზე (Summertime). მასწავლებელი არ აკონკრეტებს, კერძოდ, შემოთავაზებული ორი სიმღერიდან რომელზეა საუბარი, მოსწავლეებმა თავად უნდა ამოიცნონ ის და დაასახელონ:

ეს ნაწარმოები დაწერილია 1935 წელს, ის სპირიჩუელსის სტილიზაციისაა, თუმცა აკადემიურ მუსიკას განეკუთვნება, კომპოზიტორს ის გამოყენებული აქვს, როგორც არია ოპერაში „პორგი და ბესი“ და წარმოადგენს ძილისპირულს – იავნანას, რომელსაც ერთ-ერთი პერსონაჟი, კლარა, უმღერის თავის პატარას. ამოიცანით, რომელ სიმღერაზეა საუბარი.

2 რიტმის ამოცნობა – სანოტო ჩანაწერი ეკუთვნის ბენ კინგს – „Stand by me“.

32-33 პოპულარული მუსიკა (გაგრძელება)

აუდიოჩანაწერები:
I აქტივობა
Deep purple, „Smoke on the water“ (№20), რიტმი (20-1); ჯორჯ ჰარისონი – „Something“ (№21, რიტმი (21-1); მაიკლ ჯექსონი – „Thriller“ (№22, რიტმი №22-1); ჯონათან ბაკი, ელიოტ კენედი – „Say You'll Be There“ („მითხარი, რომ იქ იქნები“) (№23); ავრილ ლავინი – „Sk8er Boy“ („სკეიტერი ბიჭი“) (№24); რიტმული მაგალითები: №№20-1, 21-1, №22-2, 24-1.
III აქტივობა
ჯგუფი Jimmy Eat World – „The Middle“ (№26, 26-1); ჯგუფი Van Halen – „Dance the Night Away“ (№27); ჯგუფი The Doors – „People are strange“ (№28); Prince – „Sing O'Time“ (№29); ჯგუფი NSYNC – „Bye Bye Bye“ (№30).
V აქტივობა
№№22-1, 24-2, 25-1, 26-1, 30-1, 31-1, 32-1,2,3; მადონა – „La Isla Bonita“ (№31); All-4-One – „I Can Love You Like That“ (№№32); Havanna Lounge de Cuba – „Campina“ (№33); PALO! – „Al Monte“ კუბური სალსა (№34); „Monsoon - Ever so lonely“ 1982 (№35); სონა ჯობარტე – „Gambia“ (36); პოლ საიმონი – „Under African Skies“ (№37); სტინგი - „Love Is The Seventh Wave“ (№38).
VII აქტივობა
აუდიო – №№31, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39.

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1
ინტონაციური და მეტრო-რიტმული სავარჯიშოები ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშებიდან (იხ. გვ. 12-15).

აქტივობა 2
მიზანი: აქტივობა მიზნად ისახავს გააცნოს მოსწავლეს რამდენიმე ათწლეულის სოციალური ფონი. მაგრამ, ბუნებრივია, ეს უნდა გაკეთდეს ინფორმაციის მიწოდების არა პასიური ფორმით, როდესაც მოსწავლე უბრალოდ კითხულობს ტექსტს ყოველგვარი დამატებითი დავალების გარეშე. ასეთი ფორმა არის არაქმედითი, ამიტომ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, ეს ინ-ფორმაცია გამოიყენონ რაღაც ამოცანის გადასაწყვეტად. ამ მიზნით მოსწავლეს წაკითხული ინფორმაციის გასააზრებლად მიეწოდება მუსიკალური ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელე-მენტი – რიტმი, რომლის განწყობა ეხმარება მას, შეგრძნების დონეზე გაიაზროს მიწოდებული ტექსტი. რიტმის დაკავშირება სხვადასხვა ათწლეულში არსებულ სოციალურ ფონთან ასევე მნიშვნელოვანია, რადგან რიტმი დროის შეგრძნების ერთ-ერთი საშუალებაა.

1

მოსწავლეები ისმენენ სახელმძღვანელოში მოცემული ხუთი კომპოზიციიდან ოთხს:
1) 1969 წელი: ჯორჯ ჰარისონი, „Something“ („რაღაც“);
2) 1982 წელი: მაიკლ ჯექსონი, „Thriller“;
3) 1996 წელი: ჯონათან ბაკი, ელიოტ კენედი, „Say You'll Be There“ („მითხარი, რომ იქ იქნები“);
4) 2002 წელი: ავრილ ლავინი, „Sk8er Boi“ („სკეიტერი ბიჭი“).

კითხვაზე – რომელი კომპოზიცია არ გაჟღერებულა, პასუხი იქნება: ჯგუფი deep purple, „Smoke on the water“ („ნისლი წყალზე“).

რიტმული ფიგურაცია ეკუთვნის კომპოზიციას – 1982 წელი: მაიკლ ჯექსონი, „Thriller“.

შემდეგ მოსწავლეები ცალ-ცალკე ისმენენ რიტმებს სამი სიმღერიდან (№№20-1 („Smoke on the water“), 21-1 („Something“), 24-1 („Sk8er Boi“) და ამოიცნობენ, რომელი სიმღერისაა.

2 **პირველი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ და მის საფუძველზე მოსწავლე აკვირდება ტექსტს და უკავშირებს რიტმს, შემდეგ რიტმს უკავშირებს პირველ სავარჯიშოში მოცემულ სიმღერას, რომელსაც აწერია წელი; წლის უჯრაში წერს სიმღერის შექმნის წელს, ხოლო დეკადაში – სათანადო ათწლეულს. სახელმძღვანელოში მოცემულია ცხრილის შევსების ნიმუში ერთ უჯრაში.**

სწორად შევსებული ცხრილი:

წელი	დეკადა	დეკადის დახასიათება
1969 წ.	1960-1969 წწ	ახალგაზრდობა უპირისპირდება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ე.წ. „ამერიკული ოცნების“ ფორმულას – პრესტიჟული სამსახური, ელიტარული გარემოცვა, კერძო სახლი, ღირსეული ოჯახი. ახალი თაობა გატაცებულია ე. წ. „ბიტნიკების“ იდეებით, რომლებიც პირადი თავისუფლების, ცხოვრების წესის არჩევის უფლების დაცვისკენ მოუწოდებს ახალგაზრდობას და მკვეთრად უარყოფს ყველა იმ ფასეულობას, რომელიც, მათი აზრით, „მეშჩანურ“ კეთილდღეობას უკავშირდება. ახალგაზრდები ქადაგებენ თავისუფალ ცხოვრებას, რეალურ გრძნობებს, რომლებიც მატერიალური ინტერესებით არ არის ნაკარნახევი. როკმუსიკის ემოციური მუხტი ახალგაზრდებს უფრო ნათელ, ფერადოვან სამყაროში გადანაცვლების ილუზიას უქმნის. ამ პერიოდის მუსიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მელოდიას, რიტმი დასარტყამებზე არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით.
1970 წ.	1970-1979 წწ.	ამ ათწლეულში შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში თაობებს შორის კონფლიქტი კარგავს აქტუალურობას, ახალგაზრდებში შეიმჩნევა ერთგვარი იმედგაცრუება საკუთარ იდეალებში. მეფობს უმართავი ვნებები და რელიგიური მისტიციზმი. ამიტომაც ამ დროის პოპმუსიკაში რიტმი უცნაურ, მისტიკურ რიტუალურ ცეკვას მოგვაგონებს, სადაც ხშირ შემთხვევაში ბასგიტარით შესრულებული მკვეთრი რიტმული ფიგურაციები (რიფები) დასარტყამ თეფშებზე შესრულებულ მშვიდ რიტმს ენაცვლება.
1982 წ.	1980-1989 წწ.	ახალი თაობა ირჩევს ცეკვას და გართობას. უმრავლესობა უპირატესობას ისევ ტრადიციულ პოპმუსიკას ანიჭებს. ტელევიზიის ზეგავლენამ ახალგაზრდობაზე პიკს მიაღწია. მუსიკაში შემოდის სხვადასხვა ეთნიკური ინტონაციები და რიტმები, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული ხდება აფროამერიკელების მუსიკა: რომანტიკული, ემოციური ბალადები და რთულ აფრიკულ რიტმებზე აგებული საცეკვაო კომპოზიციები.
1996 წ.	1990-1999 წწ.	კვლავ პროტესტი და პროვოკაცია. ვულგარული, გამომწვევი საქციელი, სკეფსისი და წინა თაობის მიერ დაწესებული კანონების დაცინვა ამ დეკადის ახალგაზრდობის მთავარი მახასიათებლებია. ამ პერიოდში წინა პლანზე გამოდის ე.წ. თინეიჯერული პოპი. რაღაცით უკმაყოფილო, საკუთარ თავში ჩაკეტილი მოზარდების მუსიკა, რომელიც მათ ყოველდღიურ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ დეკადის პოპი გამოირჩევა მძიმე როკისთვის დამახასიათებელი რიტმით, რომელიც მსუბუქი პოპულარული მუსიკისთვის დამახასიათებელი მარტივი მელოდიებით არის გაზავებული.
2002 წ.	2000-2009 წწ.	ამ ათწლეულში შეიმჩნევა ინტერესი 60-იანი წლების მუსიკისადმი, თუმცა ნაკლებად იგრძნობა იმ დაპირისპირების მასშტაბი, რომელიც 60-იანებს ახასიათებდა. ამჯერად იგი დაყვანილია დაბნეული ყმაწვილების გაუცნობიერებელ ბუნტამდე. ამჟამად ახალგაზრდები საკუთარ განცდებზე ფიქრობენ: წვეულებები, გატაცებები, უილბლო სიყვარული, დაუცველობა. მათი რიტმები ზოგ შემთხვევაში აღგზნებული, ზოგჯერ კი რომანტიკულ ოცნებებში წასული ყმაწვილის აჩქარებულ გულისცემას გვაგონებს.

კომპლექსური დავალება

კვლავ მოისმინეთ კომპოზიციების რიტმული ფიგურაციები და ამ ფიგურაციებით გამოწვეული განწყობა მიუსადაგეთ (თქვენი ვარაუდით) შესაბამისი ათწლეულის დახასიათებას. დახაზეთ ცხრილი და სათანადო უჯრაში ჩაწერეთ იმ კომპოზიციის შექმნის წელი, რომლის რიტმული ფიგურაციაც მიუსადაგეთ ამა თუ იმ ათწლეულის დახასიათებას (იხელმძღვანელეთ მოსწავლის წიგნში განთავსებულის ცხრილის მე-5 გრაფის ნიმუშით).

მეორე აქტივობა ამ თემის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილია იმ თვალსაზრისით, რომ საკმაოდ ძნელია თითოეული ათწლეულის დახასიათება, განსაკუთრებით, 80-ანი წლებიდან დაწყებული. უამრავი მიმართულებაა და უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელსაც ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს კონკრეტულ დეკადაში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას, 1945 წელს მსოფლიოში დაიწყო სერიოზული სოციალური და ეკონომიკური ძვრების პერიოდი. სწრაფად უმჯობესდებოდა ცხოვრების პირობები, იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია. ასეთმა სწრაფმა ცვლილებებმა განაპირობა ის, რომ XX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან მოყოლებული, სოციალურ-კულტურული ცვლილებების პერიოდები დეკადებით (ათწლეულებით) იზომება. ამ დროიდან დაწყებული, თითოეული ათწლეული გამოირჩეოდა სოციალურ-კულტურული თავისებურებებით, რაც თაობებს შორის დამოკიდებულებაში განსაკუთრებით მკვეთრად იჩენდა თავს.

ჩვენი ყურადღება გამახვილებულია ძირათადად ამერიკულ და ბრიტანულ პოპკულტურაზე, რადგან სწორედ ამ კულტურას ჰქონდა და აქვს გავლენა მთელი მსოფლიოს პოპკულტურაზე.

მოსწავლეები განმეორებით უსმენენ კომპოზიციებს და ამ ფიგურაციებით გამოწვეულ განწყობას მიუსადაგებენ (მათი ვარაუდით) თითოეული დეკადის (ათწლეულის) დახასიათებას. ცხრილის სათანადო უჯრაში ჩაწერენ წელს იმ კომპოზიციისა, რომლის რიტმული ფიგურაციაც დეკადის (ათწლეულის) დახასიათებას მიუსადაგეს (ნიმუშის მიხედვით).

დეკადის დახასიათების პირველი გრაფის (1982 წ) აღწერაში აქცენტი უნდა გაკეთდეს სწორედ შეგრძნებაზე და არა სხვადასხვა მიმართულების ჩამოთვლაზე.

შესაძლოა, ბავშვებმა არაზუსტად გადაანაწილონ დეკადებზე (ათწლეულებზე) კომპოზიციები. ეს არ არის მთავარი. მნიშვნელოვანია, მათ ყურადღება გაამახვილონ დეკადის ტექსტებში მოცემულ ინფორმაციაზე. ეს აქტივობა თავის კითხვებთან ერთად ამის საშუალებას იძლევა.

მოსწავლის წიგნში ამავე აქტივობაში მოცემულია კითხვები, რომლებიც წინარე ცოდნის გააქტიურებას ემსახურება და მოიაზრება წმინდა წყლის მეტაკოგნიტური ოპერაციების ჩასატარებლად, რასაც ჩვენ სწავლის სწავლას ვეძახით. მოსწავლე თავად აფასებს, რა გაუჭირდა და რატომ:

- რთული იყო თუ არა თქვენთვის რიტმების მიხედვით დეკადების ამოცნობა?
- რომელი დეკადის ამოცნობა გაგიადვილდათ ყველაზე მეტად? ახსენით, რატომ;
- რომელი დეკადის ამოცნობა გაგიჭირდათ? რატომ?
- იმ სიმღერებიდან, რომლის რიტმული ფიგურაციებიც მოისმინეთ, რომელი იყო თქვენთვის ნაცნობი? დაახლოებით მაინც თუ იცოდით, რომელი წლის ჰიტია?
- ახლა გაეცანით სწორად შევსებულ დეკადების ცხრილს (იხ. წინა გვერდი) და შეადარეთ თქვენ მიერ შევსებულს – რა დაემთხვა და რა – არა (ეს კითხვა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ კიდევ ერთხელ გაიაზროს ტექსტი და დააკვირდეს განსხვავებულ აზრს).

მოსწავლის წიგნის მე-3 აქტივობიდან იწყება მუშაობა სიმღერების სტრუქტურის განსაზღვრასა და ამოცნობაზე; მოცემულია სქემები, რომელთა საფუძველზეც მოსწავლეები მოსმენილი ნაწარმოებებში ამოიცნობენ, რომელია მოტივი, კუპლეტი და რომელი – მისამღერი (რეფრენი); შემდგომში დაემატება ბრიჯის ცნებაც.

სიმღერების ტექსტის სქემა ტრადიციულია – სამღერი (კუპლეტი) + მისამღერი – და, როგორც წესი, აგებულია პირად განცდებზე, ემოციებზე: სიყვარულზე, სევდასა და სიხარულზე. საკონცერტო გამოსვლებსა თუ კლიპებში პოპმუსიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვიზუალურ მხარესაც, ამიტომაა, რომ შემსრულებლებს ექსტრავაგანტური იმიჯი აქვთ. პოპშემსრულებელთა ჯგუფში ხშირად ჩართულნი არიან მოცეკვავეები, სტატისტები და სხვა ადამიანები, რომლებიც მუსიკის შესრულებაში არ იღებენ მონაწილეობას, მაგრამ კონცერტის მომზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

3 ეს აქტივობები (3, 5, 6) შეიძლება კომპლექსური დავალების ინსტრუქციადაც გამოიყენოთ. მოსწავლეები ისმენენ რამდენიმე კომპოზიციას (მასწავლებელს შეუძლია შეამციროს მოსასმენი მასალა). მოზარდები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს.

კითხვა: მოისმინეთ რამდენიმე კომპოზიცია და ამოიცანით, რომელი დეკადის ჰიტია. სწორი პასუხები იქნება:

1. ჯგუფი Jimmy Eat World - „The Middle“ (**2001 წ.**);
2. ჯგუფი Van Halen – „Dance the Night Away“; (**1979 წ.**);
3. ჯგუფი The Doors – „People are strange“; (**1967 წ.**);
4. Prince – „Sing O'Time“ (**1986 წ.**);
5. ჯგუფი NSYNC – „Bye Bye Bye“ (**2000 წ.**).

აქტივობის ბოლოს კითხვები: რომელი ფრაგმენტი შეიცავს A-B-A ნაწილს?
პასუხი: The Doors – „People are strange“;
რომელ სიმღერაში ჰგავს ერთმანეთს კუპლეტი და მისამღერი?
პასუხი: ჯგუფი Van Halen – „Dance the Night Away“.

5 მადონა – სიმღერის „La Isla Bonita“ სქემა – სწორი პასუხია გ) A-B-A-B-b-A_1-B-B. მოსწავლის წიგნში 90-ე გვერდზე წარმოდგენილ სანოტო ჩანაწერზე მოსწავლეები მადონას სიმღერიდან ამოიცნობენ კუპლეტის მოტივს.

კომპლექსური დავალება:

მოსწავლეები ისმენენ რიტმულ ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც ამოიცნობენ, სიმღერის კუპლეტის მოტივია თუ – მისამღერის (№№22-1, 24-2, 25-1, 26-1, 30-1).

6 სიმღერა „La Isla Bonita“. კითხვაზე პასუხი: ბრიჯი ჩნდება მისამღერსა და კუპლეტს შორის.

სწორად შევსებული სქემა:



7 მოსწავლეებს ვთავაზობთ პოპმუსიკის ნიმუშებს, რომლებშიც იგრძნობა ეთნომუსიკის ინტონაციები. ჯერ ნიმუშად ვასმენინებთ ერთ კომპოზიციას – ჯგუფი All-4-One - "I Can Love You Like That“ (მე ასე შემიძლია მიყვარდე) (1995 წ. R&B), მთლიანად და ნაწილებად (№№ 32, 32-1, 32-2, 32-3) . უპასუხებენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს, ამოიცნობენ, რომელია კუპლეტი, რომელი – მისამღერი და რომელი – ბრიჯი; შეადგენენ სქემას რვეულში.

შემდეგ ვასმენინებთ სხვადასხვა ქვეყნის ეთნომუსიკის ნიმუშებს ასახელებენ, რომელი ქვეყნის ეთნიკური რიტმები და ინტონაციები ამოიცნეს (აუდიო – №№33, 34, 35, 36) და ასაბუთებენ თავიანთ პასუხებს.

ამის შემდგომ მოსწავლეები ისმენენ ცნობილი მუსიკოსების კომპოზიციებს და ამოიცნობენ, რომელ შემსრულებელს რომელი ეთნიკური რიტმები აქვს გამოყენებული (აუდიო №№31, 37, 38, 39):

პოლ საიმონი – „Under African Skies“ – „აფრიკის ცის ქვეშ“, 1986 წ. (№37) (აფრიკული);
მადონა – „La Isla Bonita“ – „ლამაზი კუნძული“, 1986 წ. (№31) (ლათინოამერიკული);
სტინგი – „Love Is The Seventh Wave“ – „სიყვარული მეშვიდე ტალღაა“, 1985 წ. (№38) (აფრიკული).

34-36 პოპულარული მუსიკა, როგორც თაობებში არსებული განწყობების ამსახველი ჟანრი

აუდიოჩანაწერები:
I აქტივობა:
ჯო დასენი (№52); აბბა „Take A Chance On Me“ (№53); დემის რუსო „Goodbye, My Love, Goodbye“ (№54), შარლ აზნავური და მირეი მატიე „ Une vie d’amour “(№55); ბონი-ემ (№56), თინა ტერნერი What’s Love Got To Do With It (№57);
II აქტივობა
ენდი უილიამსი, „The day of wine and roses“ (№40), პოლ ვენსი და ლი პორკისი, „Catch a Falling Star“ (№41); ირვინგ ბერლინი, „A Couple of Swells.“ (№42).
V აქტივობა
კოლ პორტერი „Let’s Do It“ (№№43, 43-1, 43-2, 43-3, 43-4);
VI აქტივობა
ფილ მური, „Shoo Shoo Baby“ (№44);
VII აქტივობა
ლაიონელ ბელასკო და ლორდ ინვეიდერი – „Rum and Coca-Cola“ („რომი და კოკა კოლა“ – №46); ბენ ოკლანდი და მილტონ დრეიკი – „Java Jive“ („ჟავა ჟივე“ – №45);
VIII აქტივობა
ჰერმან ჰაპფელდი – „As time goes by“ (№№47, 48);
IX აქტივობა
ჯასტინ ბიბერი – Never Say Never (№58).
X აქტივობა
ჰეროლდ ერლენი და ტედ კოხლერი, „Stormy weather“ (№49); კლიფ ფრენდი და ირვინგ მილსი, „Lovesick blues“ (№50); ჯული სტაინი და სემი კანი, „Five minutes more“ (№51).

1 მოსწავლეები ათვალიერებენ 92-ე და 93-ე გვერდებზე განთავსებულ მომღერლების ფოტოებს, ამოიცნობენ, რომელი მომღერალი თუ ჯგუფია მათთვის ცნობილი და საუბრობენ, რომელი კომპოზიციები აქვთ მათი შესრულებით მოსმენილი; მიუსადაგებენ რომელიმე დეკადის მახასიათებლებს; შემდეგ ისმენენ მათ კომპოზიციებს და გამოთქვამენ ვარაუდებს, რომელ მუსიკალურ მიმდინარეობას მიეკუთვნება თითოეული მათგანი.

ჯო დასენი – ტრადიციული პოპი;
დემის რუსო – პოპი;
აბბა – დისკო;
ბონი ემ – დისკო;
შარლ აზნავური, მირეი მატიე – ტრადიციული პოპი;
თინა ტერნერი – პოპი.

XX საუკუნის 70-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა საცეკვაო მუსიკის ერთ-ერთმა ჟანრმა – **დისკომ**. ჟანრის დასახელება წარმოდგება სიტყვიდან – disque – დისკი, გრამფირფიტა, შემოკლებული ფრანგული სიტყვიდან discotheque (ღამის კლუბის ტიპი) – საცეკვაო-გასართობი ღონისძიება, რომელიც ტარდება სპეციალურად საცეკვაოდ აღჭურვილ დაწესებულებაში (კლუბში) ან ღია ცის ქვეშ – საცეკვაო მოედანზე. დისკოს მუსიკა თითქმის ერთდროულად განვითარდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, პოპულარობის პიკს მიაღწია 1976-1981 წლებში. შესაბამისად, მოდაში შემოვიდა ახალგაზრდების ჩაცმულობის სტილიც – დისკო სტილი. ამ დროს რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემებს შორის დისკოს სტილში კომპოზიციებს 70%-ზე მეტი ეკავა. თუმცა, უკვე 1980-იანი წლებიდან, ხმისჩამწერი ტექნიკის განვითარებისა და ფრამფირფიტების გაყიდვის შემცირების გამო, დისკომ თანდათან დაკარგა პოპულარობა.

დისკოს წარმოშობის ისტორია ასეთია: XX საუკუნის 30-იან წლებში სიტყვა დისკოთეკა ჯაზის ფრანგი თაყვანისმცემლებისთვის ნიშნავდა „ჯაზის მოყვარულთა თავშეყრის ადგილს“. დიდი სამამულო ომის დროს, 1942 წელს, ფაშისტურმა გერმანიამ დაპყრობილ საფრანგეთში აკრძალა ყოველგვარი საცეკვაო და გასართობი ჯაზური მუსიკის საღამოების ჩატარება. ცოცხლად შესრულებული მუსიკა გრამფირფიტებმა ჩაანაცვლეს.

პარიზში ომამდეც ფუნქციონირებდა ბარი „La Discoteque“, შეიძლება ითქვას, პირველი დისკოთეკა, რომელშიც თავისუფლად შეიძლებოდა კლიენტს მოეთხოვა მისთვის სასურველი ჯაზური ნაწარმოების ფირფიტის ჩართვა. ნიუ-იორკში კი პირველი დისკოთეკა ფრანგულ სტილში გაიხსნა 1960 წლის დამდეგს და მას „Le Club“ ერქვა.

დისკოს მუსიკისთვის დამახასიათებელია საცეკვაო რიტმული მოძრაობები, ზომა 4/4, აქცენტირებული ყოველ წილზე.

3

შევსებული ცხრილი:

რა თაობაა ეს?	პოპულაცია	მახასიათებლები
• გაიზარდნენ დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის დროს; • ქმედებები განპირობებულია დიდი დეპრესიის და მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებული გამოცდილებით; • ყველაზე მდიდარი თაობა; • ყველაზე კანონმორჩილი თაობა; • მამაკაცები მუშაობენ, ხოლო ქალები დიასახლისობენ და ზრდიან შვილებს.	• 55 მილიონი; • პენსიონერების მაღალი პროცენტი.	• ოპტიმისტურები;
		•სწრაფვა მშვიდი და ფინანსურად დაცული ცხოვრებისკენ;
		• კონსერვატორები (ყოველგვარი სიახლის მიმართ უნდობლად განწყობილნი და ჩამოყალიბებული შეხედულებების, ტრადიციების მიმდევრები და მხარდამჭერნი);
		• ყველაზე მომთმენნი;
		• სწრაფვა სიმარტივისკენ;
		• ტრადიციული ოჯახური ფასეულობების თაყვანისცემა;
		• თავგანწირულობა.

4 მოსწავლეები განმეორებით ისმენენ მე-2 აქტივობის სიმღერებს: 1. ენდი უილიამსი, „The day of wine and roses“; 2. პოლ ვენსი და ლი პორკისი, „Catch a Falling Star;“ 3. ირვინგ ბერლინი, „A Couple of Swells.“ კითხვა: რომელი სიმღერა გაჟღერდა თავიდან ბოლომდე? ქვემოთ მოცემული ნიმუშებიდან, რომელია ამ სიმღერის სტრუქტურა?

ა) A-B-A; ბ) A-A-A_1: გ) A-B-A-B-b-A-B-A-A_1.

პასუხი: მთლიანად გაჟღერდა – ირვინგ ბერლინი, „A Couple of Swells“; სწორი პასუხია: გ) – არის ამ სიმღერის სტრუქტურა. შესაბამისად, ბ) – ენდი უილიამსის სიმღერის – The day of wine and roses – სტრუქტურაა, ა) „Catch a Falling Star“-ის.

სანოტო მაგალითი – ირვინგ ბერლინის „A Couple of Swells“ – მისამღერის მოტივია.

მოტივი, ფრაზა. მუსიკაში მელოდია თავის შინაგან სტრუქტურას ქმნის, ერთეულებს შორის კი განსაზღვრული ურთიერთკავშირი ყალიბდება. მაგალითად, დანაწილების შემთხვევაში მეტყველების შემადგენელ ელემენტებად მარცვლებს, სიტყვებს, ფრაზებსა და წინადადებებს ვიღებთ. მარცვლები სიტყვებად ერთიანდება, სიტყვები – ფრაზებად, ხოლო ფრაზები – წინადადებებად. მსგავსი აგებულება აქვს მუსიკალურ მელოდიასაც და ანალოგიურადვე შეიძლება მისი დანაწილებაც. მელოდიის გამოთქმა-გადმოცემის სისტემაში მოტივი ლექსიკურ ერთეულად გვევლინება, როგორც სიტყვა – სამეტყველო ფრაზაში. ის წინადადების ყველაზე მცირე ნაწილია. **მოტივები ფრაზებად ერთიანდება, ფრაზები – წინადადებებად, ხოლო წინადადებები – ერთ მთლიან მელოდიად.**

ამით მუსიკა ახლოსაა მეტყველებასთან, ვინაიდან ფორმის დიდი ნაწილები ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეულ თავებს მოგვაგონებს, ხოლო შედარებით მცირე – აბზაცებს, სხვადასხვა სიგრძის ფრაზებს, სიტყვებს...

მოტივი (იტ. Motivo – მოტივი; ლათ. motus – მოძრაობა) უმცირესი მუსიკალურ-თემატური მონაკვეთია, რომელსაც, როგორც წესი, გააჩნია ერთი მეტრული ძლიერი დრო, რომლის რიტმული საფუძველი ნარჩუნდება მისი გამეორების დროსაც. მოტივის ხანგრძლივობის პირობით ნორმად მიიჩნევა ერთი ტაქტი (თუმცა კლასიკურ მუსიკაში მთლიან ტაქტზე ნაკლები ან მეტი – ტაქტნახევარი და ორტაქტიანი მოტივებიც გვხვდება). ეს დაკავშირებულია მუსიკის ხასიათთან, მელოდიასთან, ზომასთან, რიტმულ ხანგრძლივობასთან.

5

მოსმენა: კოლ პორტერი – „Let's Do It".
შევსებული სქემა:

გ)	ა)	ბ)	დ)	ე)
შესავალი Intro	A	A_1	B	A_2

კითხვებზე პასუხები:

- ისაუბრეთ, რა განსხვავებაა ამ ორ აუდიოფრაგმენტს შორის **(სხვადასხვანაირად მთავრდება);**
- რომელი აუდიოფრაგმენტი არ ჰგავს საერთოდ დანარჩენებს? **(შესავალი);**
- როგორ არის სქემაში ეს ფრაგმენტი აღნიშნული? **(პასუხი – გ);**
- რომელი ფრაგმენტების მოტივია წარმოდგენილი ამ სანოტო ჩანაწერში? **(„Let's Do It"):**



რამდენი მოტივისგან შედგება ეს მონაკვეთი?

ა) 8; ბ) 4; გ) 5; დ) 7; ე) 6.



სწორი პასუხია – ე) 6.

„Let's Do It" სიმღერის სტრუქტურის სწორი პასუხი: 1) A-AA-A_1-B-A_2- A-A_1-B-A_2.

კითხვა: როგორ ფიქრობთ, თაობის რომელ მახასიათებელს ესადაგება ეს სიმღერა? რატომ?
პასუხი: ოპტიმისტურს.

- სიმღერაში ძალიან ხშირად მეორდება ერთი და იგივე მოტივი. როგორ აღწევს ავტორი იმას, რომ მსმენელს იგი არ სწყინდება?
- რა ინტერვალით იწყება ეს სიმღერა? **(დაღმავალი სეკუნდებით)** ამ ინტონაციას თითქოს სევდიანი ან ტრაგიკული განწყობა უნდა შემოეტანა; თქვენი აზრით, რა ეფექტს აღწევს ამ შემთხვევაში კომპოზიტორი და რის ხარჯზე? **(რიტმით).**

8 რიტმის ამოცნობა – დაასახელეთ, რომელი რიტმული ნახაზი რომელი სიმღერიდანაა (აუდიოფაილები №№43-1, 44-1, 46-1), ამოიცანით სინკოპირებული რიტმი:



– კოლ პორტერი, „Let's do it"

– ფილ მური, „Shoo Shoo Baby"

– ლ. ბელასკო, ლ. ინვეიდერი, „Rum and Coca-Cola"

9 მოსწავლეები ავსებენ ცხრილს:

№	კითხვები	ბილი ჰოლიდეი	ჯიმი დიურანტე
1	ვისი შესრულებით მოგეწონათ სიმღერა ყველაზე მეტად? ახსენით, რატომ.		
2	რომელიმე შესრულებისას დაგებადათ თუ არა დიალოგის შეგრძნება – თითქოს მომღერალი რაღაცას უზიარებს მსმენელს? როგორ აღწევს ამას შემსრულებელი? **(ინტონაციით)**		✓
3	რომელი შესრულება ჟღერს როგორც მონოლოგი, თითქოს შემ-სრულებელი მხოლოდ თავისთვის მღერის, ყურადღებას არც კი აქცევს მსმენელს? რა ხერხებით აღწევს შემსრულებელი ამ ეფექტს?	✓	
4	შემსრულებლებმა თავიანთი ჩანაფიქრის მიხედვით შეცვალეს სიმ-ღერის ფორმა. რა ფორმაა აქვს სიმღერას თითოეული მომღერლის შესრულებით? გამოსახეთ ლიტერებით ეს სტრუქტურები (მაგ., **A-B კუპლეტი-მისამღერი**).		
5	როგორ ფიქრობთ, ფორმის შეცვლით სიმღერამ დაკარგა თუ არა რაიმე? **(არ დაუკარგავს)**	–	–
6	როგორ შეიძლება შეიცვალოს სიმღერის ემოციური მუხტი?		

აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ისმენენ ჯასტინ ბიბერის სიმღერას – „Never Say Never“ (№58. „არასოდეს თქვა „არასოდეს“) და ამოიცნობენ ჟანრს – **თინეიჯერული პოპი**; საუბრობენ, რა იციან ამ მიმართულების შესახებ; ასახელებენ მათთვის ნაცნობ შემსრულებლებსა და კომპოზიციებს; საუბრობენ ამ დეკადის მუსიკალურ მახასიათებლებზე.

10 სწორად შევსებული ცხრილი:

წელი	სიმღერის ნომერი
1942	N3
1946	N1
1949	N2

კითხვებზე პასუხები:
1. „Five minutes more“ (კიდევ ხუთი წუთი) – პოპი;
2. „Lonesome blues“ (ბლუზზე შეყვარებული) – ქანთრი;
3. „Stormy weather“ („ქარიშხლიანი ამინდი“) – ჯაზი.

37-39 პოპმუსიკის ზოგიერთი მიმდინარეობების მახასიათებლები და სხვადასხვა თაობის განმასხვავებელი თვისებები

აუდიოფაილები:
ბილ ჰეილი – „Rock Around The Clock“ (№75); ელვის პრესლი – „That’s All Right Mama“; „Can’t Help Falling In Love“ (№76,77); ჩაკ ბერი – „Johnny B.Goode“ (№78); ლითლ რიჩარდი – „Tutti Frutti“ (№79); ჯიმი ჰენდრიქსი – „Purple Haze“ (№80), Backing Track (№80-1); „ბითლზები“ – „Something“ (№81); Rolling stones - „I cant get no“ (№82); Deep Purple – „Smoke On The Water“ (№83, რიტმი – №83-1).

ცნებები:
რიტმი – პუნქტირული რიტმი, სინკოპა;
მელოდია – მოტივი;
ფორმა – სხვადასხვა კუპლეტური ფორმა;
ჟანრი – პოპმუსიკის სხვადასხვა მიმართულება.

საკვანძო შეკითხვები:
• როგორ აისახება კონკრეტული ათწლეულის განწყობა პოპმუსიკაში?
• როგორ შეიძლება პოპმუსიკის კონკრეტული მიმართულების განმასხვავებელი თვისებების ამოცნობა?
• როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების გათვალისწინება საკუთარი შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად?

მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, მოსმენილი ნაწარმოებების ირგვლივ დიალოგი, მსჯელობა – რომელ მუსიკალურ მიმართულებას მიეკუთვნება, რა მახასიათებლების მიხედვით შეიძლება სტილების ამოცნობა; რომელი სტილი რა განწყობის, ემოციის გადმომცემია.

ამ გაკვეთილებზე, ძირითადად, ხდება სხვადასხვა მუსიკალური მიმართულების გაცნობა: როკენროლი, როკი, მძიმე როკი, ქანთრი, გოსპელი... მოსწავლეები ისმენენ მუსიკალურ კომპოზიციებს, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის მიხედვით ამოიცნობენ, რომელ მუსიკალურ სტილს მიეკუთვნება; გამოთქვამენ ვარაუდებს, რომელი დეკადის (ათწლეულის) მახასიათებლებს შეიძლება მიესადაგებოდეს ეს სიმღერები; მოჰყავთ არგუმენტები, წარმოადგენენ თავიანთ ვარიანტებს; აგრეთვე, მოსწავლეები გაეცნობიან შემსრულებლებს, ჯგუფებს, მათ, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს ამა თუ იმ ჟანრის განვითარებაში.

როკენროლი

1950-იან წლებში აშშ და მთელი მსოფლიო გატაცებული იყო როკენროლით, ვინაიდან ამ ჟანრს მრავალი, ფართო მსმენელისთვის საკმაოდ მიმზიდველი თვისება ჰქონდა. ეს ეხება როგორც წმინდა მუსიკალურ ასპექტს – ადვილად დასამახსოვრებელი მელოდია და შედარებით მარტივი ჰარმონია,– ისე შინაარსობრივ ასპექტსაც, რაც გამოიხატება სასიყვარულო ტექსტებსა და საცეკვაო რიტმებში. აღსანიშნავია, რომ როკენროლი ყოველთვის ასოცირდება ახალგაზრდობასთან, რაც არ არის გასაკვირი მისი განსაკუთრებული ენერგეტიკიდან გამომდინარე.

ამ პერიოდში თითქმის ყველა ჯგუფი თუ სოლო მომღერალი, როგორც აშშ-ში, ისე დიდ ბრიტანეთში, იწყებდა თავის მოღვაწეობას, როგორც როკენროლის შემსრულებელი. თანამედროვე პოპულარულ მუსიკაში როკენროლი პირველი სტილია, რომელმაც შემდგომში გან-

ვითარება განიცადა და იმ პერიოდში ყველაზე ხშირად სრულდებოდა მსოფლიოს მასშტაბით. მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგიერთი პროგრესულად განწყობილი მუსიკოსი ან ჯგუფი ცდილობდა გაერღვია როკენროლის ჩარჩოები და მის საფუძველზე შეექმნა განსხვავებული სტილის მუსიკა. უნდა ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთი, მიუხედავად ცხოვრების კონსერვატული ტრადიციებისა, ყოველთვის უსწრებდა აშშ-ს ნოვატორული იდეების ჩამოყალიბებაში.

ბლუზი – სამ აკორდზე აგებული (მაგ., მი-ლა-სი) მოტივი. მისი მარტივი სტრუქტურა გამოიყენა როკმა, რომელიც ბლუზს უფრო სწრაფი ტემპით ასრულებს.

განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ ბლუზი არის მაჟორულ-მინორული კილოს სინ-თეზი, რომელსაც აქვს თავისი კილო და რომელსაც „Blue“ კილოს უწოდებენ, რაც მდგომარეობს იმაში, რომ III, V, VII საფეხურები დადაბლებულია. ბლუზის სტილური და ჟანრული ბუნება მოგვითხრობს ადამიანის აღსარებასა და სევდაზე. ამიტომაც არის ბლუზი სევდიანი.

როკმუსიკა – პოპულარული მუსიკის სხვადასხვა მიმართულების საერთო დასახელებაა. თანა-მედროვე როკმუსიკის მრავლისმომცველობამ მუსიკალური ხელოვნების ისეთ განსაკუთრებულ და მრავალფეროვან ფორმად აქცია ის, რომელსაც უნარი აქვს, გაითავისოს ბლუზის, ფოლკის, ლათინური რიტმების, ჯაზისა და თვით კლასიკური მუსიკის ელემენტებიც კი.

როკმუსიკის მიმზიდველობის ძირითადი ფაქტორი სწორედ ის ემოციური სიმდიდრეა, რაც ასე იტაცებს მსმენელს. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებში გამოხატულია პირადი განცდები, გულისწყრომა და თავისუფლებისკენ ლტოლვის წყურვილი. მიუხედავად იმისა, რომ სიმ-ღერების ტექსტებში დროდადრო გამოკრთება ხოლმე სევდა და უკმაყოფილება, მისი რიტმი მაინც ყოველთვის ხალისიანი და ოპტიმისტურია.

„ჩვენ იშვიათად ვცდილობთ აუხსნელ განცდებში ჩაღრმავებას, რადგანაც საკუთარ თავს მუდმივად გავურბივართ“, – წერდა თომას სტერნზ ელიოტი. ლეგენდარული პოეტის ეს ფრაზა იდეალურად გამოხატავს პოსტროკის ფილოსოფიას. ამ ექსპერიმენტული მიმდინარეობის წარ-მომადგენლები სწორედ სიტყვებით ცდილობენ შეგრძნებების მუსიკალური ენით გადმოცემას. ალბათ, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ როკისთვის დამახასიათებელი რიტმულობისა და ტრადიციული ინსტრუმენტული სტრუქტურის ნაცვლად, აქ აქცენტი ბგერასა და ტექსტუ-რაზე კეთდება.

როკმუსიკის ფესვები 1940 და 1950-იანების როკენროლიდან მოდის. როკმუსიკაზე აგრეთვე დიდი გავლენა იქონია R&B და ქანთრი მუსიკამ.

როკის ძირითადი ინსტრუმენტებია ელექტროგიტარა, ბასგიტარა და დრამი (დასარტყამი).

რიტმ-ენდ-ბლუზი (Rhythm and blues) R&B – პოპულარული აფროამერიკული მუსი-კალური სტილი. წარმოიშვა 1940-იან წლებში. ეს ტერმინი თავდაპირველად გამოიყენებოდა აფროამერიკელთა მუსიკალური ჩანაწერების დასახასიათებლად. თანამედროვე R&B აერთი-ანებს სოულის, ფანკის, საცეკვაო მუსიკისა და ჰიპ-ჰოპის ელემენტებს.

1950-იანი წლების მიწურულს ბრიტანელ მუსიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა შემოიტანა როკენროლისგან განსხვავებული ელემენტები – რილიური ბალადა და ეროვნულ ე. წ. „Sciffle“-ტრადიციებზე აგებული არაორდინარული კომპოზიციების კულტურა („სკიფლი“ – ხალხური მუსიკის ტიპია, რომელიც შეიცავს ინგლისური და ამერიკული ფოლკმუსიკის ელემენტებს. ინსტრუმენტებად ძირითადად გამოიყენება გიტარა და ტუჩის გარმონი. სკიფლის ყველაზე ცნობილ შემსრულებლად ითვლება შოტლანდიელი მომღერალი ენტონი ჯეიმზ „ლონი“ დო-ნეგალი. სკიფლი აშშ-ში გავრცელდა 1990-იანი წლებიდან.

ამ მიმდინარეობას „ადრეული ბრიტანული როკის“ (Early british rock) სახელი მიენიჭა და მათ ნიადაგი მოუმზადა როკმუსიკის, როგორც მიმდინარეობის, ჩამოყალიბებას. ამ მიმართულების წარმომადგენლები თავის შემოქმედებაში იყენებდნენ როგორც რიტმ-ანდ-ბლუზისა (R&B) და როკენროლის მუსიკალურ მიღწევებს, ისე საკუთარ, ეროვნულ ელემენტებს, რაც საკმაოდ მოულოდნელ ეფექტს იძლეოდა. მუსიკის ტემპები ვარირებს ნელი ბალადიდან სწრაფ ცეკ-ვამდე, საკრავიერი თანახლება საკმაოდ მძიმეა, ვოკალში თანდათანობით ჩნდება როკისთვის დამახასიათებელი „ხრინწიანობა“, შემსრულებელთა ქცევა სცენაზე უფრო და უფრო ნერვულ-აგრესიული ხდება. ადრეული ბრიტანული როკის მწვერვალი – ჯგუფების „The Beatles“ და „The Rolling Stones“ შემოქმედებაა.

ამავდროულად, აშშ-ს ახალგაზრდობა ასევე იმყოფებოდა ახალი ტენდეციების ძიებაში, რის შედეგადაც მივიღეთ საინტერესო მიმდინარეობა, სადაც მუსიკის ტემპი საგრძნობლად შენელდა, ინსტრუმენტული თანხლება დამძიმდა, ხოლო ვოკალური პარტია წინა პლანზე წამოიწია და ნაკლებად ჟღერადი გახდა. ვინაიდან, მუსიკოსები ამ მიმართულებით საკუთარ ექსპერიმენტებს მეტწილად მშობლების ავტოფარეხებში ატარებდნენ, მუსიკის ეს მიმართულება „ავტოფარეხის როკის“ (Garage rock) სახელითაა ცნობილი.

„როლინგ სტოუნზი“ 1962 წელს ჩამოყალიბდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რკინიგზის სადგურზე შემთხვევით ერთმანეთს შეხვდნენ მიკ ჯაგერი და კიტ რიჩარდსი – კლასელები, რომელთაც ერთმანეთი სკოლის დამთავრების შემდეგ დიდი ხანი არ ჰყავდათ ნანახი. ძველმა მეგობრებმა მალე აღმოაჩინეს, რომ ორივენი მუსიკოსობდნენ და ორივეს ერთნაირი მუსიკა უყვარდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის.

მიკ ჯაგერი (ვოკალი), კიტ რიჩარდსი (გიტარა, ვოკალი), ბრაიან ჯონსი (გიტარა), ბილ ვაიმენი (ბასგიტარა), ჩარლი უოტსი (დასარტყამი ინსტრუმენტები) – აი, ესენი იყვნენ „როლინგ სტოუნზი“, რაც ქართულად ალბათ შეიძლება ვიგინდარებად ვთარგმნოთ. „ვიგინდარებს“ თითქოსდა წარმატების მიღწევის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ისინი არ იყვნენ ვირტუოზი შემსრულებლები, მათ ვოკალისტს კი უჩვეულოდ ბოხი ხმა ჰქონდა (ბავშვობაში ჯაგერმა პირის ტრავმა მიიღო, რამაც მას უცნაური ხმა და დიდი ტუჩები დაუტოვა). სიმღერებს საერთოდ არ წერდნენ და სხვების ჰიტებს მღეროდნენ, მათ შორის – „ბითლზის“ ჰიტებს (მათ არასოდეს რცხვენოდათ იმის აღიარება, რომ სხვებისგან სწავლობდნენ).

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ისინი მაინც გახდნენ პოპულარულები. მალე საკუთარი სიმღერების წერაც დაიწყეს და 1965 წელს უკვე მტკიცედ დაიმკვიდრეს ნომერ მეორის პოზიცია (ცხადია, „ბითლზების“ შემდეგ).

რა იყო ამ წარმატების საიდუმლო? რატომ გახდნენ ასეთი პოპულარული „ვიგინდარები“? გასაგებია, რომ მათ, ალბათ, ჰქონდათ მუსიკალური ნიჭი და ინტელექტი. მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამეა – „როლინგები“ არ იბოღმებოდნენ იმის გამო, რომ მათზე წინ „ბითლზს“ აყენებდნენ და მათი ამოცანა არ იყო ეჯობნათ „ბითლზისათვის“. ამავე დროს, ისინი აღიარებდნენ, რომ მზად იყვნენ ესწავლათ ყველასგან. ისინი სწავლობდნენ და იზრდებოდნენ. მათ ყველაფერი გამოიარეს. ადრეულ ასაკში (ჯაგერსა და რიჩარდს 1965 წელს სულ რაღაც 22 წელი შეუსრულდათ) იგემეს პოპულარობა, გადაღლის გამო საავადმყოფოში მოხვდნენ, ნარკოტიკების გამო კი – ცოტა ხნით ციხეშიც. ყველაფრის მიუხედავად, „როლინგები“ სწრაფი ტემპით მიიწევდნენ წინ, ყოველი ცდუნებისა და განსაცდელის შემდეგ კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ და კიდევ უფრო კარგ მუსიკას წერდნენ, ისინი ზრდას არ წყვეტდნენ.

„როლინგ სტოუნზი“ დღემდე არსებობს. იგი 1986 წელს დაიშალა, მაგრამ სამ წელიწადში ისევ შეიკრიბა და დღემდე სცენაზეა. ჯგუფის ლიდერი მიკ ჯაგერი 70 წელს გადასცდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სცენაზე შეუჩერებლად მღერის და ყოველ კონცერტზე საშუალოდ 30 კილომეტრს დარბის. დღემდე ბევრი კითხულობს, თუ როგორ მოხდა, რომ ეს ჯგუფი 50 წელიწადზე მეტია სცენაზე და მათ კონცერტებზე, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდება. მათ უსმენენ არა მხოლოდ 60-70-იან წლებში დაბადებულები, არამედ მოზარდებიც.

3 მოსწავლეები ისმენენ რიტმულ ფიგურაციებს Deep Purple-ისა (83-2) და Rolling stones-ს (82) კომპოზიციებიდან და სანოტო ჩანაწერზე ამოიცნობენ Deep Purple-ს კომპოზიციის – „Smoke On The Water“-ის რიტმს.

40-42 პოპმუსიკის ზეგავლენა თანამედროვე აკადემიურ მუსიკაზე

აუდიოჩანაწერები:
რის ჩატემი – „An Angel Moves Too Fast To See For“ (№84); ლუი ანდრიესენი – „De Sijl“ (№85); ჯონ ზორნი – „Shaolin Bossa“ (№86); ჯერი ლი ლუისი – „Roll Over...“ (№87); ბენ სელვინი – „I Wanna Be Loved By You“ (№88); ჰენრი ბრანტი – „Inside Track“ (№89); Blackfield – „Once“ (№90); ანტონიო კარლოს ჟობიმი – „Maditation“ (№91); Bossa nova – რიტმი (31-1); გლენ ბრანკა, „Bad Smell“ (№92); „Ascension 3“ (№93); „Symphony N2. I ნაწ.“ (№94); „Lesson 1“ (№95); „Light Field“ (96); ჯგუფი „ლედ ზეპელინი“ – „black Dog“ (97); ჯონ ოსვალდი – „Plexure“ (98); რეი ჩარლზი და ჯონი კეში – „Why Me Lord“ (№103); მაჰალია ჯექსონი – „Oh Happy Day“ (№104); კარლ ჯენკინს ვალიელი – რეკვიემი „დიეს ირე“ (105); კურანტის ორი ვარიანტი (106, 106-1), რიტმები (106-2, 106-3, 106-4); ედვინ ჰაუკინსი – „Oh Happy Day“ (№107).
ვიდეო: ედვინ ჰაუკინსი – „Oh Happy Day“, ასრ. ენტონი ბრაუნი და შერეული გუნდი (№4).
ცნებები:
რიტმი – რიტმული ფიგურაციები; ეთნიკური რიტმი;
ფორმა – კუპლეტური ფორმა;
ჟანრი – ინსტრუმენტული მუსიკა, ვოკალური ჟანრები, ბოსა-ნოვა, მძიმე როკი, გოსპელი.
საკვანძო შეკითხვები:
• როგორ იყენებენ აკადემიური მუსიკის კომპოზიტორები პოპულარული მუსიკის ხერხებს?
• როგორ ამოვიცნო აკადემიური მუსიკის მაგალითებში პოპმუსიკის მახასიათებლები?
• როგორ გამოვიყენო პოპმუსიკის გამომსახველობითი ხერხები საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად?

მიზანი: როკი, გოსპელი; მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენით მოსწავლეები ამოიცნობენ პოპმუსიკის მახასიათებლებს, ისაუბრებენ ჟანრის გამომსახველობით ხერხებზე; განსაზღვრავენ, არსებობს თუ არა ზღვარი პოპმუსიკასა და აკადემიურ მუსიკას შორის; სანოტო ჩანაწერზე ამოიცნობენ ინტერვალებს; მოამზადებენ კომპლექსურ დავალებას.

1 მოსწავლეები ისმენენ კომპოზიციებს პოპმუსიკისა და აკადემიური მუსიკის ნიმუშებიდან, განსაზღვრავენ, რომელი კომპოზიცია მიეკუთვნება პოპს, რომელი – აკადემიურ მუსიკას:
1. რის ჩატემი – „An Angel Moves Too Fast To See“ (აკად.);
2. ლუი ანდრიესენი – „De Sijl“ (აკად);
3. ჯონ ზორნი – „Shaolin Bossa“ (აკად);
4. ჯერი ლი ლუისი – „Roll Over...“ (პოპი);
5. ბენ სელვინი – „I Wanna Be Loved By You“ (პოპი);
6. ჰენრი ბრანტი – „Inside Track“ (აკად);
7. Blackfield – „Once“ (როკი);
8. ანტონიო კარლოს ჟობიმი – „Maditation“ (პოპი).

2 სწორად შევსებული ცხრილი:

№	აკადემიური მუსიკა	პოპმუსიკა
1	3	8
2	1	7
3	6	5
4	2	4

მეორე აქტივობაში დასმული კითხვები წინარე ცოდნის გააქტიურებას ემსახურება.
გარდა ამისა, ეს კითხვები საშუალებას აძლევს მოსწავლეს, კიდევ ერთხელ შეამოწმოს შესრულებული დავალება. ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მან შეიძლება რაიმე კორექტურა შეიტანოს თავის ნამუშევარში.

სანოტო ჩანაწერზე მოსმენილი ნაწარმოებებიდან რიტმის ამოცნობა (პასუხი: №1 – რის ჩატემი – „An Angel Moves Too Fast To See“).

3 ამ აქტივობაში მოსმენილ რიტმულ ფიგურაციაში მოსწავლეები ამოიცნობენ ლათინოამერიკულ ინტონაციას.
მოსმენა: Bossa nova – რიტმი (31-1).

4 დავალებაში მოსწავლეს ეძლევა საშუალება, ავანგარდისტი კომპოზიტორის, გლენ ბრანკას, მუსიკის მოკლე ნაწყვეტების მაგალითებზე უფრო დეტალურად გაარჩიოს, თუ როგორ იყენებენ აკადემიურ მუსიკაში პოპმუსიკის გამომსახველობით ხერხებს. ამავდროულად, მათ ეძლევათ საშუალება, გაეცნონ როკმუსიკის კიდევ ერთ მიმართულებას – მძიმე როკს. ბოლოს ისმენენ ლედ ზეპელინის კომპოზიციას და ამავე ცხრილის სვეტში აღნიშნავენ, მძიმე როკის რომელი ელემენტებია გამოყენებული ამ კომპოზიციაში.

5 შევსებული ცხრილის ნიმუში:

ფრაგმენტის №	მძიმე როკის მუსიკალური ელემენტები	Led Zeppelin „Black Dog“
1	დ)	
2	ა)	+
3	გ)	+
4	ბ)	+
5	დ)	ვოკალური პარტია

კითხვა 107-ე გვერდზე:
➢ ე. წ. მძიმე როკის რომელი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გლენ ბრანკას მუსიკაში?
პასუხი: ამ ფრაგმენტებში არ არის წარმოდგენილი ვოკალისტის პარტია.

მოსწავლის წიგნში ყოველი ნაწარმოების მოსმენის შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს, რომლებიც სხვადასხვა მიზანს ემსახურება და მოსწავლეთა პასუხებიც ინდივიდუალურია.

მიზანი:

• კითხვები ამახვილებს მოსწავლის ყურადღებას იმაზე, თუ რა ეფექტს აღწევს კომპოზიტორი როკმუსიკის ელემენტების გამოყენებით;

• ამახვილებს მოსწავლის ყურადღებას იმაზე, რომ ერთი და იმავე მუსიკალურ-გამომსახველობითი ელემენტების გამოყენება განსხვავებულ ეფექტს იძლევა და მოსმენილ მუსიკაზე დაკვირვებით, მოსწავლე ადარებს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ერთი და იმავე მუსიკალური ხერხების გამოყენებამ განწყობა.

აქტივობის კითხვების მიზანია, მოსწავლემ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ზღვარი პოპმუსიკასა და აკადემიურ მუსიკას შორის.

6 შევსებული ცხრილი:

	Plexure	პოპ მუსიკა
ჟანრი	გაურკვეველი ჟანრის კომპოზიცია (20 წუთი)	სიმღერა (2-3 წუთი)
ფორმა	კოლაჟი	კუპლეტი +მისამღერი
მეტრი/რიტმი	არეული რიტმო-ფორმულები	მკაფიო, უცვლელი რიტმული ფორმულა
მელოდია	არ არის	მარტივ ინტონაციურ ფორმულებზე აგებული

10 121-ე გვერდზე ნოტირებულ რიტმულ ფიგურაციებში მოსწავლეები კურანტას რიტმს ამოიცნობენ ბ) მაგალითში.

43-44 ქართული პოპულარული მუსიკა გუშინ და დღეს

აუდიოფაილები:
„ყვავილების მეუფე“ („ყვავილების ქვეყანა“) ჯანო ბაგრატიონის შესრულებით (№59); გეპეის კვარტეტი – „აიმ მთაზედა“ (№60); გიული ჩოხელი – „მოგონება“ (№61); სულიკო კოროშინაძე – „მე თბილისელი ბიჭი ვარ“ (№62), „ყაყაჩო“ (№63); ანსამბლი „ორერა“ – „მთები“ (№64); ბ. კვერნაძე – „ბიჭიკოს სიმღერა“ (65); ინოლა გურგულია – „მოვალ“ (№66), „ძეგლად გადმომეფარე“ (№67); ანსამბლი „75“ – „ქარი“ (№68); ანსამბლი „ივერია“ – „სიმღერა საქართველოზე“ (№69); რევაზ ლაღიძე – „თოვლის ფიფქი“ (№70; 70-1 ფონოგრამა); ჯგუფი „მგზავრები“ – „გაიღვიძა ბუნებამ“ (№71); გ. ყანჩელი – „საით მიდიხარ“ (№72), „შენ ერთადერთი“ (№73); ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაითი“ – „ახ, ტურფავ, ტურფავ“ (№74).
ვიდეო:
ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაითი“ – „ახ, ტურფავ, ტურფავ“ (№2).

მიზანი: ქართული პოპმუსიკის განვითარების გზა, სხვადასხვა თაობის მუსიკალური ნიმუშების გაცნობა, მსჯელობა, დიალოგი მოსმენილი ნაწარმოებების მსგავსი და განმასხვავებელი მახასიათებლების განსაზღვრით.

გარეთ თოვს და გულში მაინც დარია,
შენთან მოვალ, შენკენ მომიხარია,
თოვლის ფიფქი თავნება, ტუჩებზე რომ მადნება,
შენი კოცნა მგონია.

მისამღერი
დილა ოდელა, დილა ოდელა, ნანა,
დილა ოდელა, დილა ოდელა, ნანა,
დილა ოდელა, ნანინა, დილა ოდელა, ნანინა,
აბა, ოდელა, დელი ოდელა.



თოვლი, როგორც ზამბახების ფანტელი,
ზედ მეყრება ციდან, მაგრამ რამდენი!
თოვლის ფიფქი თავნება, ტუჩებზე რომ მადნება,
როგორც შენი ამბორი,
თოვლის ფიფქი თავნება, ტუჩებზე რომ მადნება,
როგორც შენი ამბორი.

მისამღერი
დილა ოდელა, დილა ოდელა, ნანა...
გარეთ თოვს და გულში მაინც დარია,
შენთან მოვალ, შენკენ მომიხარია.

ქართული პოპულარული მუსიკის ისტორიის სათავეებთან

წყარო: https://popmusic.ge/article/2328-sandro-tskitishvili-kartuli-popularuli-musikis-istoria-dasacqisi-da-1950-iani-clebi – *სანდრო ცქიტიშვილი:* ***ქართული პოპულარული მუსიკის ისტორია.***

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მუსიკა დაახლოებით იმ სცენარით განვითარდა, რომლითაც დანარჩენი მსოფლიოს დიდ ნაწილში – ეროვნული კოლორიტი იმ დროისთვის მოდურ საერთაშორისო სტილებსა და მიდგომებს შეერწყა და შედეგად მოგვცა ნამუშევრები, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართული ფოლკლორული ელემენტების წყალობით, თვითმყოფადი იყო და, მეორე მხრივ, ახალ მიმდინარეობებსაც, ასე თუ ისე, მხარს უბამდა.

დასავლურმა პოპულარულმა მუსიკამ, კერძოდ კი ჯაზმა, საბჭოთა კავშირში შემოღწევა ჯერ კიდევ ოციანი წლების შუა ხანებში დაიწყო. თუმცა, ეს გავლენები ძირითადად რუსეთის დიდ ქალაქებში კონცენტრირდებოდა. მართალია, თბილისის ოპერის თეატრის სოლისტმა, ვლადიმერ კანდელაკმა, მოსკოვში გადაბარგების შემდეგ, 1933 წელს ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ჯაზ-ორკესტრი Джаз-Гол დააფუძნა და მას წლების განმავლობაშიც ხელმძღვანელობდა, მაგრამ საქართველოში მსგავსი ფორმაცია ნომინალურად მხოლოდ ოცდაათიანების ბოლოს გაჩნდა. ეს იყო საქართველოს სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრი **რევაზ გაბიჩვაძის** ხელმძღვანელობით.

ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში ჯაზი იშვიათად, მაგრამ მაინც იკვრებოდა – ძირითადად, არაოფიციალურად, ზღვისპირა კურორტებზე. ასევე იხსენებენ, რომ 1945-ში, ომის დასრულების დღეს, თბილისში, ჯაზ-ტრიომ ერთსაათიანი კონცერტი გამართა.

თუმცა, ქართული ჯაზისთვის მთავარ ათვლის წერტილად უფროსი ჯანო ბაგრატიონის მიერ 1945-46 წლებში ჯაზ-ორკესტრის ჩამოყალიბება ითვლება, რომლის მუსიკალური ხელმძღვანელი რამდენიმე წლის შემდეგ იოსებ (სოსო) ტუღუში გახდა. ეს ორკესტრი ძირითადად მომღერლებს უწევდა აკომპანირებას და დამოუკიდებლად ჩანაწერები არასოდეს გამოუცია.

მოისმინეთ უფროსი ჯანო ბაგრატიონის მიერ შესრულებული სიმღერა – „ყვავილების მეუფე“, რომელიც სპეციალურად ამ ჯაზ-ორკესტრისთვის დაიწერა.

ამ სიმღერას სახეცვლილი ტექსტით ვიცნობთ, როგორც „ყვავილების ქვეყანას“. ჩანაწერი, სავარაუდოდ, ორმოცდაათიან ან სამოციან წლებშია გაკეთებული, როდესაც „ყვავილების მეუფე“ ჯერ კიდევ არ იყო „ყვავილების ქვეყანა“.

საბჭოთა პერიოდში, აუდიოჩანაწერებთან ერთად, ქართული მუსიკის პოპულარიზების უმნიშვნელოვანესი საშუალება კინემატოგრაფი იყო. ფილმებს ერთდროულად მილიონობით ადამიანი უყურებდა, ისინი ტელევიზიით გადაიცემოდა, მათი შეძენა და ტირაჟირება საჭირო არ იყო და ხშირად ქართული კინო აუდიტორიას რესპუბლიკის გარეთაც პოულობდა. ასე რომ, ფილმში გაჟღერებული მუსიკის შემსრულებლები ხშირად ერთ დღეში ხდებოდნენ ცნობილი.

მაგალითად, ორმოციანი წლების ბოლოსა და ორმოცდაათიანების მეორე ნახევარში გადაღებულმა ფილმებმა „ბედნიერი შეხვედრა“ და „საბუდარელი ჭაბუკი“, მთელ საქართველოს გააცნო ვალერიან ძაგნიძისა და შალვა ჩხიკვაძის 1938 წელს ჩამოყალიბებული დუეტი.

ამ დუეტის ორხმიანმა ვოკალურმა ჰარმონიამ და ორ გიტარაზე შესრულების სხარტმა, ჯანგო რეინჰარდტისეულმა მანერამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მაშინდელ ქართულ მუსიკაში. იმ დროს პოპულარული კომპოზიციების მათეული ინტერპრეტაციები და ცნობილ მელოდიებზე შეთხზული ფელეტონები ქართული სიმღერის კლასიკად იქცა და დღესაც კი არ ჟღერს მოძველებულად.

სწორედ ძაგნიძისა და ჩხიკვაძის წყვილმა მისცა მაგალითი მომდევნო ათწლეულებში ჩამოყალიბებულ ბევრ მსგავს აკუსტიკური ფორმატის დუეტსა და ტრიოს.

გამოჩნდნენ ახალი მუსიკოსები (ინოლა გურგულია, მარეხ გოძიაშვილი, ედუარდ სეფაშვილი და სხვ.), რომლებიც ამ სასიმღერო ფორმატს გაჰყვნენ და ის თანამედროვე ქართული მუსიკის ერთ-ერთ მთავარ განშტოებად აქციეს.

ორმოცდაათიანების დასაწყისში ჩამოყალიბება დაიწყო ქართულმა საესტრადო ჟღერადობამ. ფოლკლორისა და რომანსის ფესვებიდან აღმოცენებულ პოპმუსიკაში ნელ-ნელა სვინგის მსუბუქი გავლენა შემოიპარა და ეს შერწყმა იმ პერიოდის მუსიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი გახდა.

1954 წელს გურამ ბზვანელმა შექმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (გეპეის) კვარტეტი, რომელიც, ძირითადად, იოსებ ტუღუშის ჯაზ-ორკესტრთან თანამშრომლობდა და თბილისში ძალიან პოპულარული გახდა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს საშემსრულებლო კარიერა დაიწყეს გიული ჩოხელმა, სულიკო კოროშინაძემ და ლილი გეგელიამ. ისინი ძირითადად პროფესიონალი კომპოზიტორების – რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძის, გოგი ცაბაძისა და სხვათა სიმღერებს ასრულებდნენ. მათ უმაღლესი მუსიკალური განათლება კონსერვატორიაში ჰქონდათ მიღებული და კლასიკური ნაწარმოებების შექმნას საესტრადო სიმღერების წერასაც უთავსებდნენ ხოლმე.

რომ შევაჯამოთ, 40-იან წლებში გაჩნდა ქართული პოპულარული მუსიკის ჩანასახი, 50-იანებში კი ჩამოყალიბდა მისი ჟღერადობის ძირითადი შტრიხები, რომელიც, ძირითადად, ორ მიმართულებას მოიცავდა:

• პირველი იყო საორკესტრო პოპულარული მუსიკა, ჯაზის სულ უფრო და უფრო მზარდი გავლენით, რის საფუძველზეც შემდეგ ქართული საესტრადო პოპის ჟღერადობა ჩამოყალიბდა.

• მეორე კი – აკუსტიკური, გიტარებზე შესრულებული მუსიკა, რომელიც უფრო რომანსიდან მოდიოდა (ზოგჯერ ფოლკლორის ოდნავი გავლენით) და დუეტის ან ტრიოს ფორმატში სრულდებოდა.

ეს პირველადი აკუსტიკური ფორმა, ერთი მხრივ, უცვლელი დარჩა ათწლეულების განმავლობაში, ხოლო მეორე მხრივ, ე. წ. ქალაქური მუსიკის შემსრულებელი აკუსტიკური ტრიოებისა და კვარტეტების წინამორბედი გახდა. მან ასევე შეამზადა იდეები 60-70-იან წლებში გამოჩენილი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისთვის, რამაც იმდროინდელ ქართულ „ოფიციალურ“ როკ-მუსიკას დაუდო საფუძველი.

მოსწავლე ფასდება			
ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს; ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს.	პასუხები არაამომწურავია, ვერ ამოიცნობს ნაწარმოებში მუსიკალურ ელემენტებს, ამ ელემენტებით მიღწეულ ემოციურ მუხტს და ვერ უკავშირებს ვერც ერთ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	განსაზღვრავს თითოეული მახასიათებლის როლს მხატვრული სახის შექმნაში; პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	პასუხები დამაჯერებელია, ასაბუთებს, მოჰყავს არგუმენტები; ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში.
ქულა 0-1	2-4	5-7	8-10

გთავაზობთ კომპლექსური დავალების ნიმუშებს, რომლებსაც მოსწავლეები წარადგენენ შემაჯამებელ გაკვეთილზე:

მიზანი: მოსწავლე ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში; წარმოადგენს განსხვავებულ კონტექსტს და მოჰყავს ამ ინტერპრეტაციის მართებულობის არგუმენტები.

I ვარიანტი:

წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეები მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას და მოამზადებენ პროექტს: „თანამედროვე უცხოური და ქართული პოპმუსიკა გუშინ და დღეს“, თანდართული აუდიო- და ვიდეომასალით.

გაითვალისწინეთ კითხვებზე გაცემული თქვენი პასუხები და დახაზეთ ცხრილი. პრეზენტაციაზე ახსენით, რით იხელმძღვანელეთ ცხრილის შედგენისას, რა შეგძინათ ამ დავალებაზე მუშაობამ.

ქვემოთ მოცემული გვაქვს სავარაუდო ცხრილის ნიმუში, თუმცა მოზარდებმა შეიძლება სულ სხვანაირი ცხრილი დახაზონ. პროექტის წარდგენისას ახსნიან, რის მიხედვით შეადგინეს ამგვარი ცხრილი, რატომ აარჩიეს ესა თუ ის კონკრეტული ფრაგმენტი (სტილის, მელოდიის, რიტმის, ჰარმონიის, ჟანრის, ენის, შექმნის პერიოდის მახასიათებლებით, საყვარელი ჯგუფის/მომღერლის/კომპოზიტორის მიმართ სიმპათიის თუ სხვა რამ მიზეზით).

მუსიკალური ფრაგმენტი	ჟანრი	დეკადა	მუსიკალური მახასიათებლები	ფრაგმენტის სტრუქტურა

II ვარიანტი

მოსწავლეები შემაჯამებელ გაკვეთილზე ისმენენ რამდენიმე კომპოზიციის მოკლე ფრაგმენტებს ჩვენ მიერ შემოთავაზებული II თავის ელექტრონული რესურსებიდან (შეგიძლიათ, შეამციროთ მოსასმენი მასალა), მაგალითად:

1. ტეილორ სვიფტი – ME! (№108) (დისკო);
2. ედვინ ჰაუკინსი – ასრ. ენტონი ბრაუნი და გუნდი – „Oh Happy Day“ (107) (გოსპელი);
3. ადელი – Someone Like You (№109) (პოპი);
4. ჯგუფი Queen – We Will Rock You (№110) (როკი);
5. ბილ ჰეილი – Rock Around The Clock (№75) (როკენროლი);
6. ელლა ფიცჯერალდი და ლუის არმსტრონგი – Summertime (№16) (ჯაზი);
7. ემინემი - Lose Yourself (I თავის ელ.რესურსი – №41) (რეპი);
8. ლუჩანო პავაროტი და ჯეიმს ბრაუნი – It’s A Man’s Man’s Man’s World (№117 – სინთეზი);
9. Rednex - Cotton Eye Joe (№116) (ქანთრი).

შეფასების რუბრიკა. მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა

შედეგი	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა
ჩართულობის ხარისხი	არ ერთვება.	პერიოდულად მონაწილეობს საკლასო აქტივობებში.	ეპიზოდურად მონაწილეობს დიალოგში.	სისტემატურადაა ჩართული საგაკვეთილო აქტივობებში.	აქტიურია დიალოგის, მსჯელობის, მოსმენილი ნაწარმოებების განხილვისას.
აზრის გამოთქმა	ნათლად ვერ აყალიბებს სათქმელს; იშვიათად ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს.	ხანდახან ერთვება დიალოგში; ვერ ხსნის, რა ასოციაციას ან რა განცდას იწვევს მასში მოსმენილი მუსიკა.	პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს; მოსმენილ ნაწარმოებებში ამოიცნობს მუსიკალური ენის ცალკეულ ელემენტებს.	ხსნის, როგორ იყენებენ აკადემიური მუსიკის კომპოზიტორები პოპულარული მუსიკის ხერხებს.	ამოიცნობს აკადემიური მუსიკის მაგალითებში პოპმუსიკის მახასიათებლებს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები, წარმოადგენს საკუთარ ინტერპრეტაციებს.

45 შემაჯამებელი გაკვეთილი

მიზანი: შეძენილი ცოდნის შემოწმება.

1. მოსწავლეები აკეთებენ კომპლექსური დავალებების პრეზენტაციას.
2. მოსწავლეები მოისმენენ ადელის კომპოზიციას და ადგენენ სიმღერის სტრუქტურას.

ადელი – Someone Like You – სიმღერის სტრუქტურა ასეთ სახეს მიიღებს:

A — b — B — A — b — B — b — B

შეფასების რუბრიკა:

კლასი: მოსწავლის სახელი, გვარი:		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	**კომენტარი**	**ქულა**
ვერც ერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს; ვერ ხსნის, რა ასოციაციას ან რა განცდას იწვევს მასში ეს მუსიკა.		0-1
ამოიცნობს ცალკეულ რიტმულ ფიგურაციას, მელოდიურ სვლას, მაგრამ არ შეუძლია იმ ემოციური ეფექტის აღწერა, რომელიც ამ მუსიკალური ელემენტებით იქნა მიღწეული.		2-3
მუსიკაში გარკვეული მხატვრული სახის შექმნაში ადგენს მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენების კანონზომიერებებს; წარმოადგენს მუსიკალური ნაწარმოების საკუთარ ინტერპრეტაციას და მუსიკალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები ამ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ.		8-10

განმავითარებელი შეფასება	ქულა მაქს. 5	განმსაზღვრელი შეფასება	ქულა მაქს. 5
• შეუძლია მუსიკალური ენის სხვადასხვა ელემენტი დაახარისხოს შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიხედვით. • ამოიცნობს მუსიკაში რამდენიმე შემოთავაზებული ინტერპრეტაციის მახასიათებლებს, განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში. სთავაზობს განსხვავებულ კონტექსტს და მოჰყავს ამ ინტერპრეტაციის მართებულობის არგუმენტები. • ამოიცნობს პოპმუსიკის კონკრეტული მიმართულების განმასხვავებელ ნიშნებს; წერილობით ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.	2 2 1	• ამოიცნობს მუსიკის ჟანრებს, მიმდინარეობებს, ახასიათებს შესრულების სტილს და წარადგენს სათანადო არგუმენტებს, და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს; • ამოიცნობს სხვადასხვა პერიოდის მუსიკას, თაობების ინტერესებს და მოსმენილ კომპოზიციებს მიუსადაგებს შესაბამისი დეკადის აღწერილობას; • აკადემიური მუსიკის მაგალითებში ამოიცნობს პოპმუსიკის მახასიათებლებს; • მოსმენილი მუსიკის მაგალითებზე ამოიცნობს პოპმუსიკის მახასიათებლებს აკადემიურ მუსიკაში.	1 1 2 1

მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში

შედეგი	ქულა				
	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
აქტიურად ჩართულია საგაკვეთილო საქმიანობაში.	არ არის ჩართული.	ზოგჯერ ერთვება.	ეპიზოდურად ერთვება.	სისტემატურად ერთვება.	აქტიურიად ერთვება ყველა საგაკვეთილო საქმიანობაში.
პასუხობს დასმულ კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	ვერ გამოხატავს საკუთარ გრძნობებს მუს. ფრაგმენტის მოსმენისას.	პერიოდულად ერთვება დიალოგში.	გამოხატავს თავის ემოციას, მაგრამ ვერ უკავშირებს მუსიკალურ გზავნილს.	სისტემატურად ერთვება საკლასო საქმიანობაში.	გამოთქვამს საკუთარ აზრს და ასაბუთებს.
ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს; ასაბუთებს საკუთარ აზრს; წარმოადგენს მუსიკალური ნაწარმოების საკუთარ ინტერპრეტაციას და მუსიკალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები.	ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს.	მუსიკალური ენის ელემენტებით ამოიცნობს მუსიკის შინაარსს, მაგრამ ვერ მოჰყავს არგუმენტები.	ეპიზოდურად ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები.	ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს; მონაწილეობს დიალოგში, გამოხატავს საკუთარ ემოციას.	სისტემატურად ჩართულია საკლასო აქტივობებში, ასაბუთებს საკუთარ აზრს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები.

მესამე თავი – მარტოობა და ერთობა მუსიკაში (მატრიცა)

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში
თემა: მარტოობა და ერთობა მუსიკაში

საათების სავარაუდო რაოდენობა – 7

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- მუსიკის საშუალებით მარტოობით გამოწვეული განცდების გადმოცემა შეიძლება;
- არსებობს მარტოობის სხვადასხვა სახეობა, რომელთა განწყობის გადმოცემა მუსიკის განსხვავებულ გამომსახველობით ხერხებს საჭიროებს;
- მარტოობის სხვადასხვა სახეობის გადმოსაცემად კომპოზიტორები მუსიკის სხვადასხვა ჟანრს მიმართავენ;
- მუსიკა არის მარტოობით გამოწვეული უარყოფითი (ნეგატიური) განწყობის დაძლევის ქმედითი საშუალება;
- მუსიკას ადამიანების გაერთიანება შეუძლია;
- ადამიანები სხვადასხვა მიზნით ერთიანდებიან, რაც მუსიკის ხასიათს, მხატვრულ გამომსახველობით ხერხებს განაპირობებს;
- ადამიანების გაერთიანების მიზნის გადმოსაცემად კომპოზიტორები მუსიკის გარკვეულ ჟანრებს მიმართავენ.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები

1. მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები;
2. მუსიკაში ერთიანობის გამომხატველი გამომსახველობითი ხერხები.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

1. **რიტმი** – რიტმული ფიგურაციები;
2. **მელოდია** – მელოდიური ხაზი, მოტივი, ინტონაციური ფორმულა;
3. **ჰარმონია** – ინტერვალები;
4. **ფორმა** – მცირე ფორმები, ციკლური ფორმები (სონატა, სიმფონია);
5. **ჟანრი** – ინსტრუმენტული მუსიკა, კამერული მუსიკა.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
რიტმი • რიტმი გრძლიობის მიხედვით ხმებს, ბგერებს გარკვეული თანმიმდევრობით ალაგებს და მუსიკაში ერთგვარ ნესრიგს ამყარებს; • ხმები და ბგერები ლაგდება უსაზღვრო რაოდენობის რიტმულ ფიგურაციებში; • მუსიკაში მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე, თუმცა რიტმს მუსიკაში დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია; • რიტმი მელოდიასა და, ზოგადად, მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებს სხვადასხვა ხასიათს სძენს; • რიტმი მუსიკას სძენს დინამიკას; • რიტმი მუსიკას ემოციის, ემოციური ცვალებადობის გადმოცემაში ეხმარება. **მელოდია** • მელოდია არის ერთ ხმაში გადმოცემული მუსიკალური აზრი; • მელოდიაში მუსიკალური აზრი დროში ხმის სიმაღლეების ცვლით გადმოიცემა; • ინტონაცია მელოდიის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მას შინაარსს სძენს და სიმაღლის მიხედვით უბრალო ბგერათცვლისგან განასხვავებს; • ინტონაცია ხშირ შემთხვევაში ბუნებაში არსებულ ინტონაციებს ემსგავსება, რითაც იგი განსაკუთრებულ ემოციურ გამოხმაურებას ჰპოვებს მსმენელში: • არსებობს მელოდიური ინტონაციები, რომლებსაც კონკრეტული მდგრადი შინარსობრივი დატვირთვა გააჩნიათ და სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში ამავე შინაარსობრივი მნიშვნელობით გამოიყენება; • მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე. **ჰარმონია** • ჰარმონია ცალკეულ ბგერებს თანახმიანობებში აერთიანებს; • ჰარმონიაში სხვადასხვა ბგერების თანახმიანობა არსებობს: ინტერვალი, აკორდი, კილო, ბგერათწყობა და ა.შ.;	**მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები** **მელოდია** ინტონაციური ფორმულა კვინტაზე; **ჰარმონია** ინტერვალი კვინტა; **ფორმა** მცირე ფორმები (პრელუდია, ექსპრომტი, და ა.შ.), სიმფონიური პოემები; **ჟანრი** კამერული და სიმფონიური მუსიკა.	1. როგორ გამოიხატება მარტოობა მუსიკაში? 2. როგორ ამოვიცნო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა? 3. როგორ გამოვხატო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა?	მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების მაგალითზე ამოიცნობს მარტოობის რომელიმე ნაირსახეობით გამოწვეულ განწყობას; ადგენს, არსებობს თუ არა ასოციაციური კავშირი კონკრეტულ ნაწარმოებში გამოყენებულ ინტერვალებსა და მუსიკის ემოციურ მუხტს შორის. წერილობით ადგენს სქემას, რომელ ნაწარმოებში მარტოობის რომელი ნაირსახეობა ამოიცნო და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, მოჰყავს არგუმენტები.

ეტაპი 1. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა

საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოიხატება მარტოობა მუსიკაში?

მარტოობის სახეობების განსაზღვრა და განწყობის მიხედვით სხვადასხვა მუსიკალური მაგალითის მათთან დაკავშირება;

ეტაპი 2. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება

საკვანძო შეკითხვა: როგორ ამოვიცნო მუსიკაში მარტოობის ნაირსახეობებით გამოწვეული განწყობა?

მარტოობის ნაირსახეობებით გამოწვეული განწყობების გადმომცემი მხატვრული საშუალებების განხილვა და გარკვეული ცნებების მათთან დაკავშირება;

ეტაპი 3. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა

საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოვხატო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა?

რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტიდან მარტოობის განცდის გამომწვევი ფრაგმენტის შერჩევა და მის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე მსჯელობა.

რესურსები:	**შეფასების კრიტერიუმები: განმავ./განმსაზღვრელი**
მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: მუსიკის მოსმენა და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება; ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა.

• ჰარმონიაში აკორდთა თანმიმდევრობების მკაცრი კანონები არსებობს, რასაც ჰარმონიულ სვლებს ან ფორმულებს უწოდებენ;
• ჰარმონიული სვლების საშუალებით ვითარდება მუსიკალური აზრი;
• ჰარმონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკით განწყობის შექმნაში;
• ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოვლენის, ადამიანის, საგნის დახასიათებაში;
• ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკით გარესამყაროს სახების შექმნის დროს;
• მელოდიაც ჰარმონიის ნაწილია.

ფორმა
• ფორმა გვიჩვენებს, თუ როგორ არის აგებული მუსიკალური ნაწარმოები;
• მუსიკალური ფორმა ეხმარება კომპოზიტორს, სხვადასხვა მუსიკალური ელემენტი გააერთიანოს ერთ სრულყოფილ მუსიკალურ ნაწარმოებში;
• ფორმის საშუალებით გადმოიცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსი;
• მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოიცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა:
• მუსიკალური ფორმის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე;
• მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა.

ჟანრი
• მუსიკალური ნაწარმოების სახეობა, რომელსაც გარკვეული სტილისტური, სიუჟეტური, კომპოზიციური მახასიათებლები გააჩნია;
• მუსიკალური ჟანრის წარმოქმნას ხშირ შემთხვევაში ისტორიული მოვლენები განაპირობებს;
• მუსიკაში ჟანრი ნაწარმოების ფორმას განაპირობებს (ხშირ შემთხვევაში ჟანრისა და ფორმის სახელწოდება ემთხვევა კიდევაც) და განსაზღვრავს მის შინაარსსა და ხასიათს;
• ხშირად ჟანრის წარმოქმნას გარკვეული ეპოქის ესთეტიკური შეხედულებები განაპირობებს.

საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
მუსიკაში ერთიანობის გამომხატველი გამომსახველობითი ხერხები **რიტმი** რიტმული ფიგურაციები (თანაბარი გრძლიობების რიტმული ფორმულა, პუნქტირული რიტმი, აქცენტი ძლიერ თვლაზე); **მელოდია** ინტონაციური ფორმულა კვარტაზე; **ჰარმონია** კონსონანსი და დისონანსი; **ჟანრი** ჰიმნი.	1. როგორ ჟღერს მუსიკა, რომელიც ადამიანებს ერთიანობისკენ მოუწოდებს? 2. როგორ ამოვიცნო მუსიკაში ერთიანობისკენ მოწოდება? 3. როგორ გამოვიყენო მოწოდებითი ხასიათის მუსიკის გამომსახველობითი ხერხები?	მოსმენილი ნაწარმოებების მაგალითზე მოსწავლე განსაზღვრავს მუსიკაში ერთიანობის გამომხატველ გამომსახველობით ხერხებს; ამოიცნობს ერთიანობისკენ მოწოდების ინტონაციებს. წერილობით ჩამოაყალიბებს თავის მოსაზრებებს, როგორ ამოიცნო მუსიკაში ერთიანობისკენ მოწოდება, რა როლს თამაშობს რიტმი; წარმოადგენს მუსიკალური ნაწარმოების საკუთარ ინტერპრეტაციას და მუსიკალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით მოჰყავს სათანადო არგუმენტები.

ეტაპი 1. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა
საკვანძო შეკითხვა: როგორ ჟღერს მუსიკა, რომელიც ადამიანებს ერთიანობისკენ მოუწოდებს?
მოწოდებითი ხასიათის სხვადასხვა მუსიკალური ფრაგმენტის შედარება და მახასიათებლების განსაზღვრება;

ეტაპი 2. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება
საკვანძო შეკითხვა: როგორ ამოვიცნო მუსიკაში ერთიანობისკენ მოწოდება?
კვარტაზე აგებული ინტონაციების ამოცნობა და მოწოდებითი ხასიათის გადმოცემაში ამ ინტონაციების როლის განსაზღვრა, მოწოდებითი ხასიათის ნაწარმოებების ჰარმონიაზე დაკვირვება;

ეტაპი 3. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა
საკვანძო შეკითხვა: როგორ გამოვიყენო მოწოდებითი ხასიათის მუსიკის გამომსახველობითი ხერხები?
მუსიკალურ მაგალითზე დაფუძნებით მსჯელობა იმაზე, როდის, რატომ და როგორ იყენებენ კომპოზიტორები მოწოდებითი ხასიათის გამომსახველობით ხერხებს მუსიკაში.

რესურსები:	**შეფასების კრიტერიუმები: განმავ./განმსაზღვრელი**
მოსწავლის წიგნი, რვეული, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	დავალების შესრულებისას ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა; მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებზე დაყრდნობით ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარების გამოვლენა.

46-48 მარტოობის ფორმები და მუსიკის გამომსახველობითი ხერხები

აუდიოფაილები:
I აქტივობა
ფ. შოპენი – ნოქტიურნი, თხზ.62, №.21 (1, 5, 6, 7); ვ. ა. მოცარტი – საფორტეპიანო კონცერტი №23, II ნაწ. ადაჯიო (№2); გ. მალერი – სიმფონია №4, III ნაწ. (№3); ს. რახმანინოვი – სონატა ჩელოსთვის, III ნაწ. (№4).
V აქტივობა
ი. ბრამსი – სიმფონია №3, III ნაწ. (№44).
VII აქტივობა
იოჰან იოჰანსონი – A Sparrow Alighted Upon Our Shoulder (№9); ჯონ ადამსი – Short Ride in a Fast Machine (№10); მ. რაველი – „ბავშვი და ჯადოქრობა"; (№11); თომას ადესი – „Ecstasio" (№12); ინტერვალი კვინტა (13).
VIII აქტივობა
რ. შუმანი – ვარიაციები თემაზე (№14); ა. ვივალდი – „ზამთარი" (№15); ა. ბოროდინი – ნოქტიურნი (სიმებიანი კვარტეტიდან N2, რე მაჟორი) (№16); ჟიულ მასნე – ნოქტიურნი საორკესტრო სიუიტიდან N1 (№17).
IX აქტივობა
ბრაიან ინო, „An Ending" (№18); იოჰან იოჰანსონი – „A Song For Europa" (№19); ჯონ სერი – „Annie By The Sea" (№20); სტივ როუჩი – „The Other Side" (№21).
ცნებები:
მელოდია – ინტონაციური ფორმულა კვინტაზე;
ჰარმონია – ინტერვალი კვინტა;
ფორმა – მცირე ფორმები (პრელუდია, ექსპრომტი და ა.შ.), სიმფონიური პოემები;
ჟანრი – კამერული და სიმფონიური მუსიკა.
საკვანძო შეკითხვები:
1. როგორ გამოიხატება მარტოობა მუსიკაში?
2. როგორ ამოვიცნო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა?
3. როგორ გამოვხატო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1
რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს გამღერება:



აქტივობა 2
მასწავლებელი: ყველასათვის ცნობილია, რომ მუსიკას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. მუსიკას სამკურნალო მიზნებისთვისაც კი იყენებენ. მაგალითად, საბერძნეთში ეპიდავროსის ტაძარში, ცნობილი ექიმი ესკულაპი მუსიკას იყენებდა სულიერად დაავადებულთა მკურნალობის მიზნით. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მუსიკალური ბგერების სხვადასხვა სიმაღლე, ძალა და ტემბრი სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანის სისხლის მიმოქცევაზე,

გულისცემის აჩქარება-შენელებაზე, მაჯისცემის ტალღის აწევა-დაწევაზე; სასიამოვნო ბგერები ანელებენ გულის მუშაობას, ხოლო უსიამო ბგერები – აჩქარებენ. სათანადოდ შერჩეულმა მუსიკამ შეიძლება თავისებური კათარზისის როლიც ითამაშოს, ე. ი. მოხსნას, განმუხტოს ადამიანში დაგროვილი მძიმე განცდები, შინაგანი კონფლიქტები. მუსიკით შეიძლება შესუსტდეს მეტისმეტი აღგზნებულობა, მოიხსნას ნერვიული და ფიზიკური გადაღლილობა ან პირიქით, გაძლიერდეს. იმისდა მიხედვით, თუ რა მუსიკას უსმენს ადამიანი, შეიძლება გავარკვიოთ მისი შინაგანი მდგომარეობა, დავინახოთ მისი სულიერი განცდები, ფიქრები და ჩამოვაყალიბოთ ადამიანის სულიერი პორტრეტი. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ესა თუ ის მუსიკალური მიმდინარეობა, ჟანრი, რომელსაც პიროვნება უსმენს, ნათლად მიუთითებს იმაზე, რა სახის სულიერი სიცარიელის შესავსებად სჭირდება მას ეს მუსიკა.

ადამიანს ხანდახან საკუთარ თავთან მარტო დარჩენა სჭირდება, რათა ფიქრი დაბადოს, შემდგომ ამ ფიქრით ოცნება ჩამოაყალიბოს, რაც სამომავლოდ მისი წარმატების პირველ საფეხურად იქცევა. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სპორტის რომელიმე სახეობა, თუნდაც ტანვარჯიში. ტანვარჯიში (და არა მარტო ის) სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც მხოლოდ შენს თავზე ხარ დამოკიდებული, ყოველდღიურ ვარჯიშზე, შრომისმოყვარეობაზე, ოცნებაზე, – რა დროს ატარებ ოცნებაში პირველობის მოსაპოვებლად. ის კი არ იგებს ჩემპიონატს, ვინც სწრაფად დარბის ან ვინც ყველაზე მაღლა ხტება, არამედ ის, ვისაც უფრო ძლიერი ოცნება შეუძლია. გადამწყვეტ სიტუაციაში უფრო ძლიეროცნებიანები იგებენ ხოლმე და ამ ოცნებას, რა თქმა უნდა, მარტოობაში ჩამოყალიბება სჭირდება, რომელიც საკუთარ თავში უნდა აღზარდო. ამ ოცნებებით თამაში კი ყველაზე აზარტული და, ამავე დროს, მომგებიანია. როგორც მარტოობაა სულის ზრდის წინაპირობა, ასევე ოცნება შეიძლება აღვიქვათ მიზნის მიღწევის წინაპირობად – მარტოობაში სწავლობ, თუ რა სახის ოცნებები და პრიორიტეტები ჩამოაყალიბო და ჩვევად აქცევ საკუთარ თავთან მარტო დარჩენას.

იქამდე კი, უმჯობესია მარტივ კითხვებს ჩავუღრმავდეთ: ვინ ვართ ჩვენ; რა გვიყვარს; რა გვაშინებს; რა გვინდა; რას ვაკეთებთ საკუთარი „მინდასთვის"; რა ინდივიდუალური ნიშნით გამოვირჩევით სხვებისგან; რა როლი გვაკისრია და სადაა პირადად ჩვენი ადგილი საზოგადოებაში. ...და ნუ შეგვეშინდება საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის; დაიმახსოვრეთ, შეუძლებელი არაფერია!

1 მოსწავლეები ისმენენ ფრაგმენტებს ოთხი ნაწარმოებიდან (№1-4); გამოთქვამენ თავიანთ აზრს, აღწერენ, რა შეგრძნება დაუტოვა მოსმენილმა მუსიკამ.

მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია ფსიქოლოგების მიერ აღწერილი მარტოობის რამდენიმე სახეობა. მოზარდები შეეცდებიან თითოეულ აღწერილობას მიუსადაგონ მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტი.

შევსებული ცხრილი, სავარაუდოდ, ასეთ სახეს მიიღებს (თუმცა, ***შესაძლებელია, მოსწავლეებმა სხვანაირად გადაანაწილონ თავიანთი შეგრძნებების საფუძველზე. დაიმახსოვრეთ! ყველა პასუხი მისაღებია; მთავარია, მოსწავლემ ისაუბროს თავის შეგრძნებებზე, ემოციებზე, დააკავშიროს ის მოსმენილ ნაწარმოებთან, დაასაბუთოს თავისი არჩევანი. აქტივობები ისეა მოცემული, რომ, უმეტესად, ზუსტი პასუხი არ არსებობს, ეს მოსწავლეთა პირად მოსაზრებებზეა დამოკიდებული. ამის შემდეგ კლასში გაიმართება დისკუსია***):

მუსიკის აღწერილობა	მარტოობის სახეობა	მუსიკალური ფრაგმენტის №
	კულტურული სიმარტოვე: ადამიანი მოწყვეტილია თავის ქვეყანას, ოჯახს, მეგობრებს, სხვა კულტურულ გარემოშია, რომელიც მისთვის უცხოა. ის თავს გარიყულად და არაკომფორტულად გრძნობს; ენატრება თავისი ჩვეული გარემო.	4 (რახმანინოვი)
	ეგზისტენციალური სიმარტოვე: ადამიანი გრძნობს ყოფიერების არასრულყოფილებას. მას აშინებს მოსალოდნელი ბუნებრივი ცვლილებები (სიბერე, სისუსტე, ცხოვრების სასრულობა).	3 (მალერი)

	აუცილებელი სიმარტოვე: სიმარტოვე, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებაა, როდესაც მას სურს დარჩეს საკუთარ გრძნობებთან მარტო, დაისვენოს აქტიური ცხოვრებისგან, ისიამოვნოს კონკრეტული წუთებით, დაალაგოს საკუთარი აზრები.	1 (შოპენი)
	ფსიქოლოგიური სიმარტოვე: ადამიანს არა აქვს კონტაქტი სხვა ადამიანებთან ან აქვს, მაგრამ არაახლობლური; თავს ზედმეტად, არასაჭიროდ და გარიყულად მიიჩნევს; თვლის, რომ მისი არ ესმით და არ აფასებენ.	2 (მოცარტი)

2

ა მელოდიური ხაზი არის კარგად გამოკვეთილი, მას ასრულებს ერთი ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტების ერთი ჯგუფი ... –

ბ ნაწარმოები სრულდება ორი ინსტრუმენტით, რომელთაგან ერთი ასრულებს სოლო პარტიას, ხოლო მეორე – აკომპანემენტს ...

გ მელოდია იწყება დაღმავალი სვლით ...

დ მელოდია არის გაშლილი, განვითარებული ...

ე ნაწარმოები სრულდება მშვიდ ტემპში ... –

ვ მუსიკაში არის განწყობების სწრაფი მონაცვლეობა ...

შეეკითხეთ მოსწავლეებს, რატომ მიუწერეს ამა თუ იმ მახასიათებელს „–“?
პასუხები ინდივიდუალური იქნება.

3 ამ აქტივობაში მოცემული დახასიათებების ლიტერებს მოსწავლეები ჩაწერენ პირველი აქტივობის ცხრილის (გვ. 121) შესაბამის უჯრაში („მუსიკის აღწერილობის“ გრაფაში). ამ შემთხვევაშიც მოსწავლეთა პასუხები ინდივიდუალური და შეიძლება სრულიად განსხვავებულებიც იყოს; ნებისმიერი პასუხი მისაღებია, მხოლოდ ვთხოვოთ მათ, ახსნან თავიანთი მოსაზრებები.

4 პასუხი: სანოტო მაგალითის გაგრძელება იქნება ა (გვ. 124).

შენიშვნა: საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ადვილი არ არის აუდიოჩანაწერით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერში ამოცნობა და, მით უმეტეს, მისი გაგრძელების ვარიანტის პოვნა. ამიტომ, სასურველია (თუ ამის საშუალება არსებობს კლასში), მასწავლებელმა თავად დაუკრას ფორტეპიანოზე მელოდია და მისი გაგრძელების ორი სავარაუდო ვარიანტი. ამგვარად მოსწავლეები გაცილებით მარტივად დაუკავშირებენ ფრაგმენტებს ერთმანეთს.

8 მოსწავლეები ისმენენ:

ა) რობერტ შუმანი, ვარიაციები თემაზე (№14);
ბ) ანტონიო ვივალდი, „ზამთარი“ (№15);
გ) ალექსანდრე ბოროდინი, ნოქტიურნი (სიმებიანი კვარტეტიდან N2 რე მაჟორი (№16);
დ) ჟიულ მასნე, ნოქტიურნი საორკესტრო სიუიტიდან N1 (№17).

გვ. 128-ზე სანოტო ჩანაწერში მოსწავლეები ამოიცნობენ ამ ნაწარმოებებს:

1 ჟ. მასნე

2 ალ. ბოროდინი

3 რ. შუმანი

4 ა. ვივალდი

9 **ინფორმაცია მასწავლებელს:** ემბიენტის ორი სახე არსებობს: კლასიკური და ელექტრონული. კლასიკური ემბიენტის მაგალითია ბრაიან ინოს შემოქმედება, რომელიც იყენებდა მისი ცხოვრების გარემომცველ ხმებს და აკუსტიკურ ინსტრუმენტებს.

დღესდღეობით გავრცელებულია ელექტრონული ემბიენტი – მშვიდი მუსიკის, შორეული ხმების და რევერბერაციის სინთეზი, რომელსაც არ აქვს განსაზღვრული რიტმი. თუმცა, ძალიან ბევრი ელექტრონული ემბიენტის შემსრულებელი (მაგალითად, The Orb), თავის შემოქმედებაში იყენებს კლასიკური ემბიენტის ელემენტებს, როგორიცაა გარემომცველი ხმები. „ემბიენტი“, როგორც მუსიკალური მიმდინარეობის აღმნიშვნელი ტერმინი, გამოჩნდა XX საუკუნის 70-იან წლებში. ითვლება, რომ მუსიკაში ეს ტერმინი ბრაიან ინომ შემოიტანა, როდესაც ის თავისი ალბომის სახელწოდებისთვის (Ambient 1: Music for Airports) გამოიყენა.

ამ აქტივობაში ცხრილის შევსება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შეგრძნებებზეა დამოკიდებული, ასე რომ, ზუსტ პასუხებს არ ითვალისწინებს.

შეფასების რუბრიკა:

მოსწავლე ფასდება			
ვერცერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს.	პასუხები ზოგადი და არაამომწურავია, ამოიცნობს მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობას, მაგრამ ვერ ამოიცნობს ინტერვალებს, ვერ უკავშირებს მათით მიღწეულ ემოციურ მუხტს შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	განსაზღვრავს მარტოობის სახეობებს; ნაწილობრივ ამოიცნობს ნაწარმოების ემოციურ მუხტს; პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	პასუხები დამაჯერებელია, ამოიცნობს მუსიკაში მარტოობით გამოწვეულ განწყობას, უკავშირებს ინტერვალს ნაწარმოების ემოციურ მუხტს; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას, მოჰყავს არგუმენტები.
ქულა 0-1	2-4	5-7	8-10

განმავითარებელი შეფასება

რას ვაფასებთ	ქულა (მაქს. 5)
განმარტავს, რა მუსიკალურ-ემოციური ხერხებით ამოიცნო ნაწარმოებში მარტოობის ინტონაცია.	2
რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის მიხედვით მსჯელობს იმაზე, ახდენს თუ არა გავლენას ინტერვალი მოცემული ფრაგმენტის ემოციურ მუხტზე მარტოობის გამოხატვაში.	1
წერილობით ადგენს სქემას, რომელ ნაწარმოებში მარტოობის რომელი ნაირსახეობა ამოიცნო და ასაბუთებს თავის მოსაზრებას არგუმენტებით.	2

49-51 მუსიკაში ერთიანობის გამომხატველი გამომსახველობითი ხერხები

აუდიოფაილები: (№№22-43)
II აქტივობა
აარონ კოპლენდი – Fanfare for the Common Man (№22); რობერტ მაილზი – ბავშვები (№23); Queen – We Will Rock You (№24); ლ. ვან ბეთჰოვენი – Yorkscher Marsch (№25).
III აქტივობა
ამილკარე პონკიელი – Dance of the Hours (№26); ლ. ვან ბეთჰოვენი – თურქული მარში (№27); ფრანც ვონ ზუპე – Light Cavalry – Overture (№28); ი. ვალხი – სამგლოვიარო მარში (№29); ფრანც შუბერტი – სამხედრო მარში (№31); ჯონ ფილიპ სუზა – Semper Fidelis (№32); დიმიტრი შოსტაკოვიჩი – Festive Overture (№33); ვ. ა. მოცარტი – თურქული მარში (№34); მარშის რიტმები (31-1, 31-2, 31-3).
V აქტივობა
სიგნალები – 41, 41-1,2,3,4.
VIII აქტივობა
კანადის ჰიმნი (42-1, 42-2).
ცნებები:
მელოდია – ინტონაციური ფორმულა კვინტაზე;
ჰარმონია – ინტერვალი კვინტა;
ფორმა – მცირე ფორმები (პრელუდია, ექსპრომტი, და ა. შ.), სიმფონიური პოემები;
ჟანრი – კამერული და სიმფონიური მუსიკა.
საკვანძო შეკითხვები:
1. როგორ გამოიხატება მარტოობა მუსიკაში?
2. როგორ ამოვიცნო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა?
3. როგორ გამოვხატო მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობა?

საკლასო აქტივობები

აქტივობა 1

მაჟორული და მინორული გამის გამღერება; რიტმული სავარჯიშო პუნქტირულ რიტმსა და სეკუნდებზე მოძრაობისთვის აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით:



აქტივობა 2

1 ვიდეოფაილები – აარონ კოპლენდი – Fanfare for the Common Man (№22); რობერტ მაილზი – Children (№23); Queen – We Will Rock You (№24); ლ. ვან ბეთჰოვენი – Yorkscher Marsch (25).
ამ სავარჯიშოს მოთელვის ფუნქცია აქვს. მუსიკალურ ფრაგმენტებს ჯერ მხოლოდ ვასმენინებთ (არ ვასახელებთ). მოზარდებმა თავად უნდა ივარაუდონ, რა მიზნით, როგორ შეიძლება ხალხი გაერთიანდეს (იუბილე, დემონსტრაცია, აღლუმი, დღესასწაული, სამგლოვიარო ცერემონია, ქორწილი, საეკლესიო დღესასწაული, სპორტული შეჯიბრებები, არჩევნები და ა. შ.

მოსწავლეებს ვთხოვთ, რომ თავიანთი შეგრძნებები დაუკავშირონ მოსმენილ ნაწარმოებებს, აამოქმედონ ფანტაზია. მაგალითად, კოპლენდის მუსიკა ხოტბის შესხმის, რომელიმე

დღესასწაულის შეგრძნებას მიუსადაგონ, რობერტ მაილზის მუსიკა – დისკოთეკას, Queen-ის მუსიკა – სპორტულ შეჯიბრებებს, სტადიონს, ბეთჰოვენის მუსიკა – სამხედრო მარშირებას.

3 ეს აქტივობაც მოთელვის ხასიათს ატარებს. აქ უკვე რიტმს ვუკავშირებთ ჟანრს. მოსწავლეები შეავსებენ ცხრილს. მოსწავლეები ისმენენ სხვადასხვა მუსიკალურ ფრაგმენტს და ამოიცნობენ, რომელია მათ შორის მარში. გთავაზობთ სწორ პასუხებს:

ა) ამილკარე პონკიელი	☐	ცეკვა
ბ) ლ. ვან ბეთჰოვენი	+	თურქული მარში (სალაშქრო)
გ) ფრანც ფონ ზუპე	☐	უვერტიურა
დ) იოჰან ვალხი	+	მარში (ცერემონიებისთვის)
ე) ფრანც შუბერტი	+	მარში (სალაშქრო)
ვ) ჯონ ფილიპ სუზა	+	მარში (სამხედრო)
ზ) დიმიტრი შოსტაკოვიჩი	☐	სადღესასწაულო უვერტიურაა
თ) ვ. ა. მოცარტი	+	თურქული მარში

რიტმზე, მელოდიასა და ჰარმონიაზე დაკვირვებით მოსწავლეები თავად ამოიცნობენ, რა მოვლენებისთვის (საჭიროებისთვის) შეიძლება იყოს შექმნილი ეს მარშები.

გ პუნქტში დასმულ კითხვებზე რიტმული მახასიათებლების ამოცნობაზე, პასუხი იქნება: **გ** – პუნქტირული რიტმია, **დ** – ეს სინკოპირებული რიტმია.

ე – პუნქტში სანოტო მაგალითების ჩამონათვალში სწორი პასუხია: **2** – ზედმეტია.

მოსწავლეები ისმენენ ოთხ მარშს და მიუსადაგებენ მოსწავლის წიგნში ჩამოთვლილ რიტმის მახასიათებლებს. მაგალითად:
ბეთჰოვენი – ბ – თანაბარი რიტმი;
ვალხი – გ – პუნქტირული რიტმი;
შუბერტი – ა – აქცენტირებული რიტმი;
სუზა – გ – პუნქტირული რიტმი.

მასწავლებლის კითხვა: განმეორებით მოისმინეთ შუბერტის მარში და დაახასიათეთ (პასუხები ინდივიდუალურია, მაგრამ სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს – უფრო ცეკვას ჰგავს, ვიდრე მარშს).

6 აღმავალი და დაღმავალი კვარტები ჟღერს „სალმის“ სიგნალში (№41), ის ასევე გამოსახულია სანოტო ჩანაწერში; ყველაზე სწრაფ ტემპში სრულდება „ადგომა“ (41-1), მხოლოდ ერთი მოტივია ფრაგმენტში „განგაში“ (№41-3), ის აგრეთვე ყველაზე მოკლე სიგნალია.
კიდევ რა ინტერვალებზე მოძრაობს მელოდია? – პასუხი: ბ) ტერციებზე.

7

სწორად შევსებული ცხრილი

ლიტერი	დაწყება აღმავალი ნახტომით კვარტაზე	დაწყება აღმავალი სვლით ნახტომის გარეშე	დაწყება დაღმავალი სვლით ნახტომის გარეშე
1) ჰაიდნი		✓	
5) ალბერიხ ცვისიჰი	✓		
2) უილიამ ჰენრი მონკი			✓
6) ჰეტ ვილჰელმუსი	✓		

52-53 შემაჯამებელი გაკვეთილი

აქტივობა 1
ნებისმიერი რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო შემოთავაზებული ელექტრონული რესურსებიდან (სასურველია, გამოვიყენოთ მოსწავლის წიგნში მოთავსებული რომელიმე სინკოპირებული რიტმი).

აქტივობა 2
ზეპირი ტესტირება მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი ტექსტებისა და აუდიომასალების მიხედვით.

აქტივობა 3
მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების პრეზენტაცია.
დიალოგი, მსჯელობა შესრულებული დავალების ირგვლივ.

შეფასების რუბრიკა:

მოსწავლე ფასდება			
ვერც ერთი ნიშნით ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს. ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს.	პასუხები ზოგადი და არაამომწურავია, ამოიცნობს მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობას, მაგრამ ვერ ამოიცნობს ინტერვალებს, ვერ უკავშირებს მათით მიღწეულ ემოციურ მუხტს შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	განსაზღვრავს მარტოობის სახეობებს; ნაწილობრივ ამოიცნობს ნაწარმოების ემოციურ მუხტს; პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	პასუხები დამაჯერებელია, ამოიცნობს მუსიკაში მარტოობით გამოწვეული განწყობას, უკავშირებს ინტერვალს ნაწარმოების ემოციურ მუხტს; ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას, მოჰყავს არგუმენტები.
ქულა 0-1	2-4	5-7	8-10

ჯგუფური ნამუშევრის შეფასება

თემა				
ჯგუფის წევრები:				
შეფასების კრიტერიუმები				მაქსიმალური ქულა
დროის ლიმიტის დაცვა, ორგანიზებულობა	საჭირო აღჭურვილობის (ელ. რესურსების) ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება	შემოქმედებითობა (რამდენად კარგად ფლობს და სწორად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით ხერხებს)	კომუნიკაბელობა ჯგუფში მუშაობისას	10
2	1	4	3	

ინდივიდუალური შეფასების ნიმუში:

ინდიკატორი	შეფასება	კომენტარი
ამოიცნობს მუსიკის მახასიათებლებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.		
გარკვეული კრიტერიუმებით ადარებს ერთმანეთს ორ და მეტ ნაწარმოებს, ინტონაციის, რიტმის, ხასიათის მიხედვით.		
განსაზღვრავს მუსიკის როლს ფრაგმენტის შინაარსობრივი დატვირთვის ინტერპრეტირებაში.		
შეუძლია მუსიკალური ენის სხვადასხვა ელემენტი დაახარისხოს შემოთავაზებული ინტერპრეტაციების მიხედვით (მაგ., სხვადასხვა ინტერვალებზე აგებულ მელოდიურ ინტონაციებს ახარისხებს მარტოობისა და ერთობის თემების მიხედვით).		

შემაჯამებელი დავალება მუსიკაში №2

VII კლასი; მასწავლებელი: ——————————————; თარიღი: ——————————————

დავალების ფორმა: პრეზენტაცია
შეფასების რუბრიკები:

№	მოსწავლის გვარი, სახელი	პრეზენტაბელურია, ნათლად გადმოსცემს სათქმელს 0-4 ქულა	იცნობს მუსიკის გამომსახველობით ელემენტებს და ადეკვატურად იყენებს ტერმინებს 0-3 ქულა	წარმოდგენილი მასალა ინსტრუქციის შესატყვისია 0-3 ქულა	ქულათა ჯამი

სანოტო დანართი

სითბო, მზე და სიცოცხლე

კახა ცაბაძე
ლია ასათიანი

Allegretto con calore

mp

4 *mp*

დი - ლით ად - რე გვეს-ტუმრ-ნენ გა- ზაფ-ხუ - ლის ჩი - ტე - ბი,

6

მგა-ლო-ბე - ლი მამ - ვე - ბი, მერ-ცხლე-ბი და გვრი-ტე - ბი.

8 *mf*

ცა - ში და - ნა - ვარ - დო- ბენ, მხი ა - რუ-ლად მღე- რი - ან,

mf


10
სით- ბო, მზე და სი - ცოც- ხლე, ო, რა მშვე- ნი - ე - რი - ა.
12
ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ.
14
სით-ბო,მზე და სი - ცოც- ხლე და ჭიკ, ჭიკ, ჭიკ.
16
ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ.



მზე ნათელი ელვარებს
მომღიმარი სხივებით,
იღვიძებენ მდელოზე
პაწაწინა იები.

ყვავილები, ჩიტები
ცეკვავენ და მღერიან,
სითბო, მზე და სიცოცხლე,
ო, რა მშვენიერია.

მისამღერი: ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ.
სითბო, მზე და სიცოცხლე და ჭიკ, ჭიკ, ჭიკ. } – 2-ჯერ

გაზაფხული

ძახა ცაბაძე
ევგენია სახუბაშვილი



11

და ჩი - ტე - ბის ერი - ა - მუ - ლი მიყ - ვარს.

13

მიყ - ვარს ელ - ვა, რა - საც მოს- დევს შლე - გი წვი - მა,

15

რო - ცა სად- ღაც გა - ვარ - დე - ბა მე - ხი,

17

წვი - მის შემ - დეგ ჯე - ჯი - ლი რომ ა - ღელ - დე - ბა

19

და და - იწ - ყებს შრი- ალს, რო- გორც ვერ - ხვი.

21 *mf*

რო- გორ მიყ- ვარს გა - ზაფ - ხუ - ლის სურ - ნე - ლე - ბა,

23

რო- გორ მიყ- ვარს პეპ - ლე - ბი და ყვა - ვი - ლე - ბი.

25

გა - ზაფ- ხულს ხომ ყვე - ლა ტრფო-ბით ე - გე - ბე - ბა,

27

3

მის ლო- დინ - მი მეც ა - რას-დროს და - ვიღ - ლე - ბი.

29

3

რო- გორ მიყ- ვარს გა - ზაფ - ხუ - ლის სურ - ნე - ლე - ბა,

31

3

რო- გორ მიყ- ვარს პეპ - ლე - ბი და ყვა - ვი - ლე - ბი.

33

გა - ზაფ- ხულს ხომ ყვე - ლა ტრფო-ბით ე - გე - ბე - ბა,



მიყვარს ნუშის და აგმების აკვირგება,
იასამნის გაღეღილი მკერდი,
ნაკადული ბავშვივით რომ ახირდება
და მდინარის შეშურდება ბედი.

მიყვარს ცვარზე სიარული ფეხშიშველი,
როცა ბოლო მოეღება ლოდინს,
გაზაფხულზე ვერაფერი ვერ გიშველის,
გაზაფხული პაემანზე მოდის.

მისამღერი: როგორ მიყვარს გაზაფხულის სურნელება,
როგორ მიყვარს პეპლები და ყვავილები.
გაზაფხულს ხომ ყველა ტრფობით ეგებება,
მის ლოდინში მეც არასდროს დავიღლები.

ალიონზე გამიღიმა თბილისმა

(მუსაბაზი)

ქახა საბაძე
ზურაბ ბოშაძე



17

ერთ-გუ-ლე-ბას და - ვა-ტა-რებ თი - ლის - მად,

21

შენს სიყ-ვა-რულს მე და - ვუნ-თე სან - თე - ლი.

25

ერთ-გუ-ლე-ბას და - ვა-ტა-რებ თი - ლის - მად,

29

შენს სიყ-ვა-რულს მე და - ვუნ-თე სან - თე - ლი.

33

f

ოცნებამაქვს ყველასაგან მალული,

f

37

ფიქრმა შენი სადღეგრძელო დალია.

41

მინდა ვიყო მომღერალი ბულბული,

45

შენი გული იყოს ჩემი გალია.


49
მინ- და ვი- ყო მომ - ღე- რა-ლი ბულ - ბუ - ლი,
53
შე - ნი გუ- ლი ი- ყოს ჩე - მი გა - ლი -
56
1.2.
ა.
60
3.
ა. შე - ნი გუ-ლი ი- ყოს ჩე-მი გა - ლი -



2) არ მაძინებს შენზე დარდი ნაღველი,
სიზმრად შენი სახე ამონათდება,
ქვეყნად არის სალოცავი რამდენი,
მე კი მხოლოდ ერთი მყავხარ ხაგებად.
ქვეყნად არის სალოცავი რამდენი,
მე კი მხოლოდ ერთი მყავხარ ხაგებად.

3) შენს სიყვარულს,თუ ოდესმე ეღირსა,
ვიცი,გული არასდროს დაბერდება,
მადლობელი მე ვიქნები ღმერთისა,
თუკი შენთან ყოფნა დამებედება.
მადლობელი მე ვიქნები ღმერთისა,
თუკი შენთან ყოფნა დამებედება.

მისამღერი: ოცნება მაქვს ყველასაგან მალული,
ფიქრმა შენი სადღეგრძელო დალია.
მინდა ვიყო მომღერალი ბულბული,
შენი გული იყოს ჩემი გალია. – 2-ჯერ

ჰერიო, ჰერიო


მუსიკა: რევაზ ლალიძის
ტექსტი: პეტრე გრუზინსკის
Tempo di Valse
Piano
mf
Canto
mp
ჰე - რი - ო, ჰე - რი - ო, ბი - ჭე - ბო,
mp

ჰე!

ბი - ჭე - ბო, ბი - ჭე - ბო, ბი - ჭე - - ბო,

ჰე!

ქვეყ - ნად რამ - დე - ნი ზღვა - ა - რის,


რამ - დე - ნი ლურ - ჯი ცა ა - რის,
მაგ - რამ აქ მა - ინც სხვა ა -
რის.
ჩვე - ნი მზე უფ - რო თბი - ლი - ა,


ნი - ა - ვი უფ - რო გრი - ლი ა,
ჩვე - ნი ცა მა - ინც სხვა ა -
რის.
1.
2.
Glissando




ფიქ - რე - ბი - ვით


გა - - ფან - ტუ - ლან ზღვა - ზე აფ - - რე -


ბი,
თით - ქოს ტალ - ღებს


შო - - რე - უ - ლი მო - აქვს ზლაპ - რ -
ბი. და - კარ - გუ - ლი
ბა - - რა - თი - ვით და - ქრის თო - ლი -
ა, მი - სა - მარ - თი



ჰერიო, ჰერიო ბიჭებო ჰე!
ბიჭებო, ბიჭებო, ბიჭებო ჰე!

ქვეყნად რამდენი ზღვა არის
რამდენი ლურჯი ცა არის,
მაგრამ აქ მაინც სხვა არის.

ჩვენი მზე უფრო თბილია,
ნიავი უფრო გრილია,
ჩვენი ცა მაინც სხვა არის.

მზეო, მზეო ცხრათვალაო,
ჩქარა, რა მოგდის.
თუ სამოთხის ნახვა გინდა,
დაბლა ჩამოდი.

ქვეყნად ბევრი ხმელეთია,
ბევრი ზღვა არის,
მაგრამ განა ასეთია,
ეს სულ სხვა არის.

პირიმზე

მუსიკა მერაბ მერაბიშვილის
ტექსტი მირონ სურგულაძის

Moderato

Piano

f

დავ-დი-ვარ, და-გე-ძებ, გე-ძა-ხი, მეგ-ზურ-ად გა-მომ-ყვა დი-ლის მზე,

სა - და - ხარ შენ ჩე - მო პა-ტა-რა, ლა - მა - ზო ყვა - ვი - ლო

პი-რიმ-ზე გე - ძი - ე მინ-დვრებ-ში, ჭა-ლებ-ში,


ახ- ლა მთებს მივ - ყვე - ბი ბი-ლიკ-ზე, ხმა გა - მეც, სა - და - ხარ
პა - ტარა, ლა - მა-ზო ყვა-ვი-ლო პი - რიმ-ზე გე-ძიე - ე მინ - დვრებ-ში,
ჭა-ლებ-ში, ახ - ლა მთებს მივ - ყვე - ბი ბი-ლიკ-ზე,
ხმა გა-მეც, სა-და-ხარ პა - ტარა, ლა - მა-ზო ყვა-ვი-ლო პი-რიმ-ზე


ვინ მე-ძებს, ა-ქა ვარ ბუჩქებ-ში, მზე მათ-ბობს, ნი-ა-ვი
მა-ნა-ზებს, ცას შევტრ-ფი, სი-ცოცხ-ლეს შევხა-რი, ვუ-ლიმი გოგონებს
ლა-მა-ზებს მი-ვე-დი ლა-ლის ფერ ყვა-ვილ-თან,
დავ-ხე-დე, ვი-ცა-ნი ღი-მილ-ზე, და მე-რე ჩურ-ჩუ-ლით


ვუთ - ხარი, ჩე-მი ხარ, მა-კო-ცე პი-რიმ-ზე მი-ვე-დი ლა - ლის-ფერ
ყვა-ვილ-თან, დავ-ხე-დე, ვი - ცა - ნი ღი-მილ-ზე,
rit.
და მე-რე ჩურ-ჩუ-ლით ვუთ - ხარი, ჩე-მი ხარ, მა-კო-ცე პი-რიმ-ზე
rit.
Andante ad libitum
ჩე - მი ხარ, მა - კო - ცე პი-რიმ-ზე.
pp

ერთი ვარდი (მეგრული)



ქართული თარგმანი

მე მოვწყვიტე ერთი ვარდი,
და ის ხელში მიკავია
რა საამო სურნელი აქვს
ვარდს ვყნოსავ და მიხარია.

მე არ ვიცი აგი ვარდი
რომელ ბაღში ამბორს ჰფენდა
არცა ჭკნება, არცა ხმება
ვისმა ხელმა დარგო, ნეტა?

დიდავო ნანა

ჩაწ. დ. გოდერძიშვილმა

ა - სე ჩო - ნგუ - რი ქოვ - თქუ - ა - თუ ნა

სკან - დო ჩქი - მი გა - ქი - რა - ბა - ნა ოვ - ნა - ნა

დი - და ვოი ნა - ნა დი - და - ვოი ნა - ნი - ნა

მგზავრული

მარშის ტემპი

ჩაწ. მ. ჩირინაშვილმა

ჰა რა ლო ოვ დი ლო დე ლა ა ბა დე ლი ო ჰო ვო დი ლა

ჰა რა ლო ჰო ვო დე ლა დე ლი ა და ნა ნი ნა

ჩე მო მკვლე ლო ჩე მო მწვე ლო ჩე მო ახ ლო მე ზო ბე ლო

ვა ჰე ჰე ა ვა ჰე ჰე ა

ჰა რა ლო ჰო ვო დი ლა დე ლი ა და ნა ნი ნა

მოდი აქ დაჯექ შვილო

Moderato

ჩაწ. გრ. ჩხიკვაძემ



მოხევის ქალო

ზომიერად

ჩაწ. დ. ჭკუასელმა



ქორალური მრავალჟამიერი

ჩაწ. გრ. კოკელაძემ



შენ ხარ ვენახი (ქართლ-კახური)



2. ნორჩი კეთილი
ადამს შიდა ნერგული

3. ალვა სუნნელი
სამოთხესა მოსული

გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ავანგარდიზმი მუსიკაში - (ფრ. avant-garde წინ მიმავალი) მე-20 ს. II ნახევრის სხვადასხვა მუსიკალურ-შემოქმედებითი მიმდინარეობის პირობითი სახელწოდება. ავანგარდიზმის მიმდევრები მკვეთრად უპირისპირდებიან მუსიკალური ხელოვნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნორმებს, ისწრაფვიან მისი საფუძვლების რადიკალური შეცვლისაკენ.

ბასსო ოსტინატო (იტალ. Basso ostinato) – „ურყევი, მუდმივი ბანი"; თემა, რომელიც უცვლელად მეორდება ბანის პარტიაში.

ბითი – რეგულარული პულსაციის განუწყვეტელი გამეორება მოკლე რიტმებთან შეთანხმებით.

ბლუზი – (ინგ. blues – სევდა), მუსიკის ფორმა და მუსიკალური ჟანრი, აფროამერიკული ლირიკული სოლო სიმღერა. აღმოცენდა XIX ს-ის II ნახევარში აშშ-ს სამხრეთში.

გოთიკა – ერთ-ერთი თანამედროვე სუბკულტურა, აღმოცენდა დიდ ბრიტანეთში 1980-იან წლებში ადრეული პანკმოძრაობის ბაზაზე, როგორც პოსტპანკის განშტოება. სიტყვა „გოთიკა", „გოთური კულტურა" იტალიიდან მომდინარეობს – „gotico" ნიშნავს „ბარბაროსულს, უჩვეულოს".

გოსპელი (ინგლ. Gospel music) – სასულიერო ქრისტიანული მუსიკის ჟანრი.

დეკლამაცია (ლათ. declamatio) – მხატვრული კითხვა; ლიტერატურული ნაწარმოების გამოთქმით წაკითხვის ხელოვნება; „ვარჯიში მჭევრმეტყველებაში". დეკლამაციის ნაირსახეობები: ინტონაციური, რიტმული, მელოდეკლამაცია, რეჩიტატივი, ნახევრადმღერა.

დითირამბი – ძველ საბერძნეთში: ჰიმნი, საზეიმო საკულტო სიმღერა ღმერთ დიონისეს პატივსაცემად; მოგვიანებით: სახოტბო ლირიკული ლექსი; გადაჭარბებული შექება, დიდება, ხოტბა.

დისკო – XX საუკუნის საცეკვაო მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი, რომელიც 1970-იან წლებში აღმოცენდა.

ეგზისტენციალიზმი – ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობა; მდგომარეობა, როდესაც ადამიანი კარგავს ორიენტირების უნარს სამყაროში, სადაც ყველაფერი უაზრო და აბსურდულია.

ემბიენტი (ინგლ. ambient) – თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობა, რომელიც „გარემომცველს" ნიშნავს, მოიცავს მთელ რიგ სხვადასხვა მუსიკალურ მიმდინარეობებს, რომელთა შორის არის ჯაზი, ნიუ-ჯაზი, ელექტრონული მუსიკა, როკი, რეგი, თანამედროვე აკადემიური მუსიკა და ეთნომუსიკა.

ექსპრესიონიზმი – (ლათ. Expressio-დან, „გამოხატვა") ევროპული ხელოვნების მიმართულება, რომელიც განვითარდა XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, ძირითადად, გერმანიისა და ავსტრიის კულტურაში.

ვარიაცია (ლათ. variatio – ცვალებადობა) – მუსიკალური თემის გარდაქმნა ან განვითარება მელოდიური, ჰარმონიული, რიტმული, პოლიფონიური ან ინსტრუმენტულ-ტემბრული საშუალებებით; საწყისი თემის გამდიდრება და გაფართოება; მუსიკალური ნაწარმოების განვითარება.

ვოკალური ციკლი – რომანსების ან სიმღერებისგან ერთი იდეით გამსჭვალული ან ერთ მუსიკალურ თემატურ მასალაზე შექმნილი ციკლური ნაწარმოები; პოეტური ციკლის ანალოგია.

იმპრესიონიზმი (ფრანგ. Impressionnisme, impression – შთაბეჭდილება) – ერთ-ერთი მიმართულება ხელოვნებაში. მუსიკაში ამ მიმართულებისთვის მთავარია სიმბოლური მნიშვნელობისა და უფაქიზესი ფსიქოლოგიური განწყობილებების გადმოცემა, მისწრაფება პოეტური და პეიზაჟური პროგრამულობისაკენ.

ინტონაცია – მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა; ხმის სიმაღლის, ტემპისა და სიძლიერის ცვლილება; წარმოთქმის მანერა, რომელიც აჩვენებს აზრების განვითარებასა და მომხსენებლის გრძნობებს.

კანტატა – ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

კლასიციზმი (ლათ. classicus – სამაგალითო) – მხატვრული მიმდინარეობა XVII-XIX სს. ევროპულ ხელოვნებაში. კლასიციზმის წარმომადგენლები საუკუნეების სიღრმეში ეძიებდნენ მისაბაძ საგმირო მაგალითებს.კლასიციზმმა მყარად გაიდგა ფესვი ფრანგულ ლიტერატურასა და დრამატურგიაში, დიდი გავრცელება ჰპოვა სხვა ქვეყნებში, ხელოვნების სხვა დარგებში. მუსიკაში ამ მიმართულების წარმოშობას ხელი შეუწყო პოლიფონიური სტილის შემდეგ ინტერესის გაძლიერებამ ჰომოფონიური სტილისადმი.

მელოდრამა – ბერძნ. melos – სიმღერა, drama – დრამა; მუსიკალურ-დრამატული სასცენო ჟანრი, რომელიც აერთიანებს მუსიკალურ, დრამატულ, ქორეოგრაფიულ და საოპერო ხელოვნებას.

მიუზიკლი არის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელიც მოიცავს დრამის ყველა სახეობას – ერთმანეთს ენაცვლება დიალოგი, სიმღერა, მუსიკა, ცეკვები. თანამედროვე მიუზიკლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა ჟანრმა: ოპერეტამ, კომიკურმა ოპერამ,

ვოდევილმა.
მოდერნიზმი ლათინური სიტყვაა და თანამედროვეს ნიშნავს, რაც ძირითადად მოიცავს პროგ-რესულ ხელოვნებას, მათ შორის მუსიკას. ის სინამდვილს ასახავს მუსიკალურ-მხატვრული ფორმებით და აქტიურად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.
მონოლოგი (ბერძნ. monos – „ერთი“ და logos – „სიტყვა“) დიალოგის საპირისპირო ფორმაა; მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის ვრცელი სიტყვა, რომლითაც პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს. მასში გადმოცემულია გმირის სულიერი განწყობა, იხსნება პერსონაჟის სულიერი სამყარო, მისი ხასიათი, ზოგჯერ – მოქმედების განვითარების ქარგა.
მუსიკალური თემა – ეს არის განვითარებას დაქვემდებარებული მუსიკალური აზრი, გამოსახული მკაფიოდ გამომსახველ და ადვილად დასამახსოვრებელ მელოდიაში.
მუსიკალური ფორმა – ესაა მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურა, გამომსახველი საშუალებების კომპლექსი, რომელიც აერთიანებს მუსიკალური ნაწარმოების გარკვეულ მხატვრულ შინაარსს.
ორატორია – მსხვილი მუსიკალური ჟანრი გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისთვის.
ოსტინატო – (იტალ. ostinato – „ჯიუტად“, „დაჟინებით“) – მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი და იმავე მელოდიური ფრაზის, რიტმული ფიგურაციის ან ჰარმონიული ბრუნვის მრავალჯერადი გამეორება.
პროგრამული მუსიკა – ნაწარმოები, რომლის სათაურში ავტორს დაკონკრეტებული აქვს მისი ში-ნაარსი.
რენესანსი (ძვ. ფრანგ. Renaissance, ნიშნავს „ხელმეორედ დაბადებას“; იტალ. Rinascimento, re- „ხელახლა“ და nascere „დაბადება“) – აღორძინების ხანა, რომელიც მოიცავს XIV-XVI საუკუნეებს, დაიწყო იტალიაში და შემდგომ მთელ ევროპაში გავრცელდა. მან განვითარება ჰპოვა არა მარტო მხატვრობაში, არამედ ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, არქიტექტურაში, სახვით ხელოვნებაში, მუსიკაში, თეატრალურ ხელოვნებასა და სხვა დარგებში.
რეჩიტატივი (იტალ. recitativo, recitare) – ვოკალური მუსიკის სახეობა, დეკლამაციური ხასიათის მელოდია, რომელიც უახლოვდება ჩვეულებრივ მეტყველებას. სიმღერაში ინტონაციური მხარისა და მეტყველების რიტმიკის წინა პლანზე წამოწევა. რეჩიტატივს არა აქვს მკვეთრი მუსიკალური ფორმა. პროფესიულ მუსიკაში დამკვიდრდა ოპერის შექმნასთან ერთად (XVI-XVII სს.). გამოიყენება როგორც წმინდა სიტყვიერი საუბარი – ე. წ. მშრალი რეჩიტატივი – secco, ისე ნოტირებული (მღერადი) რეჩიტატივი (recitativo accompagnato – რეჩიტატივო აკომპანიატო) – არიოზული რეჩიტატივი.
რიტმ-ენდ-ბლუზი (Rhythm and blues) R&B – პოპულარული აფროამერიკული მუსიკის ჟანრი. წარმოიშვა 1940-იან წლებში. ეს ტერმინი თავდაპირველად გამოიყენებოდა აფროამერიკელთა მუსიკალური ჩანაწერების დასახასიათებლად.
სიმბოლიზმი (ფრანგ. symbolisme), მიმდინარეობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასა და ხელოვ-ნებაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში.
სინკოპა (ბერძნ. Sincope) – სიტყვასიტყვით ნიშნავს ჩამოთლას, შეკუმშვას, მუსიკალური მახვილის გადანაცვლებას ტაქტის ძლიერი დროდან სუსტზე.
სპირიჩუელსი (spirituals) – აფროამერიკელების სასულიერო სიმღერები. როგორც ჟანრი, ის ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს ამერიკაში.
ტრაგედია – დრამატურგიული ნაწარმოები, კომედიის საპირისპირო, რომელშიც გადმოცემულია ძლიერი კონფლიქტები, ღრმა განცდები, რაც, ჩვეულებრივ, გმირის დაღუპვით მთავრდება.
შანსონი – ვოკალურ-მუსიკალური ჟანრი; ფრანგული საესტრადო სიმღერა კაბარეს სტილში, რომელსაც შანსონიე ასრულებს.
ჰორორი – საშინელებათა ჟანრი – ფილმი, მოთხრობა და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიხეილ ჭაბაშვილი – „უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1989 წ.
2. მუსიკა – საყმაწვილო ენციკლოპედია. გამომცემლობა „დიოგენე“, 2009.
3. თორნიკე შარაშენიძე, ამონარიდი სტატიიდან, ჟურნალი ახალგაზრდებისთვის – „ჩემი სამყარო“ 2014, №5.
4. ანზორ თამარაშვილი, გულბათ ტორაძე – მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის გამოცემა. ახალციხე 2005 წ.
5. თამარ დაფქვიაშვილი – მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი. სახელგამი. თბილისი 1955 წ.
6. მარინა ქავთარაძე – მსოფლიო მუსიკის ისტორია. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
7. სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკის ისტორიის მიმართულება. თბილისი, 2015 წ.
8. http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=1080
9. Музыкальный энциклопедический словарь - Москва “Советская энциклопедия”, 1990.